



ლიტერატურული

№ 00005
18 ოქტომბერი 2022

ფორუმი

ეროვნული ბიბლიოთეკის დიტერატურულ ფორუმ „ეტიკეტოს“ არაპერიოდული გამოცემა

ვრცელდება ლიტერატურის მოყვარულთა შორის

„ეტიკეტი“ დათინურ ენახავითაა, მუვდარია, მაგრამ ჰვარ ქნაჰე ყოყხადლი...

ყვედაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და ასევე დიდი ხანია ის რაზეც ამბავ ვყვები მუვდარია, მუვდარი უი ხან მცირე და ხან უიდევ ზოგად, გამონაყლისი გარდა, სუდაც არ ნიშნავს დავიწყებულს!

ბეტიკეტი“ დავიწყება უი ზუსტად ისევე ძნელი და შეუძლებელია, როგორც, მაგალითად ბევრი ის საქმე, რომელიც თქვენ მონა-მორჩილს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უყეთებია უოდეგებთან ერთად, ხშირად და უიშვიათესად - მარტოს.

გაუეთება უი ეტიკეტოელებმა“ იცოფენ და თან როგორები!



იდეა გაჩენა და რომ იცყვიან, მთებს გადადგამდენ... იდეაც რად უნდოდათ, იდეისტების მთელი ამქარი უქერდა მხარს, დიტფორუმ „ეტიკეტოს“ რომელიც მოყოლებული 2008 წლიდან ძირძველი ფორუმელის ბედა ჩეუურიშვილის სიტყვებს თუ გავიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვანია ინგლისურ ენახავითაა... ან იციან, ან სწავლობენ... ანდა, მშობლიურ ენახავით - ვერ ივიწყებენ...“.

ხომ იცით, როგორცაა, რისი დავიწყება არ გინდა, ბუნებრივად ვერ ივიწყებ და რისი დავიწყებაც გინდა, შანსი არაა“ დაივიწყო!

გავრძელება მე-2 გვერდზე

გიორგი უიდაძე

„ეტიკეტოდან“ - ეტიკეტომდე“ ფურვანდეღ ნომენში წაყიასავა

„ქლიუფი“ ჩიბოვლ იყი და არილ შიქანიშნავი სავაქლია ვავიყნი თანაქდროვი ჩაროვილი აფორიში და ასე, ვავიყნი ჩიბი სავიარო შიქოქიდეშა ფარილი აუდოეორილ.

ირვილი ლპოყერი

ქ არილ ლიტირატურაზე ფიქრილ მრავალსახიშიისა და ახალი ლიტირატურული სავიქილ ვაყნიშილ ჩარვი შიქლ ლქლია აქ შევილ ლა მირლი რწარიშვილის სავადოქილ წარვიდეგნი სავიარო ნაქიქი, გამიოქა მისაწარვიქი და მონაქიქი შიქილ დიქიქიში ქ. ყხადია არ არილ „ყვილავერი“, მაგრამ ქ არილ ჰვარი რამ „სინტიქილ“. ქლიუფი - ლიტირატურაზე ფიქრილ ყიბეორიოა ვია მყარულია

„ქლიუფი“ ვავიყნილ ლიტირატურული პრიქილ. „ქლიუფი“ მყიბვილი და აფორილ შიქვილილ დრო და ადვილია.

ია არილანაქილი

ჩიბი სავლი - ქ არილ მაროოქდენ მქავიარული რწარვილ ჩარწილ

გიო სავიას თამარა ფეიქრიშვილის მავა საროშვილის ამირან ხედაძის ნინო ნეუერიშვილის გივი აღხაზიშვილის იზა ორჯონიქიძის ზურაბ რთველიაშვილის თინათინ ანახაშვილის რუსუდან უაიშურიის ზახა თვარაძის ნინო დარბაიხელის დედა შურუპოვას ფიქრია ბაფხოშვილის ჰაეო სვიმონიშვილის

მარსიანის ექიქებს ქეთევან ხეფიაშვილის ანა დამხელი-ონიანის თამაზ ექვთიმიშვილის ნინო გუგუაშვილის არნოდ გეგექიორის დიანა მეტონიძის უოზა ცხაუიას გია სიხარულიძის პრიოხას ინგა მიღორავას გედა ჩქვანავას ზღაპარს

თამარ იაშვილის ივა ქადაგიძის ეხეისტიყას მარინა გიგოლაშვილის დიტერატურულ მონოლოგს ნანა შადამბერიძის აქექსანდრე ედერდაშვილის თარგმანს თეიმურაზ ნადარიშვილის სულის ფოტოგრაფიებს და ეს ყვედაფერი როფია...

სხვათაშორის, მოყ-
მლებული 2009 წლი-
დან „ებლიტფომ“ „დათ-
ინურ ენასავითაა,
მეფარია, მაგრამ ბევრ
ენაზე ცოცხალი...“ და ეს
დიდი ამბავი დიდი ხანია
ჩვენმა წინამ, წინა

„ებლიტფომა“ - არაპერი-
ოდული და ფერადი
გამოცემა... სულ ოთხე-
მთხი... ოთხი მუშეუ-
ფრივით... შეხაბამისი
სტოგანით „ებლიტფომ“
ამეგობრებს“.

მანეთი ძალიან თუ არა,
ცოტათი მაინც უყვარ-
დათ“...
ჰოდა, სწორედ ასეთი
სიყვარული იყო ის
რაც უნებრივად აც-
დუნებდა ურიტიუდად (ე.ი
რეაქციის ტურად) აზ-

რომ არ ვახელო, აბა,
როგორ იქნება!
იპოვით იმ ფინანს
სადმე, აბა, რა იქნება!
ბოლოს და ბოლოს 16
გვერდია სულ წასაუთხი
და აქედან, მეოთხედში
თუ იქნება ის მარგალიტი
საპოვნო...

ასე ვიცით, ჩვენ...
ჩვენ სადტიუოვრდენი
უი არა, „ებლიტფომები“
ვართ!!!
ვართ!
ვართ, განა ვი-
ყავით?!

2006 წლის 18 ოქტომბრის გაიხსნა „ებლიტფომ“ –
ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი.

სადელოვდაშვილმა იცის...
წინასი არ იყო, ეს
ამბავი მეც ვიცი და ამი-
ცომ „ებლიტფომს“ ხშირ-
ად ვიხსენებ ხოლმე...
თუმცა არა, იმ სიხშირით
რა სიხშირით ექიმები
ენას, რომელსაც, რომ-
გორც ვთქვი, ძალიან
ჰგავს ლიტერატურული
ფორუმი „ებლიტფომ“.

მტრად ხო არ გადავიდვს
ლიტერატურის მოყ-
ვარულებს, ავტორებსა და
მკითხველებს, შიგადაშიგ
ურიტიულობებსაც; არადა
ვინ წარმოიგენთ
და „ებლიტფომს“ აერი-
ტიუბუნენ ის გამოც,
რომ ეს ვირტუალური
გარემო მეტად დამტყბარ
დაშაქრული იყო...“

როვნების უნარს...“
ვაღიარებ, ყვე-
ლაფერი საბუნებრივად,
მართლაც ასე იყო...
ასე იყო და უიღვე
ბევრი რაც იყო ვისაც
აინტერესებს გაზეთის
მეორე ნომრის მოწი-
ნავა გადაფურცდოს და
წაიუთხოს... მე, ჩემი
მხრით, „ებლიტფომს არ-
ქვივდნა ერთი ისეთიც
შევარჩევ... მთლად ტუბი-
ლად რომ ვერ იყო საქმე,
თუმცა, ფინანსები, ერთი
მაინც განსაუთრებულ

რად ფრო იყო!!!
რად ფრო!!!!
და არის ფრო დაუბრუ-
ნებელი და ხო იცით,
რომც ყველაფერ დავა-
ბრუნოთ რას ვუშვებთ
წლებს?!

აწივით და მე
შენთან ერთად არ ვიცი,
მერამდენედ ვიწყებ...
უიოხვას!!!
პირველი რასაც წავი-
უიოხვას გომ საჯიანს
ექსია - „წყევლა“...
შენც პირველი გამოგ-
ზავნილი ექსიით
დაიწყე...
დაიწყე და იცოდე,
„წყევლა“ ოღონდ ბებიას
ძუძუებით დაელოცვა...
გუბნები, დასტურ!
აბა, სად შეუძლია
ასეთ ექსის დაწყევლა?!

„ებლიტფომს“ უამრავ
საქმეთა შორის, ერთ-
ერთი, როგორც ახლა
ვამბობთ, შემდგარი
საქმე ედგაზეთი „ლიტ-
ერატურული ფორუმი

დამტყბარ-დაშაქრუ-
ლი“ იქნებოდა, აბა, არ
იქნებოდა, „ებლიტფომ“
ხომ „ის სივრცე იყო,
რომელშიც ადამიანებს
ერთ-

რად ფრო იყო!!!
რად ფრო!!!!
და არის ფრო დაუბრუ-
ნებელი და ხო იცით,
რომც ყველაფერ დავა-
ბრუნოთ რას ვუშვებთ
წლებს?!

სიტყვა, რომელიც
ცნობილი „ოთხშაბათო-
ბების“ მსგავსად ექსიით
უი არ დასრუდებდა, არა-
მედ გაგრძელებდა მს-
ოლოც...



გომ საჯიანა წყევლა

Wenn du lange in einen Abgrund blickst, blickt der Abgrund auch in dich hinein.
(Friedrich Nietzsche)

შენი თვალები ცა არ არის, არც ზღვა, არც მდელი.
შენი თვალები უფხურულია. და ამის გარდა,
მე რომ ტუვილის გზებით დავად, იმ გზებით გვედოს,
რომ მიხვდე, რარიც ტუბილი არის უფხურულში ვარდნა.

შენ არ ხარ ფეხვი, არც ყვავილი, არამედ - ხურო,
რომელიც სულში მოცოცავს და შიგნიდან მანგრევს.
მე რომ ხურვილის მდინარეში გუდალმა ვცურავ,
შენც იქ გეცუროს, რომ გამიგო. და უიღვე უარგი,

შენი სხეული არც ცეცხლია, არც წყალი, მიწაც
არ არის - დამწვას, დამაწყუროს და გარდა ამის,
გისურვებ, ყველა მიგებაროს წიაღში, ვისაც
ჩემამდე ჰყავდი და ვინც გყავდა! რადგან ეს ლამეც

წარმავალია - მე ამაზე დუმილი შემშლის -
ეს წყევლაც წავა, გზაც მომჩევა და დროც ჩაიარს,
დარჩება მხოლოდ ჰოეზიის უყვდავი ძეგლი.
სიყვარულით და მონატრებით, გ.საჯიანა.

თამარა ფეიქრიშვილი

სარვამარტოც



როცა სიყვარულს გახვლია ყავლი
და უყვე მძიმე ბრადებებს ვისმენთ,
ჩვენ ვითვლით სიტყვებს, რომლებიც ვიცით,
ვივინყებთ უიოხვებს, რომლებიც დავსვით,
რადგან ძირძველი ვადებებუნება
აგვიდებს ტვირთად, რომელსაც გავჩნდით:
უფრო ბებერი, ვიდრე სიცოცხლე,
და უფრო მძიმე, ვით თავად ლმერითი.
მე რე გვანწავდეს რიცხვად ჩანერა
და ამოგყავდა ხარისხის ფეხვი,
და ვამრავლებით ფროზე, და ვყოფდით -
თუ ვის რამდენი ერგება წილი,
ვითოვდებოვით სივრცის ნაწილად
და გამრავლებით ვავსებთ სივრცეს.

იცი, ჩვენ ერთ ფროს ვიყავით ერთი,
მაგრამ ერთხელაც ისე დავმძიმდით,
რომ საუთარო თავის ატანა
გახდა ერთ-ერთის სიყვდილზე ძნელი,
და გავიშალეთ, და დავნაწევრდით,
და უსასრულოს ვაშენებთ უედებს,
რომლებზეც ერთხელ ვილაცა ტიპი
მოვა და ფერადს დახატავს ბუშტებს...

მაია ხარიშვიდი



თვალის გახედა უკვე მხოლოდ იმის ნიშანია, რომ მზადა მაქვს ძარღვები ღიანდაგებზე და ბეჭების შემცივრულ ბაქანზე ხერხემლის წყვეტილ და გამაფრთხილებელ ზოლს იქით დგანან მოხაგვარებელი ამბები.

ამის მერე ახალი დღეც ისე გრიადით შემოდის ტანში, როგორც მობერებულები, ძვლებამოყრილი მატარებელი მორიგ სადგურში და ეს დაფეთებული გაღვიძება ყველაფერს ერთმანეთზე ახეთქებს: როგორ არიან, ვინც მიყვარს, ამინდმა ქადაქის ფერები როგორ გადააწყო, ხომ ყველა სახელში დაბრუნდნენ ისინი, ვისაც მთელი ტამე ეღოგნენ და მათაც ხომ შეძლეს გაღვიძება, ვისაც ატარავინ ეძებს, ხომ ყველა თონე გახურდა და ყველა ჰურის ცომი ამოფუვდა, ხომ ისევ მზადა მაქვს გული, რომ გავიყვანო უიდევ ერთი ახალ დღეში, როგორც მძინარე ახალშობილი - თვალუნვდენელი სამჭედის ზრიადში და ვხვდები: ან ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდე როგორ მოყვე საჩვენებელი ხიციოცხლის ზურგსუყანა ამბები, ან ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდე როგორ გაჩუმდე.

„ებლიტფოსი“ მრგვალი მსკიდა

ამირან ხეცაძე

რუსთველის ენაზე დაპარაუობ

შენა ხარ ქართველი საამაყო, შენა ხარ ქართული სათაყვანო, თავს ნუ გაუყადრებ სხვებს.

სხვა განძი რა გინდა სატრიაბახო, რუსთველის ენაზე დაპარაუობ, რუსთველის ენაზე წერი.

საქმე ნუ იყადრებ სავადელს, საქმეს ნუ იყადრებ სატადელს, უსმინე წინაპრის ხმებს.

გყავდა რაინდები საარაუო, გყავდა ვაჟეცები საამაყო, ნურასდროს შეურცხვენი გზებს.

ქართველო უაცო მზის სადარო, ქართველო უაცო ზღვის სადარო, ხმა შენი საამოგ ყლერს.

შენია ქართული ხმის სადარო, შენია ზღაპრული ხმის სადარო, უფალი სინათლეს გფენს.

გიჟთან უავშირი არ დაამყარო, ბიწთან უავშირი არ დაამყარო, სიბრძნით მოერიე მტერს.

ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს, ღმერთმა გაუერთხოს და გაგამრავლოს, ეუთვნი უუვდავ ერს.

შენა ხარ ქართველი საამაყო, შენა ხარ ქართველი სათაყვანო, თავს ნუ გაუყადრებ სხვებს.

რუსთველის ენაზე დაპარაუობ, რუსთველის ენაზე დაპარაუობ, რუსთველის ენაზე წერი.



იხსნის თუ არა ლიტერატურული ურიტიუა პოეზიას უნიქობის ხენისგან?

ლიტერატურული კრიტიკის არსებობა-არარსებობის, კრიტიკულად ნათქვამის კარგად გამგების პრობლემა ლიტერატურულ წრეებში აქტუალურია. ამიტომაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» არავეს გაუკვირდა, როცა ახალგაზრდა პოეტის, გიორგი საჯაიას, ინიციატივით წამოწყებულმა საუბარმა დისკუსია გამოიწვია.

გამოხმაურება იმდენად საინტერესოდ მოგვეჩვენა, რომ გადავწყვიტეთ, სამი პოეტის საუბარი, ხანდახან კი — კამათი, «ებლიტფოს» საზღვრებს გარეთ გავიტანოთ და უფრო დიდ აუდიტორიას მივანოდოთ. იმ სამი ახალგაზრდა პოეტის, რომელთა აზრებს თანამედროვე კრიტიკასა და მის დანიშნულებაზე ქვემოთ გაცნობით, არიან:

გიორგი საჯაია და ჰექსე (ახალგაზრდა პოეტმა ქალმა თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა, ამიტომ «ახალი 7 დღის» მკითხველთათვის ისევე, როგორც, «ებლიტფოს» წევრებისთვის იგი უბრალოდ ჰექსედ დარჩება) და მათი უფროსი კოლეგა პოეტი და მთარგმნელი გივი ალხაზიშვილი.

გიორგი საჯაია: მუჰამედის არ იყოს, თუ კრიტიკა არ მოდის ჩვენთან, ჩვენ თვითონ უნდა მივიდეთ კრიტიკასთან. მაგრამ იმისათვის, რომ ერთმა ავტორმა მეორე ავტორის ნაწარმოების მეტ-ნაკლებად პროფესიონალური და ზუსტი ანალიზი მოახდინოს, სულ მცირე საჭირო ტერმინოლოგიის ცოდნაა სავალდებულო.

საჭიროა, გაიხსნას თემა, სადაც მცირე განმარტე-

ბითი ლექსიკონის სახით მოხდება ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის აკუმულირება. ამით ლიტერატურული ფორუმის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია. შემდეგ უნდა გაკეთდეს მონახაზი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომლითაც განსაზღვრული იქნება პოეტურ ნაწარმოებზე ანალიტიკური მუშაობის ალგორითმები. ერთი სიტყვით, საჭიროდ მიმაჩნია ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლების შესწავლა, თუნდაც იმისათვის, რომ, როდესაც რომელიმე ავტორის ნამუშევრის განხილვას დავაპირებ, ყელში არ მეცეს (როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება) და მისთვისაც გასაგები იყოს, რაზეა საუბარი.

არ ვიცი, ამ იდეის განხორციელება რამდენად

„ჩემი ხუთეული“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ეპლიტფოზე“ განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის ბეჭდური ვერსიაა.

იდეის ავტორებმა სხვადასხვა თაობის მწერლებს მივმართეთ თხოვნით, გამოექვეყნებინათ საკუთარი ხუთი ნაწარმოები „ეპლიტფოზე“ გახსნილ სპეციალურ თემაში.

პროექტის განხორციელებისას ნაწარმოების შერჩევის კრიტერიუმები (გამოქვეყნების დრო, გამოქვეყნებისას არსებული განწყობა და სხვ.) ავტორებმა თავად განსაზღვრეს.

ჩვენთვის მეტად საინტერესო იყო თუ რამდენად დაემთხვა ფორუმელთა მოლოდინი ავტორთა არჩევანს.

საინტერესო იყო ავტორთა ასაკობრივი დიაპაზონი, პროექტის მიმდინარეობისას ფორუმელთა რაოდენობის ზრდა; ლექსებთან დაკავშირებული მკითხველთა კომენტარები. მნიშვნელოვანი იყო ლექსების თემატიკაც.

ლექსები გადმოტანილია ავტორისეული კომენტარებითა და იმილაკებით“.

პროექტი ახალგაზრდა პროზაიკოს ნინო თარხნიშვილის (ამელის) მინიატურებით დავამთავრეთ. ამელის მინიატურები ერთგვარი ხიდი გახდა ლიტერატურულ პროექტებს „ჩემი ხუთეული – პოეზიასა“ და „ჩემ მოთხრობას“ შორის.

ვფიქრობთ, ანალოგიური პროექტის განხორციელებას 10 წლის შემდეგ.

საინტერესო იქნება, წინამდებარე კრებულიდან რამდენი ლექსი გახდება მომავალი „ჩემი ხუთეული“ კუთვნილება, რომელი ავტორები დარჩებიან „მოქმედ“ პოეტებად და სხვ.

დარწმუნებული ვართ, კრებული ემი ხუთეული“ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. მზად ვართ კამათის ყველა მსურველს ბლიტფოზე“ მოვუხმინოთ.



ნინო ნეჟერიშვილი

ძალიან დიდი კადნიერება თუ არ იქნება ჩემგან, რომ დავამატო ჩემი ხუთეული...
რა ვიცი, შემოგიერთდებით

გაზაფხუდი

გაზაფხული კარებს მოადგა.
\”ნაფტალინის\” სუნი ასდით ვინრო აივნებს,
ასე უხვად გადმოფენილი,
ჩრჩილით დაჭმული,
ნაზამთრალი გრძნობების გამო,
კვლავ მესიზმრება თეთრი კომკი,
ფართო საწოლი,
და შენი კოცნით უცაბედი გამოღვიძება -
მალვიძარას ზარი ყოფილა...

ეს ლექსი მიყვარს ძალიან, იმიტომ რომ ლიტერატურა.გე-ზე ჩემი პირველი გულშემატკივარი იყო თამთა დოლიძე, რომლის გაცნობაც, სამწუხაროდ ვერ მოვახერხე და თამთას კორექტული კომენტარები ყოველთვის მეხმარებოდა გაზრდაში. ეს იყო პირველი ლექსი, რომელიც თამთას შენიშვნების გარეშე მოეწონა.

გასული წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა კრებული «საუბრები ლიტერატურაზე», რომელმაც ლიტერატურულ ფორუმ «ეპლიტფოზე» გამართულ არაერთ საინტერესო საუბარს მოუყარა თავი.

წინამდებარე კრებული «ეპლიტფოზე» განხორციელებული მეორე პროექტის — «რამდენიმე კითხვა» — საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ მწერლებს მხოლოდ რამდენიმე კითხვით მივმართეთ. დავინტერესდით როგორც რესპონდენტთა შემოქმედებით, ასევე ზოგადად, ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხებით, პრობლემებითა და პერსპექტივებით. კითხვები და პასუხები არ არის რედაქტირებული და შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე.

როცა სიტყვებს აწვივებ, სწორედ მაშინ ხდება სახსნაუდი

(ამონარიდი)

ეპლიტფო: ქალბატონო იზა, როგორ მუშაობთ, რამდენჯერ გადაშლით, ნაშლით დაწერილს, ერთი ამოსუნთქვით წერთ თუ მეორე დღესაც მიუბრუნდებით ხოლმე დაწერილს?

იზა ორჯონიკიძე: იმედია, პარალელისთვის არ გამაქილიკებთ, მე უამრავი ხელნაწერი მინახავს, მათ შორის გალაკტიონის, აკაკი წერეთლის, პუშკინის და ა.შ. უნდა ნახოთ, რა ომებია გადახდილი ამ ფურცლებზე, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ შეიძლება გამოიძერწოს, გამოკრისტალდეს მშვენიერი, მომლერალი სტრიქონები, ვთქვათ, გალაკტიონისა, რომელიც გნებავთ, ხელნაწერიდან... ლექსის წერის პროცესი, დიდწილად, ქვის კოდვას ჰგავს, თუ რა თქმა უნდა, ალტურას“ არ სთავა-

ატაში

თამაზ ექვთიმიშვილი



ერთი შაბათის საღამოა, ივნისის... მთელი დღე აბდა-უბდა, უსაქმური აზრებისგან ტვინი მაქვს ადუღებული.

ოდნავ აგრილდა თუ არა, ცოტას გავისეირნებ მეთქი, წვერი გავიპარსე, თეთრი, ახალი პერანგი ჩავიცვი და სახლიდან გამოვედი.

გამოვედი. მივდივარ. მე კი ვარ ჩაცმულ-გაპარსული, მაგრამ გვერდით ისევ აჩაჩულ-დაჩაჩული,

პირდაუბანელი ფიქრი მომყვება.

ხიდამდე ისე მივედი, თითქოს ერთი ოთახიდან მეორეში გავსულიყავი.

რას იზამ?! წლები გავიდა...

ჭადრები დიდი ხანია გაქრნენ ქუჩებიდან. ხეებს შენობები მიჰყვანენ.

ახლა მხოლოდ გამვლელები არიან, რომელთაც არ უნდა დაეჯახო და

ქალები, რომელთაც ჯერ კიდევ შეგიძლება დაეჯახო. მერე და მერე

ალბათ ესენიც გაქრებიან. დარჩება მხოლოდ ტროტუარზე დაგებული ფილაქანი, რომელსაც ყურადღებით უნდა აკვირდებოდე, რომ ცუდად ჩასმულს ფეხი არ წამოჰკრავდა ცხვირი არ გაიტეხო. ჰო! შუქნიშნებიც.

ხიდის თავთან შევჩერდი. ვერ გადამენწყვიტა- გადავსულიყავი და შემოვლით დავბრუნებულიყავი, თუ ხელი ჩამექნია და ტაქსი გამეჩერებინა.

უცებ! ამ დროს! ჰოი, საკვირველებავ, ვიდაცამ უკნიდან

თვალებზე ხელი ამაფარა.

გული კალისავით შეხდა.

თითებით მოვსინჯე-ქალი არ იყო.

- რომელი ხარ?- ვეკითხები.

ვიდაც სიცილის მოგუდვას ცდილობდა და არაფერი გამოსდიოდა.

- ვერც სიცილზე გცნობ, - მეთქი.

თავისკენ მიმატრიალა.

- ვანო...! ბიჭო!.. საიდან- გახარებული ავბლუყუნდი.

ნახევრად გამელოტებულს,

ფუნთუშა სახე გაბადროდა და ისე

ხითხითებდა, თითქოს ანეკდოტი მოეყოლა ვინმეს.

- ვითომ რატომ საიდან?! შენ

თვითონ საიდან?!
- რა ვიცი, ვსეირნობ- მეთქი.

- რა ვიცი, ვსეირნობ- მეთქი.

- რაღაც, რომ არ გავხარ შენ მოსეირნეს?..

- არა, ჰო?!..

- ისე დაბლვერილი მოდიოდი, ვიფიქრე, ერთხელ ვილოსიპედი რომ არ ვათხოვე, ახლა გამიხსენა და რაღა მეშველება, მეთქი.

უფრო გულიანად გაიცინა.

- შენ არ ბერდები, ხო იცი...

- რატომ უნდა დავბერდე?! არ გაგიგია, სანამ დედა მყავს არ დავბერდებო?..

- კი?!

- ჰოდა, მე ასე გადავაკეთე, სანამ...- ტუჩები ყურთან მომიტანა და

ისეთი რამ ჩამრჩურჩულა, ქუჩაში ყვირილ-ხარხარით სათქმელი ნაღდად არ იყო. ჩემი და მისი "ჰა", "ჰა", "ჰა..."

ერთმანეთში აირია. ამ დროს ტაქსმა ჩამოიარა, ვანომ ხელი აუწია,

"ეჰ, რომ არ მეჩქარებოდეს, სადმე ჩავჯდებოდიო." თვალი ჩამიკრა


და ტაქსში ჩაჯდა.

მზერა გავაყოლე. მოსახვევამდე ხელი ჰქონდა გადმოყოფილი

და მიქნევდა.

ნავიდა. ჩემს ფიქრებს სავარცხელი გადაუსვა და

ნავიდა.



ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2006-2008 წლებში 40-ზე მეტი პოეზიის საღამო გაიმართა.

სხვადასხვა თაობის მწერლები, რომლებსაც დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ყოველთვის «დღევანდელი შეხვედრის მასპინძლად» მოიხსენიებდით, მკითხველებს ძველ და ახალ ლექსებს უკითხავდნენ. იმართებოდა გულახდილი საუბრები ლიტერატურის ბევრ საინტერესო საკითხზე.

არცთუ იშვიათად «სტუმრები», «მასპინძლის» შემოქმედებაზე საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ, რითაც შეხვედრა კიდევ უფრო საინტერესო ხდებოდა.

ვფიქრობთ, ბატონ გივი ალხაზიშვილთან 2006 წლის 9 ივნისს გამართული შეხვედრის ბეჭდური ვერსია სასიამოვნო ემოციას აღძრავს მაშინდელ მსმენელებსა და დღევანდელ მკითხველებს შორის.

9 ივნისი, 2006 წ. პარასკევი.

ბატონი გივი ალხაზიშვილი: პირველ რიგში, ვიდრე ჩვენი დღევანდელი შეხვედრა დაიწყებოდა, მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნულ ბიბლიოთეკას. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ არ ვარ განებივრებული შეხვედრებით და არც მქონია სურვილი, რომ გარკვეული ინტენსივობით, ჩვენი კოლეგების ე.წ. «ესტრადნიკების» მსგავსად, მქონოდა უშუალო შეხვედრები მკითხველთან და ჩემს კოლეგებთან. ერთი გამონაკლისი იყო შეხვედრა «ჩვენი მწერლობის» შენობაში — «ომეგა კლუბში», რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩატარდა. მაგრამ გამოვტყდები, რომ როდესაც ბატონმა ემზარმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში საღამოს ჩატარება შემომთავაზა, არ ვიყო მანე და დავეთანხმე. პირდაპირ გეუბნებით, მონყურებული ვარ მკითხველთან და ჩემს კოლეგებთან შეხვედრას. ისინი მთავარი შემფასებლები არიან იმისა, თუ რა ხდება და რა კეთდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში, რა სიახლე შეინიშნება.

დღევანდელი დრო თვისობრივად განსხვავებულია იმისგან, რომელიც გამოვიარეთ. ამის მიზეზების ახსნას მე არ დავინყებ, რადგან თქვენც კარგად იცით. უმთავრესი გახლავთ ის და ეს მართო ჩემი აზრი არ არის, რომ თვით კულტუროლოგიაშიც კი ძალზე საგრძნობია

ტენდენცია სულიერი გამოფიტვისა. ამას თავისი მრავალი მიზეზი აქვს და ის მოიტანა, რომ თვით შემოქმედებაშიც შთაგონება და შთაგონების მნიშვნელობა მეორე პლანზე გადადის ან სრულად იგნორირებულია; მაგრამ არის ერთი უცნაური ფაქტორი - ნებისმიერ ქვეყანაში, საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროში არსებობს კონსერვატორები, საბალეტო სკოლები თუ სამხატვრო აკადემიები. ცივილიზებულ სამყაროში არის დაოსტატების კურსებიც, ე. წ. «მასტერ კლასები», რომლებსაც უნივერსიტეტებში ატარებენ ცნობილი და აღიარებული მწერლები. ეს პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს და როგორც გუშინდელი ახალგაზრდობა, რომელიც აღარ არის ახალგაზრდა, ისე დღევანდელი თაობა მოკლებულია ამ «მასტერ კლასის» გავლის შესაძლებლობას. მე ვთვლი, რომ ეს კლასები აუცილებელია ნებისმიერი ახალგაზრდისათვის, დამწყები შემოქმედისათვის.

ხშირად ვიმეორებ ელიოტის სიტყვას, რადგან იგი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და გამეორება კი ცუდი არ არის, მით უმეტეს საქართველოში, სადაც უცხო ავტორიტეტებს უდიდეს პატივს სცემენ. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ელიოტი მაინც დიდი ავტორიტეტია ჩემთვისაც და თქვენთვისაც. იგი ამბობდა, რომ ახალგაზრდას და ნები-

სმიერ თანამედროვეს, რომელიც ლიტერატურის ასპარეზზე და, ზოგადად, შემოქმედებით ასპარეზზე მოდის, ერთი დიდი უპირატესობა აქვს - წინარე თაობების გამოცდილების მაგალითზე სწავლა. ამაში არ იგულისხმება ერთი ან რომელიღაც წინარე თაობის ლიტერატურული გამოცდილების ცოდნა. აქ, ცხადია, საუბარია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაზე, მის გათავისებაზე, გადახარშვასა და მხოლოდ ამის შემდეგ ნაბიჯის გადადგმაზე მოდერნის ან პოსტმოდერნისკენ. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს ყველაფერი სხვაგვარად ხდება; სიტყვა «კლასი» სიმწყობრეს ნიშნავდა, ბრძოლის წინ ზღვაზე ხომალდების განლაგებას. ეს სიტყვა შემდეგ შემოვიდა ლიტერატურაში, ზოგადად, კულტურაში. დღეს ამ «კლასის» გამოტოვებით ხდება ახლის აღმოჩენის დაწყება. გამოტოვებულია ის უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობა, რომლის ათვისება აუცილებელია. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ თვით დეგაც კი — იმპრესიონისტული მიმართულების მხატვარი თავისი მოსწავლის შეკითხვაზე — რატომ არ მაძლევთ უფლებას, თავისუფალ თემებზე ვხატო? — პასუხობდა: ჯერ შენ ისწავლე ბოლოკის ნატურმორტის გაკეთება, ბოლოკის ნატურმორტის ხატვაო. მიყვარს ხოლმე ამის გამეორება, რადგან «კლასის», ლიტერატურის კანონის დაძლევა მას

გვასოვს

უენახენედი სიმღერა არნოდე გეგეჟოორი

(მცირე ლირიკული გადახვევა ამ ჟამიანობისას...)

დიდი ხანია დაკარგეს კობტა ვარცხნილობა მშიშარა ვერხვებმა. კარგა ხანია ჩაშავდნენ მურყნები, მდიდრული, ოქროსფერი ფარჩის სამოსი შემოეძარცვათ ნიფლებსაც. მთაში ზურმუხტოვან ტბათა ნაპირებთან, მალაქიტისფერ ქაობებთან აქა-იქ სანთლებივით დგანან მომწყენილი არყები. არყის ხეების ზროთა ვერცხლისფერი ნათებით ვერცხლისფერადვე ელვარებს წყლის ზედაპირი. ალბათ, ასეთ სურათზე თუ ამბობს გალაკტიონი - ბას დასცქერის მდუმარე ტყე, მოდარაჯე ჩამიჩუმის ..

წინვიანი ხემცენარეების გარდა, ქაობზე ფაფუკად დაფენილ ხავსის ბალიშებსლა შემორჩენიათ მწვანე ფერი. ხავსის ეს ხავერდოვნება ნამით არის განბანული. სისხამ დილით, მზის პირველი სხივების ამოსვლისთანავე მარგალიტისებრ ციმციმებენ ცვრის ეს მარცვლები.

ურჩვეულო სინყნარეა ირგვლივ. სიჩუმეს დაუსადგურებია მთვლემარე ტყეშიც. ბუნების ამ ზამთრისწინა მყუდროებას კოდალას შორეული კაკუნი და პატარ-პატარა გუნდებდა შეკრებულ ნივნივათა ხმა თუ დაარღვევს.

კარგა ხანია შერჩეულ ბუნაგს უტრიალებს დათვი - უღრანი ტყის მეუფე. ზანტად მოიქნის მძლავრი ფრთები და შორეულ გზას გაუდგენ ნეროებიც. გარინდულა ტყე. ბუნები გვიანი შემოდგომის უსიამო წვიმებისა და ცივი ღამეებისთვის გამზადებულა.

დიდებულია მზის ჩასვლა ტბაზე. ურჩვეულო, მდიდრული ფერებით ირეკლება წყლის მოსარკულ ზედაპირზე

შემოდგომის ცა. დაუვინყარია ტბის პირას გატარებული საღამოები, განსაკუთრებით მთაში.

ურჩვეულოა აქ დაისის ცის ფერებიც: ალუბლისფერი, ყოლოსფერი, უნაბისფერი, მელნისფერი, ჟანგისფერი, უფროვე - ნარინჯისფერი და ოქროსფერი. ცის ამ ნაირფერ ოკეანეში მოძრაობენ ოქროცურვილი ღრუბლები, ხან ვარდისფერ მთებდა აღიმართებიან, ხანაც სადაფისფერ თხელ ფთილებდა დანალიკდებიან და ნარნარად ეშვებიან ტბის ზედაპირზე, სითბოდ და აკვარელის ფერებდა იღვრებიან ზამთრის პირის ცივ, ანკარა წყალში.

არიან ბუნების ნამდვილი მეგობრები, შეგნებულად რომ ეძებენ ბუნების ამ ზღაპრულ ფერებს და წელიწადის სხვა დროშიც არ უჭირთ მათი პოვნა. რამ დაგვაინყოს შუაგული ზამთრის უცნაური ორნამენტებით მოხატული ცა? ლურჯი ყინვით გათანგულ სისხამ დილით სწორედ ამგვარად მორთული გვხვდება ფანჯრის მინები, გაყინული გუბურების ზედაპირი. მაგრამ სულ სხვაა, შეუდარებლად ფერუხვია დაისი შუაზაფხულობით. ხან ცეცხლისფრად, ხანაც ამოფრქვეულ ვულკანისფრად იღებება პორიზონტი. ჩამავალი მზის სხივებით ტყვედქმნილნი, მწვანე ქალებდა ინთებიან ტყე და ბუჩქნარები...

შემოდგომის ტყეში გათამამებული სპექტაკლის მთავარი გმირი ხარირემაია. ბუნების ფერიცვალობისას უკანასკნელ სიმღერას სწორედ ირემი მღერის. ფოთლების შეყვითლებისთანავე იწყება და ტყის განძარცვისას მთავრდება ირმის მყვირალობა.



...აი, დინჯად მოემართება ტყის ეს მშვენება შამბნარში, გარემოს მიაყურადებს, მერე ზურგზე გადაიწყობს მძიმე ქორბუდა რქებს, ყელს მოიღერებს და შემოდგომის სუფთა, ლურჯ სივრცეს შეჰბლავლებს. დიდხან ევლებათავს ეს ბლავილი მთის არყის ხეთა ოქროსფრად აბრიალებულ კოცონს, ტბის ზედაპირის იღუმალ სიმშვიდეს. ამასობაში მზეც მაღალი მთის ქედზე დაესვენება და ოქროს ძნად შეკრულ სხივებში გაახვევს ირებს. ქორბუ-

გივი აცხაზიშვილის პოეზიის სატამო

შემდეგ იწყება, როცა მას სრულიად აითვისებ, იცი და აბსოლუტურად სრულფასოვნად გაცნობიერებული გაქვს. მე ჩემს შესახებ ვერაფერს ვიცი, რომ დარბაზში ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ჩემი მეგობრები, ჩემი კოლეგები არიან, ათეული წლებია, ქართულ ლიტერატურაში ერთად ვსაქმიანობთ, თავს უამრავი რამ გადაგვხდენია და ძნელია ამ ყველაფერზე საუბარი, სხვა თუ არაფერი, მერიდება. კიდევ ერთი უცნაური პრეცედენტი, რომ შევხვედრე ახალი თაობის წარმომადგენლებს და ყოველ თაობაშია უაღრესად კულტურული, განათლებული და ცოდნისაკენ მიდრეკილი, ნიჭიერი ადამიანები. ახლაც ასეა, მაგრამ გვხვდებიან ისეთებიც, უმეტესობა კი ასეთია, რომლებიც არ კითხულობენ წინარე თაობის ავტორების წიგნებს ან ძველ კლასიკურ ნაწარმოებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ, მათი გავლენა არ განიცადონ.

ჩემთვის ცნობილია ჰერალდ ბლუმის «გავლენის შიშის სინდრომი». კიდევ უამრავი მაგალითის გახსენება შემიძლია, როდესაც ამ გავლენის შიში აბსოლუტურად აღმოფხვრილი არასდროს ყოფილა, მაგრამ არ შეუშინებია დიდი კლასიკოსები, რომლებიც თავის დროზე განიცდიდნენ წინარე შემოქმედთა გავლენებს. ამის ცოცხალი მაგალითია გოეთე, რომელიც აღიარებს, რომ გავლენის გარეშე შეუძლებელია მწერლად იქცეს ადამიანი. ის პირდაპირ ამბობს, ბოლოს და ბოლოს, სტერილურად რომ ამყოფო ადამიანი, მაშინ მას არ უნდა ჰქონდეს არც მზის ამოსვლის და არც მზის ჩასვლის და არც ღამით ვარსკვლავების გავლენა, არც საკრალურთან შეხების და ტრანსცენდენტთან მიახლოების ბუნებრივი სურვილი, საიდანაც იწყება შემოქმედება. გალაკტიონის მაგალითი რომ ავიღოთ, ადრინდელი გალაკტიონი იოსებ გრიშაშვილის უმძაფრეს გავლენას განიცდიდა; იცით, რამხელა გავლენას ახდენდა აკაკის შემოქმედება გალაკტიონის შემოქმედებაზე. ეს გავლენები გალაკტიონმა სრულიად დასძლია და აბსოლუტურად სხვა სიმაღლეზე ავიდა, სულ სხვა გზით განვითარდა. ბევრს ველარ ვილაპარაკებ ამ თემაზე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა აქ მოწვევისთვის.

.....

ასეთი საღამოების ასეთი დეტალური გახსენებით

სას უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, რადგან აქა-იქ ისმის საქებარი სიტყვები და მათი ნაკითხვისას მოგვიანებითაც ვნითლდები. ყველაზე მეტად მაინტერესებს ის შეკითხვები, ლექსების მოსმენისას მკითხველს რომ გაუჩნდა და ჩემეული პასუხები. ახლა ჩემს პასუხებს რომ ვკითხულობ, ზოგიერთ საკითხში წინარე «მეს» არ ვეთანხმები და ეს არის ყველაზე საინტერესო, რადგან შესაძლებლობა მეძლევა, თვალნათლივ დავინახო ცვალებადობის დინამიკა, სახეცვლილების გრადაცია, შინაგანი იმპულსების გადასხვაფერება, და ეს ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ასეთივე განცდა მიჩნდება ძველი პუბლიკაციების კითხვისას, როცა ისეთი დეტალები მახსენდება, რომლებსაც უამკონტექსტოდ ვერ მოვიგონებდი. პოეზიის საღამოს ციფრული ვერსია სხვა რამითაც არის საინტერესო. თუნდაც იმით, რომ კითხულობ და გრძნობ, რომ ეს ტექსტი ზეპირმეტყველების ჩანერილი ვერსიაა და წერილობითი წარმომავლობის ტექსტისგან განსხვავებულია. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო ამის აღმოსაჩენად და იმის მისახვედრად, რომ ასეთი სხვაობა გარკვეულ დისკომფორტს მიქმნის მე პირადად, რადგან ზეპირმეტყველების ჩანერა და წერილობით ტექსტად ქცევა ყოველთვის უკავშირდება წერილობითის არაბუნებრივ სინტაქსს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, რადგან მნიშვნელოვანი იმ დროის აღდგენის მცდელობაა, რასაც ჩვენ განვიცდით მსგავსი ტექსტის კითხვისას. ნავიკითხე მაშინდელი საღამოს ჩანაწერი და მივხვდი, რომ კიდევ რაღაც შეიცვალა ჩემს ლიტერატურულ ცხოვრებაში. აღმოვაჩინე, რომ მაშინ ნაკითხული ლექსების ერთი ნაწილი ნაკლებად მომწონს და კრებულებში არ შემაქვს. ასევე შინაგანმა ხმამ მიკარნახა, რომ კიდევ არის საჭირო მკითხველსა და კოლეგებთან შეხვედრა, ახალი ლექსების ნაკითხვა, გასაუბრება ლიტერატურულ პრობლემატიკაზე. სიამოვნებით გავმართავდი პოეზიის მონო-საღამოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და არა წარდგინებას, რადგან წარდგინებას უფრო სარეკლამო და თან ზედაპირულობის ელფერი დაჰკრავს. საერთო ყურთაშლისა და პომპეზურობის ფონზე ნათქვამი სიტყვები კი არავის ყურამდე არ აღწევს და თვალშისაცემია კარნავალურობის ელემენტები, რაც ბუნებრივია პრეზენტაციისთვის. თავისთავად, წარდგინებაც საჭიროა, მაგრამ ნამდვილი პოეზიის საღამოს მაინც სხვა მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ჩემი

ბოლოტქმა შეძახილიცაა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა გასაგონად და მჯერა, რომ ისინიც მოინდომებენ ამ ლამაზი ტრადიციის აღდგენას.

24.09.2009

მე ის გზა მიყვარს

მე ის გზა მიყვარს, გზა, რომელიც წამიყვანს სხვაგან - სიმშვიდის ძებნით, სვენებ-სვენებით: ამას რომ ამბობ ისე მშვიდი და ჩუმი ხმა გაქვს - თითქოს ხმის ტემპრით დამუხრჩვებულ ცას ეშველები.

მე ის ცა მიყვარს, ცა, რომელიც უნახავს არვის და სამომავლო თვლებშია გადანახული, როგორც მომწვანო სიმაღლე ალვის, რომელსაც მუდამ უცდის ზაფხული.

მაგრამ რაც მიყვარს - ის თავისთავს ყოველთვის მალავს და თუ კი ამხელს, მხოლოდ ნუთით, რომ გამაკვივოს, სიტყვების ბროლიში სხივად აქცევს მზეების ძალას, რათა თვალბინა უხმაურო ცეცხლად აკივლოს.

და მე ვინც მიყვარს არ არსებობს, არსებობს თანაც - რაღაც მანძილზე, მაგრამ მერე ქრება უმაღლე, როგორც კი იგი ჩვეულებრივ იქცევა ტანად, - ანუ სხეულად - ვნებები რომ ვერ დაეშვალე.

და მაინც მიყვარს - გულუბრყვილო სიტყვების ფიჭა, რაღაც მომწარო-მოტკბილოს რომ ჩუმიად აგროვებს, დაბადებულ მარადიულ ფიქრად და ნიჭად - ორჭოფულ მხერას კვლავ მზეები მოაოქროებს.

არის სათქმელი, როგორც ზამთრის დუმილში კვირტი, როგორც ყვავილი ანდა ბგერა რომ არ ისმოდა, იგია ჩემთვის ძვირფასი და საამო ტვირთი, წონასწორობას ვკარგავ მუდამ ურომლისოდაც....

დას რქები უმაღლესი სანთლებად აენთება და ოქროს ბორჯღალა ტოტივით აელვარდება. უჩვეულო ზღაპარი შეთხზა ბუნებამ წამიერად.

...საღამოს პირას უჩუმრად გაიკრიფება ნადირი ტყიდან და მთის ალპური სარტყლისკენ იბრუნებს პირს. ხარი-რემი ჩამავალი მზის ჩქერში მოექცევა, გაირინდება, ნესტოებს დაბერავს და ხარბად შეისუნთქვას ჰაერს... ბუნება ხომ მხოლოდ ნადირთათვის გასაგებ უამრავ სურნელს აფრქვევს.

...ხარი-რემმა ნიავზე მოქიშპის სუნი იგრძნო, ერთი შეჰბლავალ და ტყეში გაიჭრა. მეც ფერდობი ავირბინე და სუბ-ალპური არყის ხეს შევეფარე. ხეობაში კარგა ხანს ისმოდა ხმელი ტოტების ლანალუნი. ირემი მოქიშპეს უახლოვდებოდა...

ირგვლივ შემოჯარულ ტყეს უსასრულობაში გაჰქონდა მისი მძაფრი ყვირილი. ეს ხმა აღარ იყო უკვე გონდაკარგული ხარის ბლავილი, გამიჯნურებული მამრის სიმღერა. მთების ექოს ეს ბლავილი უკვე ბუნების საკუთრებად ექცია. სულიერსა

თუ უსულოს მონინებით დაეხარა თავი. ერთარსებად, ხარი-რემის მყვირალობად ქცეული დედაბუნება გულმხურვალედ შეჰლაღადებდა ზენაარს - შეემსუბუქებინა კარს მომდგარი ზამთრის სიმძიმე, აეცილებინა გამანადგურებელი ზვავების რისხვა, ტინი კლდეების გამპობი ყინვა, იებით, ფურისულებით და ყოჩივარდებით კვლავ მოეჩითა გაზაფხულზე მდელოები, მაცოცხლებელი სიმწვანის ზღვაში ხელახლა ჩაეძირა მარჩენალი ტყე, ნაკადულების ვერცხლის ძაფებით კიდევ ერთხელ მოესირმა მთათა კალთები....





„როცა შენ უბრალოდ ჩემთან ხარ, ჩემს ყოველ მოძრაობას აკვირდები, სადილობ ან მუშაობ, მაშინ ასეთი რამ არ მემართება, მაგრამ როცა შენგან შორს ვარ, გამუდმებით შენზე ვფიქრობ და ეს აფერადებს ყველაფერს, რასაც ვამბობ და ვაკეთებ. რომ იცოდე, როგორი ერთგული ვარ შენი! ...როგორც სხეულით, ისე სულითა და გონებით. აღარაფერი მიზიდავს, აბსოლუტურად ველარ აღვიქვამ ნიუ-იორკს, ძველ მეგობრებს, წარსულს... პირველად ჩემს ცხოვრებაში მთელი ჩემი არსება მოიცვა სხვა ადამიანმა, – ეს შენ ხარ! დაუფიქრებლად შემიძლია გავილო ყველაფერი, უარი ვთქვა საკუთარ თავზე, თუნდაც ეს თვითგანადგურებას მიქადდეს... როცა გუშინ ჩემს სტატიაში ვწერდი: „ევროპაში რომ არ წავსულიყავი და ა. შ.“. ევროპას კი არა, შენ გავლისხმობდი, მაგრამ ამის დანერა ასე ღიად არ შემეძლო. ევროპა, ეს შენ ხარ. შენ წამომამყენე დაცემული და გადამარჩინე. ჩემი დაცემის საშიშროება აღარ არსებობს, პირიქით, ახლა ძლიერ მგრძობიარე ვარ ყოველგვარი საფრთხის მიმართ, მის ყოველ ნიშანზე ვრეაგირებ...“ – მწერდა რაინერი. წერილი გერმანიიდან იყო გამოგზავნილი. თუმცა მე ჩავთვალე, რომ მან ნიუ-იორკში იმოგზაურა და ჩემთან გამოსაგზავნ წერილსაც იქ წერდა. ამის საფუძველს მაძლევდა წერილში ნახსენები ქალაქის სახელი. ერთი თვე იყო გასული, რაც რაინერმათბილისი დატოვა. მე მის შესახებ არაფერი ვიცოდი და რას გაუგებ უწინაღობებს?! დღეს აქ არიან და ხვალ-იქ. სტატია არ მქონდა წაკითხული, რაზე წერდა არ ვიცოდი, ამიტომ საპასუხო წერილში ვთხოვდი, გამოეგზავნა ჩემთვის გაზეთი. ვიმედოვნებდი, რომ სტატიიდან შევიტყობდი, რატომ მგულისხმობდა მე ევროპაში, როგორ ან რით გადავარჩინე და ა.შ. მაგრამ

ეს ყველაფერი მეორეხარისხოდ მივიჩნიე, მთავარი (და მოულოდნელი), რამაც საოცრად ამაფორიაქა, რაინერის მიერ გრძობების გადმოფრქვევა იყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ რაინერი საკმაოდ უფროსი იყო ჩემზე, თანაც ცოლიანი. მის ცოლსაც კარგად ვიცნობდი – ტიპური გერმანელი ქალი იყო, წითური. მათ ურთიერთობაში „ბზარი“ ან რაიმე მსგავსი არ შეიმჩნეოდა. თითქოს კარგადაც ეწყობოდნენ ერთმანეთს. მე კი, სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის ქარაფშუტა გოგო ვიყავი, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი, ალაგ-ალაგ გიდადაც ვმუშაობდი გერმანელ ტურისტებთან, ენის უკეთ ათვისების მიზნით (სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტურისტული ჯგუფის წევრები იყვნენ რაინერი და მისი ცოლი) და ვილაც გერმანელ კაცთან, რომელიც ლამის მამად მერგებოდა, სასიყვარულო ურთიერთობის გაბმა ფიქრადაც არ მქონია. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყურებად შეყვარებული ვიყავი ერთ თბილისელ ბიჭზე...

1930 წელი იდგა. ამერიკელი მწერალი ჰენრი მილერი ევროპაში გაემგზავრა, სრულიად მარტო, ხელნაწერებით სავსე ჩემოდნით. სამგზავრო ხარჯები ჯუნიმ(მისი მეორე ცოლი იყო) გაიღო და დაჰპირდა, რომ ფულს კიდევ გაუგზავნიდა. დრო გადიოდა, ფული არ ჩანდა და ჰენრი სხვა ამერიკელებისაგან განსხვავებით (მათი უმრავლესობა ევროპაში ბოჰემურად ცხოვრობდა) ულუკმაპუროდ დარჩა. მილერისათვის დიდი იმედგაცრუების პერიოდი დაიწყო, და კაცმა არ იცის, რით დასრულდებოდა მისი ევროპული ცხოვრება, რომ არა რიჩარდ ოსბორნი(ამერიკელი მოსამართლე), რომელმაც შეიფარა ჰენრი და შიმშილისგან იხსნა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

1931 წელი. პარიზი. ოსბორნი სადილზე ინვესტ ფრანგ მწერალ ქალს ანაისინს. ოსბორნიცდილობს, ჰენრის კრიზისული პერიოდი შეუმსუბუქოს. სალამო ასეა დაგეგმილი: ორი მწერალი შეხვდება ერთმანეთს და ისაუბრებენ ლიტერატურაზე, კერძოდ კი, ანაისისახალი წიგნის ირგვლივ... მათ იმავე სალამოს მოეწონათ ერთმანეთი. ანაისიოცდარვა წლის იყო, ჰენრი-ორმოცის. ...იმ დღეს ანაისი თავის დღიურში ჩაწერს: „მე ვმღერო! მე ვმღერო! და არა ჩემთვის, ჩუმად, არამედ ხმამაღლა! გავიცანი ჰენრი მილერი. შევხვდი მამაკაცს, რომელიც მომწონს... რომელიც იმსახურებს სიყვარულს. ის არ მთრგუნავს, არამედ ძლიერი და ჰუმანურია, მგრძობიარედ აღიქვამს ყველაფერს. ეს არის კაცი, რომელიც ცხოვრებით მთვრალია. ის ისეთივეა, როგორც მე... მისი ცივი,


ლურჯი თვალები გაკვირდებიან, ხოლო მისი ბაგეები განსაცვიფრებლად მგრძობიარეა, სიცილი კი გადამდები. მისი ხმა ისე გეფერება, ისეთი თბილია, როგორც ზანგური მელოდია...“ ანაისიმთხოვნილია ჰენრიც. ის მთელი სალამო იცინის და დაუფარავად იმეორებს: „მე ზედმეტად ბედნიერი ვარ, უბრალოდ ბედნიერი ვარ ამ წამს, გარშემო არსებული ფერებით და ღვინით. და ეს წამი არის ისე ლამაზი, ისე მშვენიერი...“ ანაისიც მთვრალია, თავბრუდახვეული და ბედნიერი...

„1932 წელი. 4 მარტი. პარიზი. „სამი წუთი გავიდა, რაც ნახვედით. თავს ვერ ვიკავებ, უნდა გითხრათ ის, რაც დღესავით ნათელია თქვენთვის – მე თქვენ მიყვარხართ. ეს არის, რასაც მე ყოველთვის გწერდით. გწერდით ჩემს გრძელ ვნებიან ბარათებში, რომელთაც აუცილებლად მიიღებდით, შევიცარიანო რომ დარჩენილიყავით; მაგრამ როგორ გამებედა მათი გამოგზავნა ლოუკინესში... (ანაისიმეუღლესთან ერთად ცხოვრობდა იქ). ანაის, მე ახლა ბევრს ვერაფერს გეტყვით – სიცხიანივით ვბოდავ. მუდმივად იმ ცდუნებისკენ მიბიძგებო, რომ ავდე და მოგეხვიოთ. ვიმედოვნებდი, სალამოს სახლში თქვენი დარჩენა აუცილებელი არ გახდებოდა და, რომ სადმე ვახშმად და საცეკვაოდ წავსვლა შევძლებდით. თქვენ ცეკვავთ, – მე მუდამ ამაზე ვოცნებობდი, – და მეც ვცეკვავ თქვენთან ერთად. ან თქვენ ცეკვავთ მარტო, თავგადასხვითი და თვალმომილული. თქვენ ასე უნდა იცეკვოთ ჩემთვის. ეს არის თქვენი ესპანური ბუნება, წმინდა ანდალუსიური სისხლი... აქამდე მე ვერ ვბედავდი თქმას, რასაც ვფიქრობდი. მაგრამ ახლა ველარაფერი შემაკავებს, – თქვენ მე ვაკუუმის აღვსებისაკენ მიბიძგეთ – უკან აღარაფერზე დავიხეხე... მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამას ვერ ამჩნევდით, მე მუდმივად თქვენი ვცხოვრობდი. მაგრამ მოვერიდე ამის თქმას, – ვიფიქრე ეს თქვენ შეგაშინებდათ. დღეს მე განვიზრახე, წამომეყვანეთ ჩემს ოთახში და ნახატები მეჩვენებინა, მაგრამ ისე უღიმღამოდ მეჩვენა თქვენი სტუმრობა ჩემს უბადრუკ სასტუმროში, ამის გაკეთება ვერ შევძელი. თქვენ წამიყვანეთ სადმე – თქვენს ქოხში, როგორც დამპირდით. წამიყვანეთ, რომ შევძლო თქვენი მკლავებში მოქცევა... და მე გატყუებთ ანაის, როცა გიყვებით, რომ მე თქვენი გაღმერთება არ მსურს. ელოდით რომ ასე „შორს წავიდოდი“ – წერდა ჰენრი ანაისს.

1932 წელი. 6 მარტი. სასტუმრო „ცენტრალი“. პარიზი. „ანაის, თქვენ გზა გაუხსენით გრძობათა მდინარეს. მე აღარავარ პასუხისმგებელი იმაზე, რასაც ვამბობ და ვაკეთებ. გესმით? თქვენ ნაიკითხავთ წერილს და ალბათ გაგიცრუ-

ქეთევან სეფიაშვიდი

ახეინეიდა



საფრანგეთიდან ერთი დღის ჩამოსული ვიყავი და კლასელებმა დამირეკეს, იკა მარჯანიშვილის მეტროსთან ვიკრიბებით სალამოს და ხომ არ წამოხვალო?! რა თქმა უნდა, მონატრებული კლასელების ნახვა ძალიან მინდოდა, დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ მოვემზადე, გავიპრანჭე, მაინც რანჭიას“ მეძახდნენ და ხომ უნდა მიმეცა სალადაო თემა გოგოებისთვის. რა მაგარია, 48 წლისებიც მაინც გოგოები რომ არიან ჩემთვის, ზოგი ბებიია, ზოგი დედა. ჰოდა, წავედი. სალამოს 8 საათი სრულდებოდა, ქუჩაში ნაცნობ სილუეტს მოვკარი თვალი. ეეე, ჩემი ქეთო მასწი, ფიზიკას მასწავლიდა, რატომ მიდის ასე ამონურული, ეეე, მივალ მივესალმები... მაგრამ მისვლა ვერ გავბედე, ჰო, ნამდვილად ქეთო იყო. სკოლაში რომ მოვიდა მასწავლებლად, მე თხუთმეტი წლის ვიყავი, ის - 23, მე მგონი მარტო მე კი არა, მთელი კლასის ბიჭებს მოგვწონდა, თხელ-თხელი, მაღალი, მომწვანო-მონაცრისფრო თვალები და ფართო ღიმილი ჰქონდა, აი ისეთი ფართო, რომ გაიღიმებდა, გარშემო ყველაფერი იღიმოდა. ვიტყუები, რა მთელი

კლასის ბიჭებს, მთელ სკოლას და ფიზკულტურის ზაზა მასწავლ მოსწონდა. რალაცნაირი იყო, ლალი, არამასწავლებლური. სკოლას განაგებდა ერთი უფროსი დირექტორი, 35 წლის გოგი. ჰოდა, ამ გოგის ყველა მასწავლებელს ეშინოდა, აი, რომ ჩაივლიდა, მასწავლებლები კედლებზე გაეკვრებოდნენ ხოლმე და ჩვენც ხომ შიშისგან ვიფსავდით, მასწავლებლებსაც რალაც კარგი ფერი არ ედოთ ხოლმე სახეზე. ეს ქეთო კიდევ, ვითომც არაფერი, გამარჯობა გოგი მასწ, შესცინებდა და საკლასო ოთახში ჩანთის ქნევით ანცი მეცხრეკლასელივით შედიოდა. ბიჭო, ვინ ვინ და ეს გოგიაც თავს ვერ იკავებდა დანახვაზე და ეღიმებოდა, კი არ ეღიმებოდა, ტუჩის კუთხეები აენეოდა ხოლმე და ცოცხალი თავით არ იმჩნევდა. ჰოდა, ერთ დღეს პირველკლასელების მასწავლებელს ასფალტზე „რიცხვობანა“ დაეხატა ცარცით და ეს ჩვენი სანაქებო ქეთო ასკინკილით მიხტუნავს ამ რიცხვებზე... და ჰაი დედასა, ფეხებთან დაუხტა „ავგოგოას“, გოგოც არ დააყოვნა და ძალიან მკაცრი ტონით კაბინეტში დაიბარა. მასწავლებლებს ელეთმეღეთი დაემარ-



ვაზობ შენს მკითხველს. კონკრეტული განცდისა თუ განწყობის გამოსახატავად აუცილებელი, შეუცვლელი სიტყვის მოძებნა-მოხელთებას ბევრი რამ სჭირდება — სათქმელის მკითხველამდე მისატანად ენის ბევრი საიდუმლო უნდა იცოდეს, ამას გარდა თავად სიტყვას უნდა გრძობდე სრულად, ნიუანსურად. არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვლაპარაკობ, რადგან თავად ჩემთვისაც ბევრი ნიუანსი დღემდე აუხსნელია.

გალაკტიონიც ვერ აგისხნიდათ, როგორ იწერება, ვთქვათ, ასეთი სტრიქონები: «მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა...»

ლირიკული ლექსი რთულად იწერება. დასაწყისშივე ერთი ცრუ ინტონაცია, ანუ განუცდელი რამ თუ წამოგცდა, ყველაფერი იქვე მთავრდება! ტყუილი, ყურით მოთრეული ანუ განუცდელი არ შეიძლება ისე გადაიტანოთ ქალაქზე, რომ თავი არ გასცეთ! აი ასეთი საოცარი თვისება აქვს სიტყვას — სიცრუის დეტექტორია!

ლირიკა წრფელი და სიღრმისეული, ჭეშმარიტი განცდისაგან იშვება... და მკითხველს თუ გულის მთავარი სიმი არ შეურხივ, ტყუილად გარჯილხარ! ადამიანური განცდების, სულიერი და ხორციელი შეგრძნებების გამოხატვისას შენ, რა თქმა უნდა, მკითხველზე არ ფიქრობ, მაგრამ თუ შენი სათქმელი სხვათა განცდებს არ ეხმარება, ასეთ ლექსებს გამოძახილი არ მოჰყვება... ძალიან ბევრი და ბუნდოვნად ვილაპარაკე, თუ თქვენთვის საინტერესო რამე ვთქვი, ძალიან მიხარია...

ერთი სიტყვით, «მიუკვლეველია სავალნი უფლისანი».

ეპლიტფო: მე გავოცდი, როცა წავიკითხე, რომ თურმე მარკესმა თავისი «მარტოობის ასი წელი» კომპიუტერზე აკრიფა.

იზა ორჯონიკიძე: გაუმარჯოს მარკესს! მისი უფლებაა, როგორ იმუშავეს. მე არც კი მიცდია სხვანაირად წერა. კომპიუტერზე დამოკიდებული ვერ ვიქნები, ვთქვათ, დენი გამოირთო, და რაც აკრიფე, ყველაფერი წაგიშალა, აკრეფის პროცესში შეიძლება არც კი გაგახსენდეს, რომ, რასაც აკრეფ, ის უნდა დაამაგრო, რომელიდაც კლავიშს აუცილებლად უნდა დააჭირო ხელი... სიტყვა ცოცხალია, ამოურწყავია, უამრავი ფარული ნიუანსის შემცველი, როცა სიტყვებს აწყვილებ, სწორედ მაშინ ხდება სასწაული... კომპიუტერთან, ანუ ტექნიკასთან ურთიერთობა ფსიქოლოგიურად გაუმართლებლად მიმაჩნია, ჩემთვის წარმოუდგენელია სიტყვის ძებნაც და ამავდროულად კომპიუ-

ტერთან ურთიერთობაც... ქალაქი უფრო სანდოა!

ერთსაც დავეძენ — ადვილი სულაც არ არის იმ სიტყვებით, რომლებსაც ყველა ჩვენგანი ყოველ წუთს ვხმარობთ საუბრისას, მხატვრული ტექსტის შექმნა. პოეტის უძნელესი მიზანია მიანიჭოს «შეჩვეულ», ხშირად გაცვეთილ სიტყვებს ახალი ელვარება, ჩაუდგას ახალი სული და... გააოცოს მკითხველი! სწორედ ეს გახლავთ მოულოდნელი მენყერი, «რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს».

ეპლიტფო: ძალიან მაინტერესებს, როგორ შეიგრძნობთ, როგორ აცნობიერებთ, რომ პოეტი ხართ და სხვა რამის კეთება არ შეგიძლიათ? შემოქმედად ყოველწამიერად გრძნობთ თავს?

იზა ორჯონიკიძე: თქვენი შეკითხვა, არ მიწყინოთ, ცოტა გულუბრყვილოა და ცოტაც ღიმილის მომგვრელი. ოსკარ უაილდს აქვს ერთი ძალიან ნიშანდობლივი გამოხატულება: პოეზიას ქმნიან ისინი, რომლებიც ცხოვრებაში ვერ ახერხებენ პოეტური წარმოსახვით შექმნილის განხორციელებასო. მართალია მოუსვენარი უაილდი! გალაკტიონი მხოლოდ თავის სამყაროში, თავის ქვეყანაში უნდა ვეძებოთ. ჭეშმარიტი გალაკტიონის დანახვა მხოლოდ იქ შეიძლება, დანარჩენი სულ სპექტაკლებია! ამაზე უკეთეს პასუხს ვერ გაგცემთ!

.....
ეპლიტფო: თქვენს ნაწერებზე პირუთვნელად აზრის გამოთქმას თუ შემოგბედავენ ხოლმე?

იზა ორჯონიკიძე: პირუთვნელი არიან თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ როდონია, დავით წერეთლიანი და თეიმურაზ დოიაშვილი (ჩემი ძველი მეგობრები) — უაპელაციოდ მეტყვიან, თუ რამე არ მოეწონებათ. არც ახლად შეძენილები დამინდობენ — მერაბიც და ზაზაც მუდამ პირუთვნელები არიან. მე ასეთი ურთიერთობა ძალიან მომწონს და მახარებს. რაც მთავარია, მაფხიზლებს და ნამდვილად მეხმარება, რომ ხელიდან იაფი არაფერი წამივიდეს!

ეპლიტფო: როგორი ურთიერთობა გაქვთ კრიტიკოსთან, მგრძნობიარე თუ ხართ კრიტიკის მიმართ?

იზა ორჯონიკიძე: კრიტიკაც, ჩემი აზრით, და არა მარტო ჩემი აზრით, შემოქმედებაა. შემოქმედი კრიტიკოსი ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე ბევრი არავინ ყოფილა, ვისი ნაწერების კითხვისას მე ესთეტიკური სიამოვნება განმეცადოს, ასეთი მხოლოდ გურამ ასათიანი, ოტია პაჭკორია და ჩემი თაობიდან თეიმურაზ დოიაშვილი შემიძლია დაგისახელოთ. აკაკი ბაქრაძე სხვა ფენომენია! მისი ლიტერატურისაკენ მიმართული მზერა მუდამ ჩვენი ისტორიის მტიკონულ თემებსაც მოიცავდა, მისი ბრწყინვალე ესე «მკვახე შეძახილი» გურამ ასათიანის «სათავეებთან» გაცნობის შემდეგ რომ დაინერა, ჩემი აზრის საუკეთესო დადასტურებაა. აკაკი დიდი პუბლიცისტიც გახლდათ და დიდი განმანათლებელიც, ლიტერატურა მას იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ეს ლიტერატურა მის მთავარ საფიქრალსა და სათქმელს უკავშირდებოდა.

კრიტიკა, ჩემი აზრით, არც ქება უნდა იყოს და არც ძაგება და გაცამტვერება, ერთი სიტყვით, არ უნდა იყოს ისეთი, როგორც არის ჩვენთან — საქართველოში!

კრიტიკა საგნობრივი, ხელშესახები და საფუძვლიანი კვლევაა — რა და როგორ დანერა ავტორმა, რისი თქმა სურდა და როგორ გაართვა თავი დასახულ მიზანს... მე ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ

წაკითხა ჩემი ტექსტი კრიტიკოსმა — მისი წაკითხვა მაინტერესებდა — რა იგრძნო, რამ გააოცა ან არ გააოცა, და ა.შ.

კარგა ხანს კრიტიკოსებს ჩემთვის არ ეცალათ, პირველი წერილიც ისევე პოეტმა თედო ბექიშვილმა დანერა, მერე გურამ ასათიანმა და ტარიელ ჭანტურამ, დევი სტურუამ, სულ ახლახანს თამაზ ჩხენკელმა, ზურაბ კიკნაძემ, ასევე პროზაიკოსმა ლეილა მესხმა და პოეტმა მურმან ჯგუბურიაძემ შემანიეს სიტყვა... ყველაზე მეტად თეიმურაზ დოიაშვილის წერილი მომწონს!

დავით წერეთლიანი და დავით მალრაძემაც გამოთქვეს ჩემთვის ფრიად საყურადღებო და, არ დავმალავ, სასიამოვნო აზრი ქართულ ლიტერატურაში ჩემს უკვე ორმოცდაათწლიან არსებობაზეც... ამ აზრმა ბევრი გააღიზიანა კიდევ!

სალიტერატურო კრიტიკა დღესაც გაუმართავია, ალბათ იმიტომ, რომ ლიტერატურული პროცესის მიმდინარეობასაც აკლია ფხიზელი და დაინტერესებული თვალ-ყური! ახლა მეტწილად «პიარ კამპანიები» იმართება და მასიური მკითხველი თავგზააბნეულიც ამიტომ არის. მე ეს ნაკლებად მადარდებს, რადგან თუ რაიმე ჭეშმარიტი შეიქმნება, არც დაიკარგება და არც უკვალოდ ჩაივლის. ოდესმე ვილაც დაინტერესდება, რა მოიტანა ჩვენმა «საინტერესო დრომ»...

წეინაფის ცრონი

/ზასილი დიდისაგან შთაგონებული განწყობანი/

ვიდრე მოვა იასამანი და დილის ნიავს შემოჰყვება

მახარობელი, მტრედისფერ ნისლებს ნანვიმარზე ადიდებულ ბალახების სურნელი ასდის...

ჯერ ნექტარს ასმევს თბილი ქარი აჟრჟუნებულ, ტანშიშველ ტყეებს, მერმე შეჰბედავს მიფერებას,

მისაყვარლებას... დის ტკბილი ბანგი გაზაფხულისა, მათრობელა, უხინჯო და გულუბრყვილო მოლოდინით გაჯერებული...

მოდის აპრილი, ფრთხილად, ფოფინით შეუნება საბანქვემ ზამთარს და სანაყოფე კვირტს გამონასკვავს... გაზაფხულის ნაყოფი კი ყვავილია, ყვავილი და მხოლოდ ყვავილი...

გიჟმაჟი ჟამი — მოჩუხჩუხე, თავალერილი, უღრუბლო და ვარსკვლავებით მოკირწყლულ გზებზე ულაგამო, ურა ტაიჭს თავმიცემული... ჩირაღდნები ციცნათელების, ჭრიჭინების სერენადები, სარკმელიც და სამერცხულიც ყურთამდე ღია

და ქარშოშინს ამოყოლილი, მწიფე ყანებში თავჩახრილი ყაყაჩოს სუნი...

ფხაალესილებს შეჰკიდებენ კაცები ცელებს მალალ-მალალი ქლიავების

ტოტთმესაყარზე — ემანდ მორბედი ან დედაკაცი არ დამარცხდესო

და სავანშოდ ხელს დაიბანენ... ვაი, ყანას შეყუყული მწყრის ჩორჩების და ჩამთბარ ბუდეში ჩარჩენილი ჭორფლიანი კვერცხების ბრალი — ფეხდაფეხ მისდევს მკაში შესულ პატრონს მწევარი... იმკის ზაფხული, ნაყოფს იმკის ხელხვავიანი! ნაყოფი მისი თაველია, სავსე თაველი...

ბალის კიდეში, დამსკდარ ნაჭიდან ამომხტარი, კაკალი ყრია, გატეხავ და... ჯერ ნედლია, ისევე რძიანი...

რამდენიმე კვირაც და ბალებს უკვე კარგა შეყვითლებული კომშები თუ გაანათებენ...

დღეს-ხვალ კი წყლიან ღორქლიავას, ლურჯ ღოღნამოებს, ჩაყურჭებულ ჭანჭურებსაც ჩამოკრეფავენ...

ზოგს გაჩირავენ, ზოგსაც დიდხანს ათუხთუხებენ, მერე საჩირეს და სატყლაპედ დამდგარ ჰარისას გრძელ-გრძელ ლასტებზე გაფენენ და

მზეს მიუშვერენ... სათესლე კვახებს, ღობის ძირებში არხინად დაგორებულებს, სულ ცოტას კიდევ დააცდიან და როგორც კი პირველი ცივი ქარი დაბერავს,

როგორც კი მარნის გრილი კედლები მაჭრის ნაჩქევით გაიჟლინთება, მაგ ბლენძებსაც მიაკითხავენ...

სევდის მდინარე ჩამოღვენილ ფოთოლს უკვე იმდენს მიარწევს, ვაშლის კრეფის ჟამიც დამდგარა! შემოდგომის შემოძენილ,

შემხმარ კალთასაც ჩამტკბარი ვაშლის სურნელი ასდის — ჩვენი გამზრდელი დიდებების უბის სურნელი...

შემოდგომის თავი ნაყოფი ვაშლია, ვაშლი...

ზამთარია. უქმი ზამთარი! გამოლალული ისვენებს მინა, გულის ძილით სძინავს ბუნებას!

ქათქათა თოვლზე ჩამოღვრილი ბინდიც, სიჩუმეც მსუსხავია და შიშისმგვრელი... აღმოსავლეთით, არ მეჩვენება,

კვლავ კაშკაშებს ცაზე ვარსკვლავი — დიდი შვების მაუნყებელი და სოფლის თავში მდგარი სახლის კეც გარბის ქალი


მელოგინე ქალის საშველად... ჩვილის სურნელი ასდის ზამთარს, ხოლო ნაყოფი — ზამთრის ნაყოფი

„სიტყვა არს“, მხოლოდ სიტყვა — ხორცმესხმული, მადლით სავსე და ჭეშმარიტი.



ბაბუას წერილი ნინიკოს

ღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავნეჩი დასაძინებლად... ჩემი პატარა ნატვრისთვალის დაიბადა. როგორც იქნა ღმერთმა წყალობის თვალთი გადმოხედა ჩვენს ოჯახს, ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩავისვა კალთაში.. მე ბაბუა ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ... წესივრად შეიძლება ზღაპარიც კი ვერ მოგიყვებ... სათვალეც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალეებით წიგნი წაგიკითხო... მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს დავწერ ბაბუ... მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები... შენ სანამ მიხვდები რომ ბაბუაშენს კარგად წერა კითხვაც კი არ ეხერხება, მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს... მერე კი... მერე რად გინდა ბაბუ ჩემი ზღაპრები... თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები... და მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს... ჩვენს ანკარა წყაროებს... ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი... რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუძახი, თითქოს ის პატარა გოგო იყოს მე რომ პირველად ვნახე... შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩაჩანაკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს... შეიძლება ისეთი კარგიც იყო რომ ბაბუს თუთუნის ამოურბენინო სოფლის კენკელა მალაზიდან... მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო... შენ მაინც ბაბუიას გოგო იქნები... თვალხატულა და ჰაერივით სიფრიფანა...



ზურაბ რთველიაშვიდი

„მე ვარ ვენახი“

ყური დამიგდე, შენ უი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოცადის მტევნებს ვაჩხრიადებ
მჩატე სხეულზე
ენისეი ვარ, რქანითეი და ხარენახი,
ყურძნის ტევრი ვარ,
სანახეღმი გამომწყვეული.
ხარგად შემხედე, შენ უი არა,
მე ვარ ვენახი!
ზვრები გავცურე, რომ
დამეგა თავზე გვირგვინი.
სტროფებს ვაფეთქებ, როგორც
ნაღმებს ვიხვრი ხეღამა!
არ სცდება მიზანს
ცეცხლოვანი ჩემი სიტყვები.
ყური დამიგდე, შენ უი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოცადის მტევნებს ვაჩხრიადებ
მჩატე სხეულზე.
სისხლივით მძიმე საფერავი და ხარენახი -
ყურძნის ღმერთი ვარ,
სანახეღმი გამომწყვეული...

ახლა შენს სიციხიან ქალაქში მოვიდვარ ბაბუ... თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე... წესივრად თვლა რომ ვიცოდე დავთვლიდი კიდეც ბაბუ რამდენი აკვანი გამოვთალე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაციები ვუპასუხებდი კიდეც... მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს ბაბუ... რაც გამოვთალე და გავაკეთე ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია... სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს... ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ... ისე მიხაროდა ბაბუ ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა აკვანი უნდა შეგიკვეთოო, ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა... უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი... აბა ქალაქში ნაყიდი აკვანი ბაბუ რა იქნება... ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა... სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს... შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი ისეთი ხისგანაა გამოყვანილი... რამდენი შაირის მოყოლება ვიცი ხოლმე...

ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს... ჩემი გამოყრუებული დედაკაციც გვერდში მიზის... მეტი ჩვენ ველარ შევძლებთ მგონია რომ ჩამოვიდეთ ქალაქად... ესეც რომ არ იყოს მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდეც ერთხელ ბაბუ... სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს... გენაცვალე შენ ბაბუ... შენ მომეცი ახლა ამის ძალა რომ ისეც დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურიან გზას... ჩვენი ადესაც აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს ყელს როდის გაისველებს ჩვენებური ღვინით... კი იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე... ვარია შევწვით... აბა მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმეგია სტუმრებისთვის... სულგუნიც კი გამოიყვანა თავისი მიმჭკნარი ხელებით ბებიაშენმა... და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე ბაბუ... შოთი პურები ვერ გამოვაცხვეთ მარა არ გენყინოს... დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს... აპატიე ბაბუ.

ისე მიცემს გული ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან... როდის გნახავ და შეგავლებ თვალს ჩემო თვალხატულა... აი გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ, იმდენი რამე

ხიდი გადავიარე- დავინყე ბოლოსდ-
აბოლოს "სეირნობა"
მივდივარ, სიგარეტს ვენევი,
თან გემვლელებს ვათვალეირებ,
იქნებ ნაცნობი ვნახო, ერთი ასეთი
"სეანსი" ჩავუტარო...
ჩემს წინ ვილაც, შარვალ კოსტუმში
გამონყობილი კაცი მიდის,
თავჩაღუნული.
ვიფიქრე, რა მნიშვნელობა აქვს,
ნაცნობი იქნება თუ უცნობი, მეთქი.
დავენიე, მივეპარე და თვალეებზე
ხელი ავაფარე.
თითები მომითათუნა.
- ლაშა, შენა ხარ?- მეკითხება.
- არა! ლაშა არ ვარ!

კარგი, სრული პასუხი გავეცი.
- აბა?!- ხელები მოიშორა და
მოტრიალდა.
გაოცება არ დავაცალე:
- არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო?!
- ააა... შენა ხარ?! .. რავა ხარ?
- ენა დაება.
- ვარ,ნელ-ნელა. შენ რას შვები?
მონყენილი მეჩვენები... ჰა!
ბიჭო, ხომ არ დამიბერდი?
- რა ვიცი, აბა? - ხელები
გადაატრიალ- გადმოატრიალა.
- რა, რა იცი, ბიჭო?! აივინიდან
ბავშვებს კენჭებს ხომ არ ესვრი
ხოლმე?
- არა,- გაეღიმა,- ჯერ არა!-

დაამატა სიცილით.
- აბა, ესე იგი არა გიშავს!
ტაქსმა გამოიარა. ხელი აუწიე.
- აფსუს, მეჩქარება, თორემ
თითო ჭიქა არ გვანყენდა- მეთქი.
" სხვა დროს იყოსო".
- საით?- მეკითხება მძლოლი.
- აი, ასე, ზევით აუხვიე და
პირდაპირ ნადი,- მარშრუტი თითით
ვაჩვენე.
აუხვია თუ არა, მანქანა გავაჩერ-
ებინე,- სახლში რაღაც დამრჩამეთქი.
ტორპედოზე ლარიანი დაფუდე და გად-
მოვედი.
ტაქსი წავიდა თავის გზაზე. მე
უცნობს გავხედე. ტროტუარის პი-

რას იდგა და მანქანებს ხელს უქნევდა.
ეტყობა რაღაც აზრი მოუვიდა
თავში.
საინტერესოა ჩემზე რას
ფიქრობდა.
ალბათ: " ჰე, ჰე!.. შევეშალე ვილაცა-
შიო! "
მაგრამ მე ისეთი "პაროლი"
მქონდა ნათქვამი, შეიძლება რცხ-
ვენოდა:
" როგორ ვერ ვიცანი, კაცო,
როგორ ვერ ვიცანიო!"

1996 წ

ბაბუას წერილი ნინიკოს

ღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავნეი დასაძინებლად... ჩემი პატარა ნატვრისთვალის დაიბადა. როგორც იქნა ღმერთმა წყალობის თვალთვალად მოხდა ჩვენს ოჯახს, ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩავგვისვა კალთაში... მე ბაბუა ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ... წესიერად შეიძლება ზღაპარიც კი ვერ მოგიყვე... სათვალეც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალელებით წიგნი წაგიკითხო... მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს დავწერ ბაბუ... მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები... შენ სანამ მიხვდები რომ ბაბუაშენს კარგად წერა კითხვაც კი არ ეხერხება, მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს... მერე კი... მერე რად გინდა ბაბუ ჩემი ზღაპრები... თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთხილდები... და მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს... ჩვენს ანკარა წყაროებს... ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი... რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუძახი, თითქოს ის პატარა გოგო იყოს მე რომ პირველად ვნახე... შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩაჩანაკებულ

ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყველაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს... შეიძლება ისეთი კარგიც იყო რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კენკელა მალაზიიდან... მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო... შენ მაინც ბაბულისა გოგო იქნები... თვალხატულა და ჰაერივით სიფრთხილი...

ახლა შენს სიცხიან ქალაქში მოვდივარ ბაბუ... თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე... წესიერად თვლა რომ ვიცოდე დავთვლიდი კიდევ ბაბუ რამდენი აკვანი გამოვთალე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაცები ვუპასუხებდი კიდევ... მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს ბაბუ... რაც გამოვთალე და გავაკეთე ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია... სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია ესმოდათ კიდევ ჩემი ამ დალოცვილებს... ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ... ისე მიხაროდა ბაბუ ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა აკვანი უნდა

შეგიკვეთო, ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა... უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი... აბა ქალაქში ნაციდი აკვანი ბაბუ რა იქნება... ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა... სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს... შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი ისეთი ხისგანაა გამოყვანილი... რამდენი შაირის მოყვლება ვიცი ხოლმე...

ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს... ჩემი გამოყრუებული დედაცაც კი გვერდში მიზის... მეტი ჩვენ ვეღარ შევძლებთ მგონია რომ ჩამოვიდეთ ქალაქად... ესეც რომ არ იყოს მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდევ ერთხელ ბაბუ... სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს... გენაცვალე შენ ბაბუ... შენ მომეცი ახლა ამის ძალა რომ ისე დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურთან გზას... ჩვენი ადესაც აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს ყელს როდის გაისვლებს ჩვენებური ღვინით... კი იქნება ახლა ქეფის ხასიათზე... ვარია შევწვით... აბა მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმევია სტუმრებისთვის... სულგუნიც კი გამოიყვანა

თავისი მიმჭკნარი ხელებით ბებიაშენმა... და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე ბაბუ... შოთი პურები ვერ გამოვაცხვეთ მარა არ გენყინოს... დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს... აპატიე ბაბუ.

ისე მიცემს გული ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან... როდის გნახავ და შეგავლებ თვალს ჩემო თვალხატულა... აი გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ, იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი... არა უშავს ცოტას აქითობას მოგწერ ბაბუ კიდევ...

ტკივილით და სევდით მაქვს ბაბუ გული სავსე... როგორღაც ამოვობლდით მეთექვსმეტე სართულზე მე და ბაბები-აშენი, სული ძლივს ამოვიტანეთ... მარა რათ გინდა... ჩამაგვამწარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა, მე იმ დახვედრას და მიღებას არ ვჩივი ბაბუ მაგენმა რომ იციან... რა ეშმაკი გამაჩერებს ამ ციხეში ძალიანაც რომ შემეხვეწონ... მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მქონდა ბაბუქელა... რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებინარ... რამდენჯერ წარმომიდგენია ეს დღე მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი... ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი წუხელ

ინგა მიცორავა

მაჩვი, თეკა და ხანძარი ტყეში

(ზღაპარი)

ერთ დიდ, უღრან ტყეში, სადაც შრი-ალა ხეები ათასგვარ უცნაურ, ძველისძველ ამბავს ჰყვებიან და სადაც ხავსმაც კი იცის დედამინის, ცის და ვარსკვლავების ყველაზე დაფარული საიდუმლო, ცხოვრობდა მაჩვი, სახელად თეკლა. თეკლას ოროთახიანი საგულდაგულოდ მოვლილი სორო ჰქონდა, გაზაფხულზე შეაგროვა და მოზიდა სურნელოვანი ბალახები და ყვავილები და სოროში მოაფინა. ღამლამობით, როცა თავის სურნელოვან სანოლში იწვა და შავი ხავერდის ცაზე დიდ მრგვალ ქათქათა მთვარეს შესცქეროდა, თეკლას უმიზეზო სევდა შემოაწვებოდა ხოლმე გულს, თვითონაც არ იცოდა რატომ და რაზე, შეიძლება, ტყის ჩურჩულის ან ბუს შორული კვილის ბრალი იყო, ვინ იცის, ან... ხანდახან თეკლა ფიქრობდა იმაზე, რაც არასდროს უნახავს. წარმოიდგენდა, რამდენი რამ არის, იყო და იქნება ამქვეყნად ისეთი, რაც მას არ უნახავს, არ იცის და ვერც ვერასდროს ნახავს. აუხდენელზე ფიქრი თუ უკუმშავდა პატარა გულს თეკლას და გამხმარ ყვავილებში ცხვირჩარგული დიდხანს ქსუტუნებდა, სანამ მთვარე და ღამის დედოფალი არ უბრძანებდნენ ძილს და სიზმარს და ისინიც მსუბუქი ვარდისფერი და იასამნისფერი ნისლით ავსებდნენ თეკლას სოროს და მოდიოდა მშვენიერი, უცნაური და ენით აღუწერელი ხილვები და შვება. დილით თეკლა მშვიდ და კარგ, ნათელ გუნებაზე იღვიძებდა. დაალაგებ-

და საძინებელ ოთახს და სასადილო-საკუჭნაოს მიაშურებდა. ეს ოთახიც მყუდრო და მშრალი იყო. იატაკზე წინვის, შემოდგომის წითელი ფოთლების, მუქი ხავსისა და ქათქათა დუმფარებისგან მოქსოვილი ხალიჩა ეგო. თეკლას მეგობარმა, ციყვმა პელაგიამ მოქსოვა. პელაგია განთქმული ოსტატი იყო, მის ნამუშევრებს მრისხანე მგლებიც კი სიამოვნებით იძენდნენ. ერთ ზამთარს მთელი ხროვისთვის თბილი, ირმებით მოქარგული ქურთუკებიც კი დაუკვეთეს. პელაგიამ თავდაუზოგავად იშრომა და მშვენიერი ქურთუკები მოქსოვა. მგლებსაც ვერ დავეუკარგავთ, ღირსეული, კეთილშობილი ხალხია, მადლობა გადაიხადეს, ქურთუკები წაიღეს და იმდენი თბილი, კაკალი და მატყლი მოუზიდეს პელაგიას, რომ მთელი ტყის ციყვებს იმ ზამთარს ხომ ეყოთ და კიდევ შემდეგისთვისაც შემორჩათ, მატყლი კი ფულურობში ჩააფინეს და უსასტიკესი ყინვისაც კი აღარ ეშინოდათ. მეღია ვანესა კი სულ სხვანაირად მოიქცა. მეზობელ ქალაში ტურების, მამიასა და სონიას, შეილის ნათლობაზე წასასვლელად ახალი წითელი ქათბი შეუკვეთა პელაგიას, ძალიანაც მოიხდინა, კიდევ გაიპრანჭა ჩვეულებისამებრ, მაგრამ მადლობის ნაცვლად მთელი ივნისი და ივლისი დასაჭერად დასდევდა და რომ არა ციყვის მეგობრები, ჩიტები, რომლებიც ყოველთვის განგაშს ტყებდნენ მისი მოახლოებისას, კიდევ დაიჭერდა ალბათ ამ ჩვენს პელაგიას და სიამოვნებითაც შეახრამუნებდა.

თეკლა და პელაგია ბავშვობიდან მეგობრობდნენ. თეკლა დიდ პატივს სცემდა ციყვის ნიჭსა და უნარს, გულწრფელად აღფრთოვანებული იყო, როცა ხედავდა, როგორ იქსოვებოდა ბალახებისგან, ყვავილებისგან, ხავსისგან, ხის ქერქისგან, ჩიტების ჩამოცვენილი ბუმბულები-სგან რაღაც საოცარი, ფერადი, ფაფუკი, ამაღელვებელი, აი... იმ აუხდენელზე ფიქრისა და სიზმრის მსგავსი. ერთ ზამთარსაც პელაგიამ თეკლასთვის მოიფიქრა, შეთხზა და მოქსოვა ხალიჩა და აჩუქა. ეს ხალიჩა



ძალიან უყვარდა თეკლას, ისევე, როგორც პელაგია. თეკლა პატარა თიხის ქოთანში მორგოვილი დილის ნამით იზანდა პირს. მისი ქურქი ბზინავდა მზის შუქზე, იმიტომ რომ მართლა კარგად უვლიდა, ცვრით ხომ ასუფთვებდა, ნერე ოქროსფერი ყვავილების ნექტარს ავლებდა და პანანინა მორცხვი ცისფერი ყვავილების სურნელოვან მტვერს აფრქვევდა. ასე მორთულ-მოკაზმული მიუჯდებოდა თეკლა ძველისძველ მაგიდას, ანუ ხის კუნძს, მისი დიდი ბაბუის ნაქონს. ბაბუამ ეს კუნძი მაშინ მოიტანა, როცა ადამიანებმა კაშხალი ააშენეს და ბევრი ხე მოჭრეს. ახლა ეს უკვე საგვარეულო ნივთი იყო და თეკლას ეკუთვნოდა, ისევე, როგორც ბებუის, მთის გაღმიდან ჩამოყვანილი ვერცხლისფერი მაჩვის, ანგელინას, თაროები, რომლებზეც ახლა

ნაძვის გირჩები, გვიმრის ტოტები და პანტი, მარწყვით და მოცხარით სავსე თიხის ათასფერად მოხატული ჯამები ელაგა. როგორც დედა უყვებოდა თეკლას, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ტყეს მაიმუნების მოხეტიალე გუნდი ეწვია, განაპირას, მინდორში გაშალეს ბანაკი და თითქმის ერთი თვე დარჩნენ. უამრავი საოცარი ამბავი მოისმინეს მათგან ტყის მცხოვრებლებმა, შორეულ ქვეყნებზე, სადაც თაკარა მზე სწვავს მიწას და ახმობს ბალახს, წყალში კი ქერცლით დაფარული საშინელი ურჩხულები ბინადრობენ. გადახრუკულ ველებზე დასეირნობენ დიდი ოქროსფერი სასტიკი კატები და უხარმაზარი, ნაცრისფერი, ყურპარტყუნა კეთილი გოლიათები. ეს ამბები დროთა განმავლობაში გაიცურია, გადასხვაფერდა და ნაწილობრივ კიდევ დაავიწყდათ, სამაგიეროდ ტყის



ბერიმდე აქ იყო ღვინო, კომპოტები და მამის სახელოსნო.

როგორც კი ფარნამ უცხოელ ტურისტებში სირბილი დაიწყო, მამამ აალაგა ბოთლები, კუთხეში მიანყო მოლბერტი და საღებავები და ფარნას უთხრა:

– აქ შეიკრიბეთ ხოლმე.

მასწავლებლები ამბობდნენ, რომ მამა უწყობს ხელს, არც დედა უშლის მაინცდამაინც, და წავიდა კარგი მოსწავლე ხელიდან – თმას აღარ იჭრის, კომკავშირში არ შედის, ზღვაზე ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს საექვო უახლოვდება და გაუგებარ ენებზე ექაქანება.

სამაგიეროდ ერთ დღეს ერთი გერმანული ჟურნალი მოიტანა, საიდანაც სარდაფის კედელზე უნდა გადმოეხატა თავის ცნობილ ნახევრად ჩოქმბჯენში გაჯირითებული გიტარიანი ჩაე ბერი და ორ დღეში უნდა დაებრუნებინა პატრონისთვის ჟურნალი.

ფარნამ ის ორი ღამე გაათენა – კედელს ხატავდა მამამისის დატოვებული საღებავებით და, სადამდისაც შეწვდა მაქსიმალური გაჭიმვით, კი გამოუვიდა ეს ჩოქმბჯენიანი ჩაე ბერი თავის სიმაღლე. მესამე დღეს ჟურნალი რომ მიუბრუნებინა პატრონს ზუსტად დათქმულ დროს, ისეთი უძილო და ბედნიერი იყო, რომ იმ გერმანელმა პოლგერმა ჟურნალი საერთოდ აღარ გამოართვა.

აქ იყო სანტანა. ეს სანტანა დიშკამ გადახატა ფარნას სარდაფის კედელზე. კარგად არ იცოდნენ ჯერ, რა ტიპი იყო სანტანა და რას უკრავდა, მაგრამ ფოტოზე ეტყობოდა, რომ კაი ტიპი უნდა ყოფილიყო და ამკარად უკრავდა. ფარნამ ჯერ „ოაზისი“ დაარქვა თავის სარდაფს, მერე, როცა ჟურნალის რამდენიმე გვერდი ლექსიკონებში ქექვით გადათარგმნა, ჩამოხსნა „ოაზისი“ და დაკიდა „სერჟანტ პეპერის კლუბი“.

შემდეგ ზაფხულს პოლგერმა პოსტერების მთელი დასტა ჩამოუტანა.

აქ იყო ჯიმ მორისონი. ეს მორისონი ოთომ დახატა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ხატავდა, რომელი ვარსკვლავის პოსტერსაც ვერ იშოვიდნენ, იმას ხელით ხატავდნენ. მერე რა, რომ ოთოს დახატული ნვერებიანი ჯიმ მორისონი ზოგჯერ გაბრიელ დაფანჩულს ჰგავდა და დიშკას დახატული ცილინდრიანი სანტანა – დიშკას ბიძას, რომელიც თვითონ დიშკასთვის მხატვარი იყო, დანარჩენი ქალაქისთვის კი – „მალიარი არტუმა“. მერე რა, რომ გიტარიანი ჰენდრიქსის ფოტო ჯერ არ ჰქონდათ და, როცა დახატეს, გიტარა მარჯვნივ დააჭერინეს, სამაგიეროდ ქვეშ და ოდნავ მარცხნივ დატოვებული წარწერა მონობდა, რომ ნამდვილად ის იყო და ნამდვილად „აქ იყო ჯიმი ჰენდრიქსი“.

– არ ვიცი, სწორად ვიქცევით? – ფარნას დედა სარდაფიდან გამოდევნილ კომპოტებს და მურაბებს სამზარეულოს კედლის კარადაში უთავისუფლებდა ადგილს.

– რა გინდა, სხედან თავისთვის, ხატავენ, უკრავენ. არ დარბიან სადღაც ღამეში დანებით და შპრიცებით.

– შპრიცები თუ უნდათ, აქაც შეუძლიათ.

– ეგ არ გამომეპარება. შანსი არაა, – მამა სკამზე იდგა და ანტრესოლიდან ძველი საღებავების დიდ ქილებს ალაგებდა, – ესენიც დაჭირდებათ, იმხელა მიკჯაგერებს ხატავენ მამაძაღლები.

– უთხარი, ცოტა პატარები დახატონ, ან რა საღებავი ეყოფათ, ან რა კედლები?

– ახლა მთელ „პეპერის ორკესტრს“ ხატავს ფარნა, მგონი ორასი კაცია, ყველა თუ ნატურალურ ზომაში დახატა, კი ამოვლენ ზალაში.

– რა გინდა, ფეხბურთის დროს მარტო აღარ იღრიალბ.

– ააჭყვიტინებენ საყვირებს. ტრა-ტა-ტა-ტა-ტა-ტაა. – მამამ „სერჟანტ პეპერის“ საყვირების პარტია წაუმიღრა. – ვუდსტოკის ხატვას რო დაიწყებენ, მერე ვართ ცოდვა.

აქ იყო ჯენის ჯოპლინი. ეს ჯოპლინი იამ დახატა. თექვსმეტი წლის იყო ფარნა, როცა ოთომ თოთხმეტი წლის ია მოიყვანა პირველად – პიანინოზე უკრავს მაგრად და ამ პონტებზე გიჟდებაო, მოყვანამდე გააცნო. იამ სარდაფში გოგოები მოისაკლისა, ჯოპლინი დახატა და ბიჭებს დაავალა, თითო გოგო ყველას დაეხატა. ოთომ ენი ლენოქსი გადმოხატა, დიშკამ – შინეიდ ო’კონორი, რომელიც ახლა ქუდმობილ და თავგადაპარულ ძია არტუშას დაამსგავსა, ფარნამ – სულ ნორჩი დოლორეს ო’რიორდანი, რომელიც ჯერ მოსმენილიც არ ჰქონდა, ფოტოდან შეუყვარდა. გიომ ვილაც გოგო დახატა, ვისი სახელიც არავინ იცოდა, კუსტარული თხელი ფირფიტებიდან გადმოიხატა და მიანერა: „აქ იყო შიზგარე“.

ისეთი ღამაში იყო იას დახატული ჯოპლინი, დიდი იისფერი თვალებით, ყვავილების გირლანდებით განწყობილი ჭრელი კაბით, მძივებით და თავსაკრავით, რომ ოთომ თქვა, ასეთი ღამაში რომ ყოფილიყო ჯოპლინი, აღარც იმღერებდაო. ამაზე ია ცოტა ხანს გაიბუტა, მაგრამ პლანტის ხატვა რომ დაიწყო, გაბუტულობა გადაავიწყდა, თუ რამ სიღამაზე ჯოპლინის დააკლო, პლანტს დაახარჯა და ისიც ისეთივე იისფერთალება და საოცნებოდ გასხვივონებული გამოუვიდა. ოთოს და ფარნას საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: ია სულ თავის თავს ხატავს, დიშკა – ბიძამის არტუშას.

კიდევ ერთი სტატიის გადათარგმნის შემდეგ ფარნამ თავის სარდაფს „პეპერლენდი“ დაარქვა და გამოაცხადა, რომ მორჩა, კლუბის სახელი აღარ შეიცვლება იმიტომ, რომ ეს ზედგამოჭრილი სახელია. როცა კლუბის წევრებს მოუყვა, რომ „პეპერლენდი“ – ეს არის ზუსტად ასეთი ფერადი მუსიკალური ქვეყანა, როგორც მათი სარდაფია, მაგრამ მერე მოდიან ბოროტი ლურჯი „მავნიები“ (ეს სიტყვა თვითონ მოიგონა, რადგან ლექსიკონში შესატყვისი ვერ ნახა) და ყველაფერს ყინავენ, აქვავებენ და აფუჭებენ, ოთომ გააპროტესტა:

– სხვა სახელი დავარქვათ, ეგ თარსი სახელი ყოფილა. ეს რომ ვინმემ გაგვიფუჭოს, მართლა დავაქვავებ ადგილზე.

– გავუხეთქავ თავს, – ფუნჯით ხელში შემობრუნდა დიშკა.

– სამაგიეროდ, ერთადერთი იარაღი, რაც ამარცხებს მავნიებს, მუსიკაა. მოკლედ, დაუკრავ და ცეკვას იწყებს მავნია, ხდება თბილი და კეთილი.

ოთო დაწყნარდა და დიშკამაც თავისი მესამე, დრედებიანი და იამაიკის დროშის ფერებიანი არტუშას ხატვა განაგრძო – „აქ იყო ბობ მარლი“.

– ადვილი ყოფილა მავნიების დამარცხება.

– ვინც იცის მუსიკა, იმისთვის – კი.

– ვინც არ იცის, იმას დაერხა?

– უეჭველი. იქნე ხმალი, აკაკანე კალაშნიკოვი – მაინც გაგყინავენ.

ფარნას ისე მოუმრავლდა უცხოური ჟურნალები და

ფირფიტები, იმდენ დროს ატარებდა უკვე თავის „პეპერლენდში“ და იმდენი მეგობარი ჩაითრია სარდაფში, რომ კლასის ხელმძღვანელი უბრალოდ ვალდებული იყო მის დახასიათებაში შესწორებები შეეტანა: „არის ერთდირებული, აქტიური ახალგაზრდა, მეგობრებს შორის სარგებლობს გადაჭარბებული ავტორიტეტით, სკოლის სახელმძღვანელოებზე მეტად ეტანება კლასგარეშე ლიტერატურას, მომეტებულ ინტერესს იჩენს ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი და მისი იდეურ-პოლიტიკური მდგრადობის დონე დაკვირვებას საჭიროებს“.

ფარნას სულ ბოლო ნახატი და წარწერა – „აქ იყო კურტ კობეინი. 29. 09. 92“.

სად არის ახლა კურტ კობეინი? თუ გაუმართლა, სამუდამო ნირვანაშია. თუ არა და ამაზე ფიქრიც არ უნდა ოთოს – ეშმაკიც შევა კობეინის მდგომარეობაში და ღმერთიც.

და თვითონ ოთო სად არის? – ოთო წელამდე ბალახში მიაბიჯებს, დიდ ჯაყვას შლის და ცდილობს სახლის ძირში მოსული ეკალი და ჭინჭარი მოჭრას, შამბს სქელლანჩიანი ფეხსაცმლით ჯეგავს – აქ სადღაც კიბე უნდა ჩადიოდეს, სულ ოთხი საფეხური, მერე დაბალი კარი უნდა იყოს, რომელშიც მაღალკლასელები უკვე ოდნავ მოხრილები შედიოდნენ ამ ოციოდე წლის წინ. კარზე ეპპერლანდ“ უნდა ეწეროს. გასაღები მარტო ოთოს და ფარნას ჰქონდათ, ვინ გამოცვლიდა საკეტს? ერთი ფეხის დარტყმა და კარი იღება – ოთო ეხვევა სიბნელესა და გიგანტურ აბლაბუდაში. ასეთი აბლაბუდა, აქაური სახლების გარდა, მარტო ფილმ-ზღაპრებში უნახავს. მობილურის ფარანს ანთებს. აქ იყო ჩაე ბერი. ჩაე ბერისგან მარტო ჩოქმბჯენი დარჩენილა. აქ იყო აქ ვინ იყო, აღარ ახსოვს, ჩამონგრეულია ბათქაში, ობითაა დაფარული. საოცარია, იას დახატული დიდი თვალები მოთეთრო ობიდან ისევ ლურჯად იყურებიან, კედლის თვალებივით – სამი კედლიდან სამი წყვილი თვალი იყურება. ალბათ საღებავი იყო ისეთი, ობი არ ეკარებოდა. სანახევროდ ჩამოშლილი კედლები იას თვალებით იყურებიან – ომს შაბიამისფერი თვალები ჰქონიაო, ოთომ გაიფიქრა. მარტო თვალები გადარჩა და შიგ ჩახატული დიდი გოაცება.

როცა დაიწყო ის, რაც ზოგისთვის ეროვნული თვითგამორკვევა იყო, ზოგისთვის სისულელე და ზოგისთვის სამგლე გოჭივით ატეხილი ქვეყანა, „პეპერლენდის“ კედლებს შეუმჩნევლად მოანვა გარედან მთელი ეს ქაოსი, აგრესიული ჭკუისკოლოფობა და შეგონებები – „რა დროს გიტარაა, ბიჭო! ახლა ავტომატი უნდა გეჭიროს!“. ისევ უკრავდნენ, არ იმჩნევდნენ ბზარებს, მაგრამ ემჩნეოდნენ. დაეტყო დაუმთავრებელ ნახატებს და გამოტოვებულ დღეებს, ნაძალადეგ სიცილებს და სხვა მხრიდან, სხვა წრიდან მოყოლილი გავლენებით მონაბერ წამოცდნენ. დიშკა სოვდაგროშვილი უეცრად დიმიტრი სოვდაგაროვი გახდა, ვილაც ზაბელიანის, ტოპოლიანის და ბაგრაშიანის ხსენებას უმატა და ერთხელ, რატომღაც, ბიძამისი არტუშა ერნესტო ჩე გეგარას ქუდით და დალალებით გამოსახა „პეპერლენდის“ კედელზე. ცოტა ხანში ოთომ თქვა, შტიკ-ნოჟი ვითრიე და შეიძლება კალაშნიკოვიც მალე ვითრიო. საიდანო? გამოცოცხლდა დიშკა, რომელიც უკვე უნდელად აჩხაკუნებდა თავის ორი წლის წინანდელ სიამაყეს და ბედნიერებას, ადღერიდან ჩამოტანილ ბასგიტარას, ვილაც მთვრალ რუს სარესტორნო მუსიკოსს რომ დარჩა მამამისის ფოტოატელიეში.

რა „შტიკ-ნოჟი“, თქვენ ხო არ გარეკეთო, ფარნამ, მაგრამ ბიჭები უკვე იარაღზე უფრო დიდი გატაცებით ლაპარაკობდნენ, ვიდრე ახალ აკორდებზე. მარტო ია უჯდა ერთგულად პიანინოს და „ლიდერს ნ თჷე შტორმ“-ის შესავალ პარტიას ანკრიალებდა კლავიშებზე, და გიო რიგრიგობით იქნევდა ხან ნამდვილ მარაკასებს, ხან თვითნაკეთ შეიკერებს – საახალწლო ნაძვის ხის მოსართავ ორი სხვადასხვა ზომის ბურთს, რომლებშიც

თითქმის ყველა ოჯახში ინახებოდა ერთი მოხატული და ფერადი ნივთი მაინც, რომელიც მაიმუნებისგან ხილისა და კენკრის ფასად შეიძინეს. მერე ერთ დღეს მაიმუნები გაუჩინარებულან. არავინ იცოდა საით წავიდნენ. ალბათ ენით აუწერელი ქვეყნების სანახავადო, ამბობდა თეკლას დედა და თეკლას გული სევდით ევსებოდა. ვინ იცის, როგორი იყო ის სამყარო, რომელსაც ის ვერასოდეს ნახავს.

და კიდევ... ძველი ხის თაროებზე უამრავი ნივთი ელაგა. დიახ, რატომ გაგიკვირდათ? თეკლას ძალიან, ძალიან უყვარდა ნივთის კითხვა და უცხო ენების შესწავლა. ხო,ხო ასეა. საქმეს რომ მორჩებოდა, წამოწვებოდა და ფუნჩულა თათებზე დაყრდნობილი კითხულობდა თვალწარმტაც ამბებს. შემდეგ კი ბეჯითად სწავლობდა უცხო ენებს: მგლურს, არწივულს ან ირმულს. ბევრი ენა იცოდა თეკლამ და მათი წყალობით ბევრი კეთილმოსურნეც შეიძინა დაბურულ ტყეში, სადაც ყოველ ნაბიჯზე საფრთხეა ჩასაფრებული, მაგრამ მშვენიერი და მეგობრული სიტყვები ძალიან ფასობს.

ასე ცხოვრობდა თეკლა, უსმენდა ტყის ჩურჩულს და ღამეული ქარის მუსიკას, მერე მთვარე და ღამის დედოფალი უგზავნიდნენ ძილს და სიზმარს, ისინი ვარდისფერ და იასამნისფერ ნისლში ახვედნენ თეკლას სოროს და მოდიოდა შვება და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ტყეს ხანძარი არ გაუჩნდა.

უცებ მოედო ცეცხლი ხეებს და უცებვე გაძლიერდა. ავი ალი მოინევა შეუბრალებლად, დაუნდობლად, ყვირილით, თავხედურად. ცეცხლი შემოესია ტყეს. ცხოველები ტოვებდნენ თავიანთ სოროებს, ზურგზე შემოსული შვილებით თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ და ხედავდნენ, არა, ვეღარც ასწრებდნენ დაენახათ,

როგორ ნთქავდა ცეცხლის დაფრენილი ხახა მათ სახლებს, მათ მოგონებებს, მათ ტყეს.

ასწლოვანი ხეები კვნესით ენარცხებოდნენ მიწას, უკვალოდ გაქრა ყოვლისმცოდნე, ბრძენი ხავსი, ჩაიფერფლა ბალახი და ყვავილები.

ცხოველებმა, ვინც მოასწრო, მდინარეზე პატარა კუნძულს შეაფარეს თავი. აქ იყო თეკლაც. აბუზულები, ბალანშეტრუსულები, აკანაკალებულები ეკვროდნენ ერთმანეთს, აღარავის ახსოვდა ვინ იყო მტაცებელი და ვინ მსხვერპლი. ცრემლიანი თვალებით შესცქეროდნენ იმას, რაც ოდესღაც მათი დიდი და თბილი სახლი, ტყე იყო.

მესამე დღის ბოლოს, როგორც იქნა, ხანძარი ჩაცხრა, მერე თანდათან ჩაიღველვა, ჩანაცრდა და გაქრა. ცხოველები შიშით, ფეხაკრეფით, ჰაერის ყნოსვაცნოსვით დაბრუნდნენ ტყეში, ფრთხილად ადგამდნენ ნაბიჯებს, მათი თათები ყოველნამს მზად იყვნენ უკან გადასახტომად. ძალიან ცოტანი დაბრუნდნენ, ძალიან ცოტანი. ბევრი ცეცხლმა შთანთქა, მაგრამ უფრო მეტმა მდინარე გადალახა და შორს აყვავებულ ჭალებს მიაშურა. თეკლამ იცოდა, რომ აღარც მისი სორო არსებობდა, აღარც პელაგიას ხალიჩა, აღარც დიდი ბაბუას მაგიდა, აღარც ძველი თაროები და... აღარც მისი ნივთები. ყველაფერი შემოსულმა ცეცხლმა წაიღო. იქით, მდინარის გაღმა კი ჭალებში უხვი საჭმელია, შიმშილი არავის შეანუხებს, საცხოვრებლის მოძებნაც იოლი იქნება, თუ არადა იმის იქითაც შეიძლება წასვლა, ვინ იცის, იქნებ ჭალებს, მთებს იქით სწორედ ის საოცარი მიწებია და ისეთი ამბები ხდება, რომლებზე ფიქრიც აუხდენელზე სევდით ავსებდა თეკლას გულს, მაგრამ... ბევრი მოიქცა ასე, წავიდა... მაგრამ თეკლა არსად წასულა. ის იჯდა თავის დანახშირებული სოროს ნაშთთან და ფიქრობდა. „აი, აქვარ მე, მაჩვი თეკლა. ჩემი სორო დაინვა, ყველაფერი რაც მიყვარდა, ჩაიფერფლა, ცეცხლმა გადაყლაპა ჩემი საუკეთესო მეგობარი პელაგია... მაგრამ ეს ჩემი ტყეა. მე აქ ვარ, მე - მაჩვი თეკლა. აქ ვისწავლე

მინის, წყლის, ხის, ფოთლის, ყვავილის, ხავსის, ლაბუა ჩიტის სიყვარული. ჩემი სორო დაინვა, ტყე დაჭრილი და დაგლეჯილია, მაგრამ მიწა დავცნოსე, გავქექე თათებით და ისევ ისეთია, შავი და რბილი. აქა-იქ პანანინა ბალახის ღეროებიც შევნიშნე, უკვე, წარმოგიდგენიათ? გაბმულ ზუზუნში მესმის, ყრუდ, არა, ნამდვილად არ მეჩვენება, ჩიტის შორეული გალობა, სადღაც შორიდან მოდის, დამწვარი ხეების სიღრმიდან. რაც ამ ტყეში ზღაპარი, ლეგენდა, საოცარი ამბავი მომისმენია, ყველა მახსოვს. ცხვირი წაყვავი სქელ შავ მიწაში. მართლა ისევ ისეთია, ნაცნობი სუნი აქვს და გული მტკივა. ცოტა ხანში ტკივილიც დაყუჩდება... ალბათ. გადარჩენილ ხეებზეც ამოვა ფოთლები. ერთ სოროსაც ვიპოვი როგორმე, იმიტომ რომ ტყე ჩემი სახლია, როგორიცაა, დამწვარი, დანახშირებული, მაინც ჩემია. ჩემი.“ მერე დაღლილმა თეკლამ ჩამოწოლილ ბინდში თავი თათებში ჩარგო და ყური მიუგდო ტყის ნაცნობ ხმაურს. ამასობაში მთვარემ და ღამის დედოფალმა ბრძანეს და ძილმა და სიზმარმა ფერად ნისლში გაახვიეს თეკლა და შვება და იმედი მოუტანეს საჩუქრად. დი დადავიარე-დავიწყე ბოლოსდაბოლოს "სეირნობა"!

მივდივარ, სიგარეტს ვენევი, თან გემვლელებს ვათვალისწინებ, იქნებ ნაცნობი ვნახო, ერთი ასეთი "სეანსი" ჩავუტარო... ჩემს წინ ვილა, შარვალ კოსტუმში გამონყობილი კაცი მიდის, თავჩაღუნული. ვიფიქრე, რა მნიშვნელობა აქვს, ნაცნობი იქნება თუ უცნობი, მეთქი. დავენიე, მივებარე და თვალებზე ხელი ავაფარე. თითები მომითათუნა. - ლაშა, შენა ხარ? - მეკითხება. - არა! ლაშა არ ვარ! კარგი, სრული პასუხი გავეცი. - აბა?! - ხელები მოიშორა და მოტრიალდა.

გაოცება არ დავაცალე: - არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო?! - ააა... შენა ხარ?! .. რავა ხარ? - ენა დაება. - ვარ,ნელ-ნელა. შენ რას შვები? მონყენილი მეჩვენები... ჰა! ბიჭო, ხომ არ დამიბერდი? - რა ვიცი, აბა? - ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა. - რა, რა იცი, ბიჭო?! აივნიდან ბავშვებს კენჭებს ხომ არ ესვრი ხოლმე? - არა,- გაელიმა,- ჯერ არა!-დაამატა სიცილით. - აბა, ესე იგი არა გიშავს! ტაქსმა გამოიარა. ხელი აუწიე. - აფსუს, მეჩქარება, თორემ თითო ჭიქა არ გვანყენდა- მეთქი. " სხვა დროს იყოსო". - საით?- მეკითხება მძლოლი. - აი, ასე, ზევით აუხვიე და პირდაპირ წადი,- მარშრუტი თითით ვაჩვენე. აუხვია თუ არა, მანქანა გავაჩერებინე,- სახლში რალაც დამრჩამეთქი. ტორპედოზე ლარიანი დავუდე და გადმოვედი. ტაქსი წავიდა თავის გზაზე. მე უცნობს გავხედე. ტროტუარის პირას იდგა და მანქანებს ხელს უქნევდა. ეტყობა რალაც აზრი მოუვიდა თავში. საინტერესოა ჩემზე რას ფიქრობდა. ალბათ: " ჰე, ჰე!.. შევეშალე ვილაცა-შიო! " მაგრამ მე ისეთი "პაროლი" მქონდა ნათქვამი, შეიძლება რცხ-ვენოდა: " როგორ ვერ ვიცანი, კაცო, როგორ ვერ ვიცანიო!"

1996 წ

თათ, ზოგს გულში გაუხარდა კიდევაც, აებლა მაგრად მოხვედბა ქეთოსო.

„ავგოგია“ შეიყვანა კაბინეტში და დაუნყო ყვირილი, ამ საქციელისთვის პირად საქმეში საყვედურს ჩაგინერო, კიდევ ორი ასეთი საყვედური და სკოლიდან წახვალო, "მაიტა ეგ ორივე, ახლავე წავალო," უთქვამს ქეთოს, გოგის თავი ვეღარ შეუკავებია და ახარხარებულა. მდივანმა ლალიმ გამოიტანა ეს ამბავი, მასწავლებლებიც ჩუმჩუმად იცინოდნენ და ამ ამბავმა ჩვენს ყურამდეც მოაღწია. ჩვენც გვიხაროდა, რომ ქეთომ გოგიას კისერი მოუგრისა.

გოგი მაგ ამბის მერე მოლბა, მოლბებოდა აბა რა, შეუყვარდა ჩვენი ქეთო...

ქეთო კი დაქროდა ქარაშოტივით და სულ არ ენაღვლებოდა „რბილგოგია

ჰოდა, მეცხრეში ვართ და ქეთო გვიხსნის ნიუტონის პირველ კანონს... „არსებობს ათვლის ისეთი სისტემები...“ და რომ გვეგონა კანონს გააგრძელებდა უცებ გაჩერდა, მოგვამტერა მომწვანო-მონ-

აცრისფრო თვალები და აქეთ გვკითხა: „არსებობს, რომ? საერთოდ სიყვარული არსებობს?“ ... კლასი გაიტრუნა, ჩაცინებაც ვერავინ გაბედა, დაჯდა ქეთო სკამზე და ასე გავიდა გაკვეთილის დარჩენილი დრო.

ეკჰჰ, ქეთო მასწ, არსებობს, როგორ არ ასებობს, ერთი ნახვით შეყვარებაც არსებობს, აგერ ჩვენ ასე შეგვიყვარდი და შენ რამდენი ხანი დაგჭირდა „რბილგოგია“ რომ შეგყვარებოდა?!

ჰოდა, იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა, ძალიან დიდი, სკოლის ეზოში ვგუნდაობდით, ქეთომ გუნდა გაისროლა და რკინის ჭიშკარში შემოსულ გოგიას სათვალეში აფეთა შემთხვევით, გოგია მიუახლოვდა ქეთოს. ჩვენი მასწი დამფრთხალ კურდღელს ჰგავდა, ეტყობა შეემინდა, თვალი ხომ არ ვატკინეო. გოგი მიუახლოვდა და ქეთოს გაყინული ხელები გულში ჩაიხუტა, გაირინდა მთელი ეზო... გოგიმ ქეთოს ხელები ჩაიხუტა... გოგიმ ქეთოს ხელები ჩაიხუტა...

ძნელი იყო ჩვენთვის ამის დანახვა, გავიხედე ჩუმად და ბიჭები თავჩაქინდრულები იყვნენ. მე გულში ვტიროდი, ალბათ სხვებიც, თავი რომ აგვენია, ასე მგონია ყველა ავღრიალდებოდით. გოგიმ ქეთო წაგვართვა.

გაზაფხულზე იქორწინეს. 91ში ბიჭი ეყოლათ, ჩვენც დავამთავრეთ და მიმოვიფანტეთ. რთული წლები იყო, ურთულესი...

მერე მე საფრანგეთში წავედი და იქ გავაგრძელე სწავლა, ჩამოსვლა არც მიფიქრია, ასე ოთხ-ხუთ წელიწადში დანატრებულ სამშობლოს ვნახულობდი.

მერე, 2008ში გავიგე, რომ ქეთოს და გოგის ერთადერი ბიჭი ომში დაიღუპა. გოგის გული გაუსკდა. ქეთო კი, ჩვენი უდარდელა ქეთო, საერთოდ უკარება გახდა, არავის აღარ ეკონტაქტებოდა, გავიგეთ სკოლიდანაც წავიდაო.

ორმოცდაორი წლის ქალები ცხოვრებას იწყებენ, ქეთომ კი დაასრულა. ყველა და ყველაფერი მიატოვა. მეტი აღა-

რაფერი მსმენია...

ქეთო კი აგერ ჩემი ქეთო მასწი, ჩემი პირველი სიყვარული, დარდისგან მხრებში ამოხრილი ორმოცდათხუთმეტი წლის თვალებჩამქრალი და ცხოვრებისგან დანახლული აგერაა ჩემს წინ, ჩემთვის კი ისევ ისე ოცდასამი წლის ქეთო მასწია, „რიცხვობანას“ რომ თანაშობს და ასკინკილით დარბის სკოლის ეზოში, ისევ ის ქეთო მასწია, წვიმაში ხალხი ქოლგებს რომ ეფარება და ეს მიატყაპუნებს და ცხოვრება უხარია.

გულში ძალიან დიდ ტკივილს ვგრძნობ და ვიკეცები შუა ქუჩაში. თვალებში დამიბნელდა, მაგრამ გონზე ვარ, ვგრძნობ რომ ქუჩაში ვგდივარ და თავზე უამრავი ხალხი მახვევია. ხალხი გაინია და ვხედავ, არა ვერ ვხედავ მომწვანო-მონაცრისფრო თვალებს, ჩემი ქეთო მასწი მეკითხება:

-ირაკლი, ხომ კარგად ხარ? სასწრაფო მანქანა მოდის...

20.08.2022

თინათინ ანახაშვილი




და მერე, როცა ცას ნაცრისფერი გადაეკრა
და ჯანლით დაიფარა ქვეყანა,
მამაკაცები ისევ ღრეობდნენ,
ოლონდ უკვე ველარ ხვდებოდნენ,
რომ სისხლივით წითელი ზედაშეს ნაცვლად
თებეს წყალს სვამდნენ,
ცოტაც და ერთმანეთს დაერეოდნენ...

და მაშინ წამოვიმართეთ დედაკაცები,
ჩვენი ფერადი სიზმრები სასთუმალთან დავაწყვეთ,
ჭრელი თავშელები ბანზე გამოვკიდეთ
და ჩვენი სუსტი მხრებით
და ჩვენი გამლილი თმებით
და ჩვენი უკიდევანო სევდით
ვიცავდით მიწას,
რომელიც სისხლით, ოფლით და ძვლებით
დაგვიტოვებს ჩვენმა მამებმა,
ჩვენმა პაპებმა
და პაპის პაპებმა
და ჩვენი ქალაქების ბჭებთან
დროშებით ფრიალებდა
ჩვენი თმების ოქროსფერი...

ძილი სიფხიზლედ ვაქციეთ,
შუაცეცხლს ვდარაჯობდით,
ბალავარში ჩაკირულ ლოდს ვდარაჯობდით,
რომ ლოდად თავკიდურად გვექცია.
ჩვენი ტკივილით გახურებულ თონებში
იმედის კვერებს ვაცხობდით
და დილით ხონჩებზე ვანყობდით,
რომ ჩვენს ჯერ კიდევ ცომივით ჩვილ შვილებს
საკუთარი პურის სუნი და გემო სცოდნოდათ,
საკუთარი კერიის სითბო სცოდნოდათ
ყოველ ღამით რწმენას ჭერზე ჭალებად ვანთებდით,
მკვდრებს კი საკუთარი მკვდრების დამარხვა მივანდეთ,
რათა ჩვენ ცოცხალთა შორის დავრჩენილიყავით
და ჩვენი ცომივით ჩვილი შვილებისთვის გვესწავლებინა -
არა პურითა ხოლო,
არა პურითა ხოლო,
არამედ...

და მერე მშვიდად მიგვეძინა
ჩვენი მკერდიდან დადენილი
სისხლისფერი ყაყაჩოების მინდორზე...



განხილვა იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ საკითხში
საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად კომპეტენტურად
მიიჩნევს. ფორუმში არსებობს გივი ალხაზიშვილის
მაგალითი, რომლის აზრს დიდ მნიშვნელობას ვანი-
ჭებ. იგივე ემხვარი, რომელიც ტერმინოლოგიის
გარეშე, მხოლოდ საკუთარ ინტუიციასა და ემოციურ
აღქმას დაყრდნობით ითხოვს “და წერს, მგონი
არანაკლებ საინტერესოა და, მოდი, ნუ მოვთხოვთ
ასეთ მკითხველებს, ტერმინოლოგიას “ჩაუჯდნენ” და
ლექსებში მარცვლები გვითვალონ. ასევე ხაზგასმით
მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფორუმის სივრცეში მე არა-
სოდეს მიგრძენია, ან წამიკითხავს ვინმესგან ვინმეს
“ყელში წვდომა”. ვერ ვხვდები, რა აძლევს გიორგის
ამის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ თვით
საჯიას ავტორობით ამა თუ იმ ლექსის კრიტიკული
განხილვა, ან სერიოზული შეფასებები თვალში დი-
დად არ მომხვედრია. ნებისმიერი მიზნის მიღწევისას
მენტორულ ტონსა და გამოსავლის მესიანურ ძიებაზე
მეტად პირადი მაგალითი ამართლებს.

გიორგი საჯია: ლიტერატურულ სივრცეში
ძალიან ბევრი (კარგი გაგებით) “თვითნაბადი” ავ-
ტორია, ვისაც გივი ალხაზიშვილის კომენტარები არ
ესმის. არადა კარგი იქნებოდა გაეგოთ. ისევ მათ-
ვის იქნებოდა სასარგებლო. ლიტერატურაში დამით
უფრო პოეზიაში, არც ისე იოლად არის ყველაფერი,
როგორც შენ ახლა ცდილობ ნარმოაჩინო. კრიტიკა
რომ მხოლოდ ინტუიციასა და ემოციას ეყრდნო-
ბოდე, მაშინ დღეს ყველა პოეტი ან მწერალი იქნე-
ბოდა. უბედურება ის არის, რომ ამის ტენდენცია უკვე
არსებობს და ეს ძალიან საშიშია. დღეს წერას ეპიდემი-
ის სახე აქვს მიღებული, რომლის პროვოცირებასაც
ინტერნეტ-სივრცე ძალიან უწყობს ხელს და რომ არა
ამ საკითხისადმი პროფესიონალური მიდგომა და ამ
«სენის» დროული აღმოფხვრა, ეს შესაძლოა ფატა-
ლურიც აღმოჩნდეს ქართული ლიტერატურისთვის.
შენ სრული უფლება გაქვს წერო და იკითხო ისე, რო-
გორც საჭიროდ მიგაჩნია და სულაც არ ილყოფრად
არავის აზრი, მაგრამ არსებობენ ადამიანები, მათ
შორის «ებლიტფოზეც», ვისაც აინტერესებს როგორ
და რანაირად უნდა იყოს ვერსიფიკაციით დადგენილი
წესის და კანონის გათვალისწინებით პროზა
და პოეზია ერთმანეთისგან გამიჯნული. მხოლოდ
«ინტუიციის» დონეზე შენი ბევრი ლექსი შეიძლება
უბრალოდ ლამაზ პროზაულ მინიატურად აღვიქვა და
შესაბამისად, მყარი არგუმენტი მჭირდება იმისათვის,
რომ ის პოეზიის სივრცეში დავტოვო. თუ სერიოზულ
კრიტიკაზე საუბარი, მაშინ ყველაფერი ნულიდან
არის დასაწყები. შემიძლია “შავი სამუშაო” საკუთარ
თავზეც ავიღო, შემიძლია არც ავიღო და უბრალოდ
ჩემი საქმე ვაკეთო, ანუ ვწერო და პერიოდულად თვა-
ლი გადავავლო ფორუმზე განთავსებულ საინტერესო
კომენტარებს, რომლებიც არც თუ ისე ხშირია.

ჩემს მიერ განხილული ტექსტი და მისი შეფასება
რომ არ შეგხვედრია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ
არაფერი მაქვს სათქმელი. პირადად შენთვისაც ბევრი
მაქვს სათქმელი და გეტყობი კიდევ, რომ არა შენი
ერთი უცნაური თვისება. ყველაფერზე საკუთარი
მოსაზრება გაქვს და უარყოფით აზრზე ისე რეა-
გირებ, როგორც ბუში ირანის ატომურ პროგრამაზე.
კრიტიკის კულტურის გარდა, სხვა კულტურაც არ-
სებობს, რომელსაც მოსმენის კულტურა ჰქვია და
რომლის არმქონე ავტორის ნაწარმოების განხილვის
სურვილი, რაღა დაგიმალო და არავის აქვს. შევეცადე,
ერთხელ შენთვის მეგობრული რჩევა მომეცა, მაგრამ
მაშინაც საპასუხოდ არაადეკვატური რეაქცია მივიღე.
ასე რომ, კრიტიკამდე ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს
სასწავლი და პირველ რიგში ის, რომ სიტყვა “სწავლა”
არამც და არამც არ არის შეურაცხმყოფელი.

ჰექსე: გიორგი, მე მგონი, შენ არასწორად გამიგე-
ნებისმიერ წამოწყებაში წარმატებას გისურვებ და
მივესალმები ასეთი თემის გახსნას. არ ვიცი, რატომ
მოგეჩვენა, რომ მე ვცდილობ, იოლად წარმო-
ვაჩინო ყველაფერი. ხელოვნურ დაარაგულწრფელ
გართულებას რომ ვერიდები, სხვა საკითხია. ნამ-
დვილად არ მგონია, რომ წერა “სენადაა” ქცეული
და მით უმეტეს, მავანის პირველი ლიტერატუ-
რული მცდელობები ფატალური შეიძლება გახდეს.

"ებლიტფოზი" პრკვალე მკოდა

იხნის თუ არა დიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიქობის ხენისაგან?

➔ მესამე გვერდიდან

იქნება შესაძლებელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვანა-
ირად არაფერი გამოვა და ფორუმზე ლიტერატურული
კრიტიკის კულტურის დამკვიდრების ნებისმიერი
მცდელობა, წყლის ნაყვა იქნება და სხვა არაფერი.

ჰექსე: ამ თემის გახსნა უდაოდ კარგი იქნება. თუმ-
ცა, მიმაჩნია, რომ ლიტერატურული ტერმინოლოგიის
შესწავლა ლიტერატურული დისკუსიის კულტურის
დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი არ არის (ხაზს ვუს-
ვამ, საჭირო და სასურველია, მაგრამ გადამწყვეტი და
სავალდებულო — არა). ტერმინების სწავლა ძალიან
ადვილია და არა მგონია უმეტესობამ არ იცოდეს ისინი.
ასევე, ადვილია ტექსტის წაკითხვაც, მაგრამ ეს ორი რამ

არც თუ პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთ-
თან და წაკითხულის აღქმას ვერც ტერმინების ცოდნა
წაადგება დიდად და ვერც “პოეტურ ნაწარმოებზე ანა-
ლიტიკური მუშაობის ალგორითმები”. ეს უკანასკნელი
მეც არ მესმის და შესწავლა მომიწევს. თუმცა, ცუდი
მკითხველი არა ვარ და ლიტერატურის შესახებ საუბარი
ფორუმის დონეზე მაინც შემიძლია.

ვფიქრობ, ლიტერატურული დისკუსიის, ლიტ-
ერატურული კრიტიკის კულტურის ჩამოყალიბებას
ბიძგი, სტიმული, მოტივაცია სჭირდება. აუცილებელია
დისკუსიის წამოწყება, ლიტერატურული კრიტიკის
კუთხით მაქსიმალურად ბევრი ავტორის ნაწარმოების

მარინა გიგოცაშვიდი



მე ბერენიკეს თმები ვარ, უმშვენიერესი, ტალღოვანი, მოელვარე და მოციმციმე ნისლეული, რომელიც ნაპერწკლებად აელვარებული არქტურის, შვიდვარსკვლავა დიდი დათვისა და დიდებული, მეფური ლომის თანავარსკვლავედებს შორის საუცხოო, მქრქალ კონფიგურაციადაა გამოსახული. კაშკაშა რეგულიც აქვია, მოციმციმე ალკორი და მიცარიც, და როგორც წვრილ-წვრილი ბრილიანტების მტვერი, მათ შორის ჩემი თანავარსკვლავედია გაბნეული!

არ გაინტერესებთ, აქ როგორ მოვხვდი? ახლავე ყველაფერს გაიბზობთ. სულ თავიდან დავიწყებ. ეს მოხდა ეგვიპტეში, ძალიან დიდი ხნის წინ, თითქმის 2300 წელი გავიდა მას შემდეგ. პირამიდების ქვეყანას მართავდა პტოლემე III ევერგეტი, შვილი პტოლემე II ფილადელფოსისა, რომელმაც ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დააფუძნა. ფარაონის – პტოლემე III ევერგეტის მეუღლე იყო ბერენიკე II, დედოფალი, რომელიც განთქმული იყო თავისი მშვენიერი, ულამაზესი, ქარვისფერი თმებით, კოჭებამდე რომ სწვდებოდა. მის თმებს ლექსებს უძღვნიდნენ პოეტები, მთელი ქვეყანა ამაყობდა დედოფლის ოქროსფრად ბრწყინვალე თმებით, რაც არამარტო მისი მშობლიური ქვეყნის სიამაყე იყო, შორეული ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ მნახველები, რათა ეხილათ ეს საოცარი, მბზინვარე დალალები. ფარაონი ვერ ძლებოდა ბერენიკეს თმების სიმშვენიერით და ამაყობდა, ასეთი ლამაზი და გამორჩეული მეუღლე რომ ჰყავდა. მაგრამ მათი ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ფარაონს, თავის ლაშქართან ერთად, გამგზავრება მოუწია, რადგან ასირიელებთან ბრძოლა გარდაუვალი იყო. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ფარაონი სახლიდან იყო წასული. ბერენიკე ძალიან განიცდიდა და ღელავდა მეუღლის ბედზე. ამიტომ მან ჰკითხა ფარაონის წინასწარმეტყველს – კონონს, რა უნდა გაეკეთებინა, რომ მისი მეუღლე სახლში სალი და უვნებელი დაბრუნებულიყო. კონონმა ურჩია დედოფალს, რომ შეენირა თავისი მშვენიერი თმები სიყვარულის ქალღმერთისთვის - აფროდიტისთვის,

რომ მისი ქმარი შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. კიდევ რამდენიმე კვირის დაძაბული მოლოდინის შემდეგ ფარაონი დაბრუნდა სახლში ცოცხალი და უვნებელი. მთელი ქვეყანა სიხარულმა მოიცვა, გამარჯვებას ზეიმობდა. გახარებული იყო დედოფალიც, მაგრამ მან უთხრა მეუღლეს თავისი ალექსის შესახებ, შეენირა თავისი თმები სიყვარულის ქალღმერთისადმი. დანაღვლიანდა ევერგეტი, მაგრამ დედოფალი ვერ დაარწმუნა, გადაეთქვა თავისი სიტყვა. დედოფალი შევიდა ტაძარში. ქურუმებმა ბერენიკეს თმები შეკვეცეს და ულამაზესი თმები სამსხვერპლოზე ზვინად დაახვევეს.

მეორე დღეს ფარაონი მივიდა ტაძარში, რომ ეხილა ბერენიკეს თმები, მაგრამ აღმოაჩინა, რომ სამსხვერპლო ცარიელი იყო, თმები გაქრა ტაძრიდან. ფარაონი გაცეცხლებული იყო, ქურუმები შეკრება და მათ ადანაშაულებდა ყველაფერში. იქვე, ადგილზე გადაწყვიტა მათი დასჯა. მაგრამ საქმეში ასტროლოგი კონონი ჩაერია. მან უთხრა ფარაონს:

– არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, ეს არ არის ქურუმების შეცდომა, ნუ ადანაშაულებთ მათ. სალამომდე მოიცადეთ და მე გაჩვენებთ, სად არის ბერენიკეს თმები.

როდესაც დაღამდა, ვარსკვლავთმრიცხველმა ნაიყვანა ფარაონი ისეთ ადგილას, სადაც ვარსკვლავებით მოჭედილი ცახელისგულივით ჩანდა, და უთხრა:

– შეხედეთ, განა თქვენ ვერ ხედავთ თქვენი მეუღლის კულულებს, აჭურული ნაქსოვივით ერთად შეჯგუფებულს და ისეთნაირადვე ოქროსფრად გაბრწყინებულს, როგორც დედოფლის თავზე იყო შემოგრავნილი?! ბერენიკეს თმები მხოლოდ ერთად-ერთი ტაძრისთვის ძალზე ლამაზი იყო, ამიტომ ღმერთებმა ისინი ცის თაღზე მოათავსეს, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ყველას შეეძლოს მათი ხილვა და დატკობა! და ახლა იქ, ქალწულის, ლომის, მენახირის და მეძებარი ძაღლების თანავარსკვლავედებს შორის, სუსტი ვარსკვლავების დიდი რაოდენობა ციმციმებს. სწორედ იქაა "ბერენიკეს თმები" განთავსებული, როგორც თანავარსკვლავედი! ასტრონომმა აუნყა ყველას, რომ დაღამებამდე ჰელიოსი ზეციდან ჩამოვიდა და ბერენიკეს ოქროსფერი დალალები ცაზე აიტანა, სადაც მთელი სამყარო დატკობოდა მათი სილამაზით. ფარაონი ამ ახსნაგანმარტებებით კმაყოფილი დარჩა და ბერენიკეც გახარებული იყო, რომ აფროდიტემ ასე დააფასა მისი ერთგულება და სიყვარული.

ბერენიკეს თმებს, ანუ ჩემს თანავარსკვლავედს, ლათინურად "Coma Berenices" ჰქვია. "Coma"-ს ლათინური მნიშვნელობაა "თმები თავზე". ის ლათინურიდან ბერძნულში გადმოვიდა, როგორც სიტყვა "Come", რაც ნიშნავს "გრძელთმებიან თავს", ასევე ნისლეულს კომეტის თავის გარშემო. ჯერ კიდევ არისტოტელე იყენებდა ბერძნულ სიტყვას "Come", როგორც კომეტის კაშკაშა შლეიფის დასახელებას. არისტოტელემ გამოიყენა მის მიერვე შედგენილი სიტყვა "cometes", როგორც ამ ციური ობიექტის – კომეტის სახელწოდება.

ამიტომაც ჰქვია კომეტას კომეტა, ანუ "გრძელთმებიანი ვარსკვლავი". ქართველები კი უძველესი დროიდან კომეტებს "კუდიან ვარსკვლავებს" უწოდებდნენ, რასაც სხვა ენებში ანალოგი არ აქვს!

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს თანავარსკვლავედს. ჯერ დავიწყეთ იქიდან, რომ თავისთავად, სახელი - ბერენიკე, ძალზე მნიშვნელოვანია. ეგვიპტელი ფარაონების მეუღლეებიდან ოთხს ერქვა სახელი ბერენიკე. მაგრამ ჩემი დედოფალი – ბერენიკე II – ყველაზე სახელგანთქმული დედოფალი იყო. ამიტომ ჩემი თანავარსკვლავედიც სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. თავად სახელი ბერენიკე მაკედონური წარმოშობისაა, ხოლო სიტყვა "ბერენიკე", ბერძნულად ნიშნავს "გამარჯვების მომტანს". "bere" ბერძნულად წარმოითქმენა, როგორც "ფერე" (phere) და ნიშნავს "გქონდეს", იქე კი – გამარჯვება, ანუ 'victory'). ჩემი ქალბატონის სახელი ბერძნულმა მოგვიანებით მიანიჭეს ქარვას. მისი, როგორც განსაკუთრებული დედოფლის სახელი დაარქვეს ლიბიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქს, თუმცა შემდგომ მისი სახელწოდება, სამწუხაროდ, შეცვალეს და მას ჰესპერიდები დაარქვეს, დასავლეთის მითური სამოთხის მცველების სახელი.

ბერენიკეს თმების თანავარსკვლავედი კი სულ სხვა რამეა, თუმცა მქრქალად მოციმციმე, მაგრამ ულამაზესი თანავარსკვლავედი. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები ცდილობდნენ ჩემი სახელწოდების შეცვლას და დაჩემებას. თუ გსურთ, ჩამოგივლით, რამდენი მეტამორფოზა განიცადა ჩემმა დასახელებამ თუ კონფიგურაციამ! გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ერასტოფენემ მე არიადნეს თმები მიწოდა, როდესაც ის აღწერდა არიადნეს გვირგვინს. თუმცა, მოგვიანებით, მან ჩათვალა, რომ მე მაინც ლომის თანავარსკვლავედს მივე-

კუთვნები, და მე მომიხსენიებს, როგორც "ბერენიკეს თმების კულულს", მოკვეცილს ბერენიკეს თავიდან, ეს ცოტა უფრო ახლოსაა სიმართლესთან, ასე არ არის? შემდეგ კი დამიბრუნეს ჩემი ჭემმარტი სახელი, ბერენიკეს თმების სახელწოდებით, მაგრამ, რად გინდა, თითქმის 2000 წელი დამჭირდა, რომ სათანადო ადგილი დამემკვიდრებინა თანავარსკვლავედთა შორის! რატომ? ასტრონომები თვლიდნენ, რომ მე ამორფული წარმონაქმნი ვიყავი, ხან ლომის თანავარსკვლავედს მიმაერთებდნენ, ხან ქალწულის თანავარსკვლავედის ნაწილი ვიყავი, ან კიდევ მხოლოდ ნაწილობრივ ვიყავი თანავარსკვლავედი! მხოლოდ ტიხო ბრაჰემ, უდიდესმა დანიელმა ასტრონომმა და XVII საუკუნის ყველაზე საუკეთესო ასტრონომმა-დამკვირვებელმა, 1602 წელს ყველაფერი მოანსწიერა და თავის კატალოგში შემიყვანა, როგორც დამოუკიდებელი, გამოცალკევებული თანავარსკვლავედი, იმ სახელწოდებით, როგორც ამჟამადაა მიღებული. ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობა აღსდგა!

კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებოდით ჩემს შესახებ, მაგრამ ვშიშობ, თავი არ მოგაბეზროთ. ამიტომ, ვამთავრებ ჩემს მონოლოგს. თუმცა, გპირდებით, რომ აუცილებლად დაგიბრუნდებით.

საუკეთესო სურვილებით,

"ბერენიკეს თმების" თანავარსკვლავედი

15.09.2012





ორი ჯენჯი ანუ აქ იყო ჩაე ბერი

ნინო გუგუშაშვიდი

ზღვის წვრილი ქვიშა თვითონ ჩაყარა. არ ბეზრდებოდა გიოს შეიკერების და მარაკასების ჩხარუნი – ოლონდ ვინმეს რამე დაეკრა, უცებ ააყოლებდა. დრამის ნაკრებიდან ჯერ მხოლოდ ჯოხები ჰქონდა ნაშოვნი და იმ მუშა დოღზე ოც-ნეობობდა, კულტურის სახლში რომ ჰქონიათ ძველი დრამიდან შემორჩენილი, „ბარახოლშიკს“ დაველაპარაკებო, ტარანა დაჰპირდა, შეიძლება „რაბოჩი“ ვითრიოთო, „რაბოჩი“ თუ ითრიეს, მერე ბასი, თეფში და უკვე დაკვრაც შეიძლება – ამას იხილავდნენ გიო, ფარნა და ია, ვიდრე ოთო და დიშკა „შტიკ-ნოჟზე“ და კალაშნიკოვზე ლაპარაკობდნენ, და ეს სიტყვები – „შტიკ-ნოჟი“, „ბას-ბოჩკა“, „კალაშნიკოვი“ და „რაბოჩი“ ისეთი შეუთავსებელი ჟღარუნით ეხლებოდნენ ერთმანეთს ამ სარდაფში, თითქოს „პეპერლენდის“ კედლები შეუთავსებლობის ატომის სიანჩხლით სკდებოდა და იბზარებოდა, ბზარებიდან კი გარეთ მოჩანდა ასევე შეუთავსებლობის სიანჩხლით დამუხტული ხალხი – ზოგი ზღვაზე მიდიოდა საბანაოდ ან კაფეში ყავის დასალევად, ზოგი ყალყზე შემდგარი გაჰყვიროდა ლოზუნგებს და ვილაცასთან საომრად ემზადებოდა, ზოგი სარდაფის ბზარებში იჭვრიტებოდა რუპორივით მყვირალა მზერით – „რა დროს გიტარა და დოლია, ავტომატი უნდა გეჭიროთ ხელში!“

აქ იყო რინგო. ეს რინგო გიომ დახატა. სად არის ახლა გიო? გიო ერთადერთი იყო, რომელსაც გვარის შეცვლის ულტიმატუმი არ წაუყენეს, იმიტომ, რომ ვერ მოასწრეს, რადგან გიო ერთადერთი იყო, ვინც ფარნას გაჰყვა პარკში დასაკრავად. ჩაყარა გადასაკიდებელ ჩანთაში თავისი ყველა მარაკასი და შეიკერი და წაყვა უსიტყვოდ, თუმცა არა მორჩილად, არამედ ისევე ჯიუტად და პრინციპულად, როგორც თვითონ ფარნა ნავიდა სად არის ახლა გიო? თუ გაუმართლა, ალბათ, კობეინით, ისიც მარადიულ ნირვანაშია, თუ არა და სხვა გზა არ არსებობს, გიოს სხვაგან რა უნდა? – ჩვიდმეტი წლისაც არ იყო ჯერ, იჯდა, მშვიდობიანად იქნედა თავის ზღვის ქვიშაზე შეიკერებს, დრამზე ოცნებობდა და მუსიკით მავნიების დაფრთხობის და გაადამიანურების სწამდა ხანდახან ბიჭები თბილისში ჩადიოდნენ იქაურ ბიჭებთან ერთად დასაკრავად, ხან ზუგდიდში, სადაც ფარნას ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ. ყველგან ერთი და იგივე ისმოდა: რა დროს გიტარა და დოლია, რა დროს კიკინები და შორტე-ბია! ახლა ვაჟკაცი ავტომატით უნდა იბრძოდეს.

– ავტომატით, ვის წინააღმდეგ?
 – ქართველების წინააღმდეგ.
 – როგორ? მე თვითონ ვარ ქართველი.
 მე – ჩემ წინააღმდეგ?
 – შენ აფხაზი ხარ.
 – მერე ეგ ერთი და იგივე არ არის?!
 დიშკამ და ოთომაც კი აღარ დაუჭირეს მხარი, ბოლო-ბოლო, უნდა აირჩიო ვისკენ ხარო. ფარნა მუსიკისკენ იყო. ეგრე არ არისო. არჩევანი უნდა გააკეთო და იარაღი აიღო. ფარნამ აიღო იარაღი – როცა ქალაქში ყველა ისროდა, აიკიდა

გიტარა და ქალაქის პარკში ნავიდა დასაკრავად. გიომ წამოკრიფა თავისი „ყუმბარები“ – მარაკასები და შეიკერები – და გაჰყვა. მათ ეცვათ თეთრი მაისურები ფერადი წარწერით „ეპპერლენდ“ და ეგონათ, რომ ამ წარწერის დანახვაზე მავნიები იარაღს დაყრიდნენ და აცეკვდებოდნენ. წარწერის ყველა ასო იამ გამოჭრა სხვადასხვა ფერის ნაჭრებისგან და დააკერა მათ მაისურებს. ჰყავდათ სულ ოთხი მსმენელი – დიშკას ბიძა არტუშა, რომელსაც კვარტლის გეგმით პარკში სკამების გადაღება უნევდა ამ დროს, მისი ძალი „ტარტაროზა“, იას მამიდაშვილი გოგონა, რომელსაც ფარნაზეც ჰქუა ეკეტებოდა და გიოზეც და სახლიდან გამოიპარა მათ მოსასმენად, და ლოთი მატყვი, სულ პარკის სკამებზე რომ ეძინა დაზამთრებამდე. პირველი კომპოზიციის შემდეგ ოთხ მსმენელთაგან სამმა ტაში და „ტარტაროზამ“ კულის ქიციანი არ დაინანეს, გიო ძალიან ბედნიერი იყო – ეს იყო მისთვის პირველი ოფიციალური აპლოდისმენტები. მეორე კომპოზიციის დაწყებისთანავე სადღაც ახლოს, ხეების მიღმა გასკდა მეხი ან რაღაც მეხისმაგვარი და გიოს ფეხებთანვე დაცვივდა გიოს მარაკასები. ბიჭების თეთრ მაისურებს და ფერად წარწერებს სისხლის შხეფების და ბილიკების პრინტი წითელღეროიანი მიხაკებივით მიეხატა და შემზარავად მოუხდა. გიო საავადმყოფოში მიყვანამდე დაიცალა სისხლისგან. ფარნა თვენახევარი გადადიოდა და გადმოდიოდა საიქიოს საზღვარზე და ბოლოს, როგორც თვითონ ფარნამ თქვა, „იქით“ უფრო პრინციპულები აღმოჩნდნენ – არ მიიღეს. გონზე სოჭის საავადმყოფოში მოვიდა, სადაც ბიძამისი მუშაობდა, ოთოს მამა

ამბობდნენ, რომ ოთო და დიშკა სადღაც იქვე ტრიალებდნენ, ხეებიდან უთვალთვალდნენ, უნდოდათ დაკვრა, მაგრამ ვერ ბედავდნენ – მათი იარაღიანი და „ბუმლატიანი“ წვეროსანი უფროსი ძმები დასცინებდნენ ან სულაც პასუხს მოსთხოვდნენ სისუსტისთვის. ოთო და დიშკა პირველები მოცვივდნენ სროლის შემდეგ.

კიდევ ამბობდნენ, რომ ხასანას „სასტავიდან“ ესროლეს ბიჭებს, რომ ამის შემდეგ ჯერ არტუშა ეჩხუბა დიშკას, სად დაეთრევი, სახლში დაეგდო, მერე დიშკა ეჩხუბა ხასანას „სასტავს“ და იმით გაასხმევინეს ტვინი დიშკას და მერე არტუშამ გაასხმევინა ტვინი ხასანას. მაგრამ ფარნა არ დაინტერესებულა, ერთხელაც არ უცდია იმის გაგება, ვინ ესროლა, – ქართველმა, აფხაზმა თუ ბრმა იარაღმა – რა აზრი ჰქონდა რომელიმესთან ლაპარაკს? ბრმა ტყვიის გარდა მაინც არცერთ ვერსიას არ მიიღებდა.

ფარნამ არ აღიარა ომი, არ ცნო, არც მამინ და არც მერე.

ისევე, როგორც მანამდე არ ცნო ეროვნული მოძრაობა, არც ქართული, არც აფხაზური, და კიდევ უფრო ადრე არ ცნო კომკავშირი და კომპარტია. არ ცნო მთელი ეს ეგზალტირებული და ყალყზე შემდგარი სიგიჟე, გამოჯანმ-

რთელების შემდეგ გერმანიაში ნავიდა მშობლებთან ერთად, მუსიკას არცერთი დღე არ დაშორებია. ევროპაში ჩასულს დახვდა „ნირვანას“ ხანა და სწორედ იმ მოკლეთმინი გოგოს ხანა, რომელიც მან ფოტოდან გადახატა გაგრაში „პეპერლენდის“ კედელზე ისე, რომ გოგოს სახელიც არ იცოდა. და როცა მთელი სტადიონი და მთელი ევროპა „ძომბი“-ს მღეროდა თავდავიწყებით, ფარნას საქართველო აქედან კიდევ უფრო გულსაკლავად გზაბნეული, განწინილი და ამღვრეული ეჩვენა, მაგრამ მარცხზე ფიქრი არ უნდოდა და დამთავრებულად არც არაფერს თვლიდა. დარწმუნებული იყო, რომ უბრალოდ, დრო სჭირდებოდა გზის მონახვას და ამღვრეულის დაწმენდას. ამ დროს დაიცდიდა, ამ დროს აძლევდა ყველას, ოთოსაც კი არ უკავშირდებოდა, არც იას

ია სად არის ახლა? თბილისში ცხოვრობს, წერს, ხანდახან უკრავს. სამი თვით ზუგდიდშია წასული – დევნილთა ხელახალი აღრიცხვის დროებითი კომისიის წევრია, კომისიას ბევრად უფრო გრძელი სახელი აქვს, მაგრამ ია არ იმასხოვრებს სრულ სახელს, შემოკლებით „ბენდს“ ეძახის და სალამობით ზუგდიდის ქუჩებში დაბორილობს, ეცნობა ქალაქს, რომელიც რაღაც ძალიან მშობლიურთან აახლოებს. დილიდან ისევე მოდიან დევნილები, როგორც ოფიციალურად უნოდებენ – ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რიგში დგებიან, კითხვებზე პასუხობენ, იღებენ სურათებს და გადიან.

რიგში ისე დგანან, თითქოს რაღაც განსაკუთრებული იციან, რიგში დგომის ოცნლიანი გამოცდილება აქვთ. ასე სხვა ვერ დადგება რიგში. მათი ცხოვრება რიგში დგომა და მოლოდინია – მატარებლის მოლოდინი, გემის მოლოდინი, დაბინავების, აღწერის, დაბრუნების მოლოდინი

იას წინ ასაკოვანი კაცი ჯდება.
 – ვლადიმერ ბალიშვილი ბიქტორის ძე, ოთხმოცდაორი წლის, – იწყებს თვითონვე, სანამ ია მის ანკეტას ეძებს. – სოხუმის რაიონი, სოფელი აჩადარა. ფილმი ხომ გაქვთ ნანახი, „ჩიორა“, იმაში ვთამაშობ, ჩვენთან გადაიღეს.

– მართლა? „ჩიორაში“ ვის როლს ასრულებთ?

– იალალიძე! – ასე გაერთიანებული სახელით და გვართი მიმართავს ხოლმე იას კომისიის თავმჯდომარე, მისი ბავშვობის მეგობარი, – შენ აქ შენი მწერლური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩამოხვედი თუ საქმის საკეთებლად?

– ანაბერიძე, – იმავე სტილში პასუხობს ია, – სასარგებლოს ვუთავსებ სასიამოვნოს და უსიამოვნოს.

– „ჩიორაში“ კარში ვდგავარ, ბალნიცაში, – თავისას აგრძელებს იძულებით გადაადგილებული ბალიშვილი – იმ გოგოს ვეუბნები, კარში რომ შემეპარება, „სად მიდიხარ? არ შეიძლება“. იქ ჩემი მეუღლეცაა, სხვისი ბავშვი უჭირავს, მომსვლელია ვითომ.

გაიცინა, ძალიან ცოცხლად ლაპარაკობს, არ ჩუმდება. უცებ შუბლში იტკიცა ხელი:

– შვილი მომიკვდა, მეუღლე მომიკვდა, რა მაცინებს! – და დადუნდა. ლურჯი თვალეები აქვს, ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეძში, იქ მალაზიის შენობა დაუთმეს.

– დამიკანონებენ? – ეკითხება იას და პასუხს არც ელოდება, – აქაურ ოქროს იქაური ნახშირი მირჩევნია

შესვენების შემდეგ მომსვლელი თანდათან კლებულობს, საღამოსკენ სულ უფრო იშვიათდება.

– ზოგს რა უცნაური სახელი აქვს, არა? – ამბობს ნონა, – ახლა მამანტი გეგეჭკორი მყავდა.

– მე რაბი ლამანძია გავატარე.

– მე კაპიტოც მყავდა და კაპიტონიც.

კომისიის წევრები ანკეტებს ათვალეებენ და ცდილობენ ყველაზე უცნაური სახელი მოძებნონ. „ბენდის“ წევრების უმრავლესობა ახალგაზრდაა, ზოგი – სტუდენტია სტაჟირებაზე.

ამ დროს იას წინ ლამაზსახიანი ასაკოვანი ქალი ჯდება – ნატრული ბებია. ნატრული სახელია, ბებია – გვარი.

შეხედავ, მართლა სანატრელი ბებიაა, რომ ინატრებ, ახლა ბებიას ჩამახუტაო, ისეთი ბებიაა. არადა, სინამდვილეში მამიდაა. არ გათხოვდა, თავისი დაობლებული ძმისშვილები გაზარდა, ახლა იმათ შვილებს ზრდის.

ამალასავით დაჰყვებიან ამ პატარა ქალს თავისი გაზრდილი მაღალი ძმისშვილები და ძმისშვილიშვილები – შვიდნი მოვიდნენ ერთად: ნატრული ბებია, ორი ძმისშვილი და კიდევ მათი ოთხი შვილი – სუყველა ბებიები. ჯერ ნატრული ბებია, ანუ მამიდა დასვეს იასთან, დანარჩენები სხვა ოპერატორებთან ჩამორიგდნენ.

ნატრული ბებია კი არა, ნატრული მამიდა ყოფილხართო, ირაკლი ეუბნება.

ბებიების წასვლის შემდეგ მოდიან ხვინგიები, ყველა წყვეტეს ძეები და ასულები არიან, და იზორია მაკატერინე ვაგნერის ასული. ია ცოტა ხანს თავისუფლდება და ეზოში გასვლას აპირებს, მაგრამ ეზოში მანქანა ჩერდება – კიდევ ვილაც მოდის რეგისტრაციაზე. ია ადგილზე ჯდება.

– ვა, რა საინტერესო ტიპი მოდის, – ამბობს სალო.

ირაკლი შემოსასვლელში საბუთს უმონწებს ახალ მომსვლელს და ხმამაღლა კითხულობს მის სახელს, ამით თან თავის ოფიციალურ მოვალეობას ასრულებს, თან კომისიის დანარჩენ წევრებს უგებს უცნაური გვარ-სახელების აღმოჩენის ჩემპიონატში:

– ფარაონ რამზესის ძე ქეცბაია. მიბრძანდით მეოთხე ოპერატორთან.

ფარაონ რამზესის ძე იას უახლოვდება, საბუთს მაგიდაზე უდებს და ჯდება.

– ია, – ამბობს ისე, თითქოს არ იცის, დარჩეს თუ ნავიდეს, – შენა ხარ?

– ოცი წელია გიცნობ და ფარაონი თუ იყავი, არ ვიცოდი, – ილიმის ია და ხელს უწვდის.

კომისიის წევრებმა ერთმანეთს

გადახედეს. ნონამ და სალომ ეშმაკურად ჩააპაჭუნეს თვალები რალაციის ნიშნად, თუმცა რის ნიშნად – თვითონაც ვერ იტყოდნენ.

იასთან გასაუბრების შემდეგ ფარაონ რამზესის ძემ კომისიის თავმჯდომარესთან გაიარა დამონების პროცედურა, ანკეტა აიღო, ზოგადად დააქნია თავი გაუგებარი დამშვიდობების ნიშნად და გავიდა.

მისი გასვლაც იყო და კომისიის წევრები, რომლებსაც ამ დროისათვის ყველა მომსვლელი გაეშვათ, ერთბაშად ახმაურდნენ:

- აუ, რა მაგარი ტიპი იყო! – ყელი გამოინია სალომ.
- იცნობ, ია?
- ბავშვობაში ვიცნობდი.
- რა ტატუ ქონდაა, მეც მინდა ეგეთი ტატუ!
- თმებიც რა მაგრად ქონდა შეკრული.
- თან როგორი სპორტულია, რალაცნაირი.
- მანქანაც უცნაური ყავს, ერთ მხარეს კონდორი თუ შევარდენი ახატია, მეორე მხარეს კუ, – თქვა ირაკლიმ.
- ვაიმე, კუსი მეშინია, მაგრამ ამას ყველაფერი უხდება, – ალტაცებას კუს შიშიც ვერ უნელებს სალის.
- კუსი რატომ გეშინია? – იკითხა სიღინჯით და აუღელვებლობით გამორჩეულმა ტატომ.
- რა ვიცი, ძალიან მეშინია. კუ რომ მომიახლოვდეს, გავიქცევი, არ შემიძლია.
- თან თუ გამოგეკიდა, ხომ ვერსად წაუხვალ!

ამ ყრიამულში ირაკლი შემოსასვლელი კარის მიწებიდან ისევ ფარაონ რამზესის ძეს უთვალთვალებდა. ფარაონი ცოტა ხანს იდგა ეზოში, თითქოს ბოლო მომსვლელის წასვლას ელოდა, მერე მანქანის კარი მიხურა და ჩქარი ნაბიჯით ისევ ოფისისკენ წამოვიდა.

– მოდის, მოდის!
კომისიის წევრები მაგიდებს დაუბრუნდნენ და საქმიანი თავები კომპიუტერებში შერგეს. ფარაონი შემოვიდა, პირდაპირ იას მიადგა და იკითხა:
– რომელ საათზე თავისუფლდები? – კედლის საათს ახედა.

– ზოგადად, რვაზე. ზოგჯერ მერეც გვაქვს საქმე.
– დაეხედეთ სადმე, ვილაპარაკოთ.
სალიმ ტაში შემოჰკრა:
– სულ ორი ნორმალური რესტორანია აქ, „მენძელი“ და „დიარონი“. ორივე კარგია.
– შენ სად მოასწარი აქაური რესტორნების შესწავლა? – სათვალის ზემოდან გადმოუყეფა კომისიის თავმჯდომარემ. სალიმ პირზე ხელი აიფარა, მაგრამ მწვანე თვალები გაააქტიურა.
– მომეცი შენი ტელეფონი, ია, დაგირეკავ და შევხვდეთ.

– მე ხომ მაქვს შენი ანკეტა, მე დაგირეკავ, როცა გავთავისუფლდები.
– რომ არ დამირეკო?
– დაგირეკავ.
კომისიის თავმჯდომარემ სიცილი ველარ შეიკავა:
– ძალიან ხომ არ ჩქარობთ, ბატონო ფარაონ? ფარაონ რამზესის ძემ თავმჯდომარეს გახედა:
– ქალბატონო თქვენი სახელი?
– ანა.

– ისედაც ბევრი დრო დაგვკარგე, ქალბატონო ანა. იმეღია, დღეს მალე გამოუშვებთ.
– სადაც ამდენი იცადეთ, რვამდეც დაგველოდეთ.
– კარგი, რვამდე დაგიტოვებთ, – გაუღიმა რამზესის ძემ, – თუ არ დამირეკავს, ხვალაც მოვალ.

მისი გასვლის შემდეგ, სალიმ ყელი გამოუწია იას:
– არ დაურეკო რა, ხვალაც მოვიდეს.
– არასოდეს არ დაურეკო, ყოველდღე მოვიდეს.
– რას ამბობთ, მომიცდინა კომისია, – ბღვერას ცდილობს კომისიის თავმჯდომარე და ბაინდერებს აბერტყებს ერთმანეთზე, – ახლა რო დავითვლით ანკეტებს და არ დაჯდება ბალანსი, ფარაონები მიშველიან მერე, ხო.
– რესტორნის კაბა წამოღებული გაქვს, ია?
– რესტორნის კაბა არა, კვახი და ბროლის ქოში. ჯინსების და მაიკების მეტი არაფერი მაქვს.

– გათხოვებ, მე მაქვს კაბები.
– ნუ მაციხებ.
– ასეთი კარგი ტიტულოვანი სახელი რატომ ქვია?
– წარბშეკვრით და ლიმილშეპარვით იკითხა ტატომ, ვერ გაიგებდი, ხუმრობდა, მართლა აინტერესებდა თუ საკუთარი იუმორით ტკებოდა.
– რა ვიცი, მთელი ცხოვრება ფარნად ვიცნობ და მამამის რამზესს კიდე რამაზი ერქვა.
– ოჰ, გიკვირთ თქვენ, მეგრელებს, კარგი ტიტულოვანი სახელები!
– ბაბუა ეყოლებოდა ხეოფსი, ის დაარქმევდა.
– არა, რავა საჯაროდ დაუნიშნა პაემანი, მთელი კომისიის თვალწინ, კაი თავხედი ჩანს. – ვერ წყნარდებოდა კომისიის თავმჯდომარე.
– შევადგინოთ აქტი და მოვანეროთ ხელი.
– სულ ასეთი იყო, – თქვა იამ.
– როგორი? როგორი? – სალი იას მაგიდასთან მიიჭრა.
– სალო გავუშვათ იას მაგივრად. კაბაც ქონია და უფრო მოტივირებულიც ჩანს. ია აქ უფრო გვჭირდება.
– ტატოს, ასაკის და ჰაბიტუსის გარდა, თავმჯდომარის მოადგილის სტატუსიც ავალდებულებდა რაციონალურად ეაზროვნა.
– როგორი იყო? როგორი? – უკვე მაჯაზე უჭერდა სალი იას.

აქ იყო ფარნა ქეცბაია. ისეთი, როგორიც მარტო თვითონ იყო.

როცა დიშკა სოვდაგრიშვილი უეცრად დიმიტრი სოვდაგაროვი გახდა, ხოლო ოთო ქეცბაია – ოტარ ქეცბა, ტარანა კი სულაც ესტონელი მამისერთა ოტო ტარანდი აღმოჩნდა და მამამისმა სასწრაფოდ გაგზავნა ტარტუში, ფარნა დარჩა ფარნად და გიო დარჩა გიოდ.

პირველად ხასანა ჩამოადგათ სარდაფში წვერ-მოშვებული და საქმიანი სახით. ხასანა 4-5 წლით უფროსი იყო, გაურკვეველ ავტორიტეტად ითვლებოდა, ახალი თაობის მუსიკოსთა მარაქაში გარეული მოშავომოკარგბიჭო-მონიტელიგენტო-მოკარიერისტო სტუდენტი, გაურკვეველფულიანი მამიკოს შვილი, ჯიბეში ყველაფერი რომ აღმოაჩნდებოდა ადგილზე: ფულიც, მოსაწვეიც, ჰალსტუხიც, კულტურის სახლის გასაღებიც, სადისერტაციო ნაშრომიც, „სტეჩკინიც“, კანფეტი და სათამაშო „საქმიან“ საუბარში შემოსწრებული ბავშვისთვის, და კასეტაც, სადაც „ქაშმირი“, „ბუტირკა“ და „მთვარის სონატა“ ერთად იყო ჩანერილი. ხასანა წყვეტდა, ვის უნდა დაეკრა კულტურის სახლის აპარატურაზე და ვის – არა. კარგად თუ დაუკვირდებოდი, უფრო იმას აკონტროლებდა, ვის არ უნდა დაეკრა, ოსტატურად უნდა აეჩეჩა მხრები, რომ ეს მისი გადასაწყვეტი არაა, ამას სხვები წყვეტენ, და ასევე ოსტატურად უნდა დაეცვა იმ „სხვების“ მიუწვდომლობა და გასაიდუმლოების მარადიულობა. ფარნა ხასანას „ხასან-ბეგ თავდგირიძეს“ ეძახდა და აქედან შერჩა „ხასანა“, მაგრამ ხასანას ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. უფრო პირიქით – კი სჭირდებოდა ერთი ბუნდოვნად ავტორიტეტული ზედმეტსახელი.

ასე გიტარაკიდებული სიარული ახლა აღარ გამოგადგებათო, სხვა დროაო, ამ თქვენი სტუდიიდან მუსიკის ხმა ისმის და ქალაქში დაძაბულობაა, ხალხი ნერვებზეაო – „პეპერლენდში“ ჩამოვიდა და რალაც გაუგებარ ბოდვას მოჰყვა ხასანა ზედა ტუჩის კვნეცით და ულვაშის წვლებით.

– მომისმინე, ხასან-ბეგ, შენ საერთოდ ჭკუას რა პონტში არიგებ? რაც გაქვს, ის დაარიგე. – უთხრა ფარნამ.
– რა მაქვს?
– ფული გაქვს, ფული დაარიგე.
ხასანამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქ კარგახანს იჩხრიკებოდა სანამ გადაწყვეტდა, რა ამოელო. ბოლოს გასაღებების ასხმულა ამოიღო და თითზე დაატრიალა:
– ფარნავაზ, ცოტა ზრდილობა ხომ არ გაკლია? ჯერ ერთი, ჯიბიდან ხელი ამოიღე, როცა უფროსი გელაპა-

რაკება.

ფარნამ მეორე ხელიც ჯიბეში ჩაიყო:
– თუ დაგიჯდეს ჭკუაში
– რომელიც არ მაქვს
– ჰო, თუ დაგიჯდეს ჭკუაში, რომელიც არ მაქვს, მაშინ გახსოვდეს, დრამი გვჭირდება ძალიან.
– შენც თუ დაგიჯდეს ჭკუაში, მაშინ გახსოვდეს: ავტომატი გჭირდება ძალიან. – მუქარით გამოცრა უადგილო წვერ-ულვაშში ხასანამ და წავიდა.
– გადაგვეკიდება, – მაშინვე თქვა დამფრთხალი ზაზუნას თვალებიანმა დიშკამ.

– ია არ იყოს აქ, ვიტყვოდი, სად გადაეკიდოს.
ხასანას შემდეგ სხვა ტიპები მოდიოდნენ ვითომ მუსიკის მოსასმენად, ცოტა ხანს ისმენდნენ და მერე მეტ-ნაკლები ოსტატობით გადადიოდნენ ბიჭების პოლიტიკური ორიენტაციის გასარკვევ შეკითხვებზე. ზოგის ოსტატობა იქამდე მიდიოდა, რომ ფრენკ ზაპას ან დინ რიდის პოლიტიკურ ორიენტაციაზე საუბრით იწყებდა. ფარნას ყველასთან ერთი საპასუხო შეკითხვა ჰქონდა:

- ავტომატი? ვის წინააღმდეგ?
- ქართველების წინააღმდეგ.
- ანუ, ჩემ წინააღმდეგ?
- შენ აფხაზი ხარ, ქეცბა.
- მე ქართველი ვარ, ქეცბაია.
- მაშინ აფხაზების წინააღმდეგ.
- თან აფხაზი რომ ვარ თურმე? თავში ვირეხვო?
- აბა, რამე ხო უნდა ქნა.
- აუცილებლად უნდა ავიღო ავტომატი? რო არ მინდა?
- უნდა ჩამოყალიბდე, რა გინდა. გამოაკელი შენს გვარს ეგ „-ია“.
- ესე იგი, იას წინააღმდეგ ავიღო ავტომატი?
- აი, ოთო ქეცბამ გამოაკლო და ჩამოყალიბდა.
- ამიტომ ოთო ჩემი ბიძაშვილი აღარ არის? ვესროლო?

დაუსრულებლად ტრიალებდა უაზრო პასუხების კარუსელი და არავის ჰქონდა ერთი სწორი პასუხი. ოთოსაც არ ჰქონდა, მაგრამ თავის გვარს „-ია“ მაინც გამოაკლო. მერე, როცა გიო საავადმყოფოსკენ გზაზე დაიცალა სისხლისგან და ფარნას საიქიოს საბაჟოზე ალოდინებდნენ, ოთო თანდათან გამოუთქმელი ბოლმით დამძიმდა და ნანობდა, რომ ავტორიტეტული წვეროსანი ბიჭების გულის მოსაგებად ისე მამლაყინობდა, სარდაფის გასაღებიც კი ჩაუგდო მათ ხელში. წვეროსნებმა დაიკავეს სარდაფი და ჩაკ ბერიზე ავტომატები მიაყუდეს. პიანინოზე კონსერვის ქილები დაალაგეს, პიანინოს ქვედა კორპუსში „მოსაწვეი“ ჩამალეს, ჰენდრიქსს ლურსმნები ჩააჭედეს და ზედ „ბუშლატები“ ჩამოკიდეს. ოთო ამას არ ელოდა, ჩუმად ივსებოდა ბოლმით, მაგრამ ვერაფერს უბედავდა უფროს „ძმებს – პატრიოტებს“, შეკითხვასაც ვერ უსვამდა – ალბათ ასე უნდა პატრიოტობა და მას არ ესმის, თავს ხომ არ შეირცხვენს. ვერც მაშინ გაუბედა ვერაფერი, როცა ხასანამ იას ფუნჯი თეთრ საღებავში ჩაანო და ყველაზე გამოსაჩენ ადგილას პიანინოს თავზე წაანერა: „აქ იყო ხასანა“. შემდეგ დანარჩენებს უბრძანა, თქვენ-თქვენი გვარსახელები ჩამოწერეთ, რომ აქ იყავითო. ოთოს გარდა ყველამ დაწერა, რომ აქ იყო. ბოლოს ხასანამ, ოთოს გაუქნია თავი:

– მიდი შენც.
ოთო მივიდა. თეთრი საღებავით დაწერა კედელზე: „აქ იყო ოთო ქეცბა“, შემდეგ საღებავების კოლოფები გადაარჩია, ლურჯ კოლოფში ფუნჯი ამოავლო და თავის გვარს დიდი ლურჯი ია მიუხატა გვერდით.

– შენ რა ყვავილებს ხატავ, ბიჭო? – ხასანა სკამზე გადანოლილიყო, მაგიდაზე შემოეწყო ბათინკებიანი ფეხები და ოთოს სიგარეტს ეწეოდა.
– მიყვარს იების ხატვა. თუ გინდა, შენც მიგიხატავ.
– არ მინდა.
– ბაიას ხატვაც ვიცი, ყვითელი საღებავიც გვაქვს. თუ რამე, არ მოგერიდოს. „აქ იყო ხასანა აქიმ“ და დიდი ყვითელი ბაია. – ყვრიმალეზე უკვე ძარღვები უთა-

ვდებთ იმედი. ის იმ უმცირესსაც ვერ გადმოსცემს, რაც თქვენთვის მინდოდა მეთქვა. მე ჯერ კიდევ არ მყოფნის სითამამე... თქვენ ხომ მომეცით ამის უფლება. მაგრამ ელოდებით კი მართლა ყველაფერ იმას, რის თქმასაც ვაპირებ? თქვენ შენიშვნები ნამიკითხეთ – მართალია, არის სხვაობა მათ შორის, რასაც ვწერ და რასაც ვამბობ ან ვაკეთებ... ვათვალისწინებ თათხს. ირგვლივ მხოლოდ ჩემი ნახატებია და ჩანაწერები – და ყოველი ფურცლის უკანა მხარეს თქვენი სახელია: ვაჩვენო ეს ანაისს, შევეკითხო ანაისს, წავიდე ანაისთან, ...ჰენრი“.

„...არ შემიძლია პრობლემებით შეწუხებულმა ვიხეტილო ქუჩებში. ეს კარგს არაფერს მომიტანს. მე იმდენი რამ მაქვს გასაკეთებელი და არ მინდა, თავს რაიმე ვავნო. ყველაფერი, რაც ჩემშია, სულ უმცირესი ნაწილიც კი, ღირებულია და ვცდილობ, გავუფრთხილდე, რათა შენ მოგიძღვნა. აღარ დაგხეტილობ ქუჩებში, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. ქუჩებს აღარაფერი შეუძლიათ მითხრან. ამით მე სამყაროს ვეძლევი, იმის ნაცვლად, რომ სამყარო შემოვუშვა შიგნით... მთელი სამყარო შენშია მოქცეული, რატომ გავიდე გარეთ მის საძებნელად? ადამიანებთან საუბრის დროს ვგრძნობ, რომ რაღაც საოცარ სილამაზეს ვატარებ ჩემში. ვგრძნობ სხვაობას ჩემსა და სხვა ადამიანებს შორის, ეს სხვაობა ძვირფასია ჩემთვის, რადგან ახლა ვიცი, ვინც ვარ, გაქრა ყოველგვარი დაეჭვება. როცა შენ ჩემგან მიდიხარ, მე სიბნელეში ვიძირები. ჩვენ უნდა მოვუფრთხილდე იმას, რაც ჩვენ შორის იშვა, რაც ჩვენ შევექმენით. ჩვენ ისეთ სიმაღლეებს შევწვდით, მხოლოდ ერთეულებს რომ ძალუძთ შეიმეცნონ. უნდა დავიცვათ ის საუკეთესო, რაც აღმოვაჩინეთ. შენ თუ ფეხი დაგიცდება, მე შეგეშველები, თუ მე წავიბოროდიკებ, შენი იმედი უნდა მქონდეს, სხვაგვარად ფეხქვეშ მინა გამოგვეცლება და დავიღუპებით...“ – მწერდა რაინერი, არ ვიცი უკვე მერამდენე წერილში. ვერ ვიტყვი, რომ მსგავსი სასიყვარულო ბარათების მიღება არ მსიამოვნებდა, პირიქით, თუ თავდაპირველად ვერთობოდი, მაგრამ დიდად არაფრად ვაგებდი, თანდათან ისე მივიჩვიე, რომ უკვე გულისფანცქალით ველოდი ახალი ბარათის გამოჩენას. შემდეგ გერმანულიდან ქართულად ვთარგმნიდი (ამჟამადაც ჩემეულ თარგმანებს ვთავაზობთ) და ჩემს მეგობრებს ვუკითხავდი... ამასობაში ჩემს შეყვარებულსაც ცოტა ცხვირი ავუბზუე, ის ხომ რაინერივით შთამბეჭდავად ვერ გამოხატავდა თავის გრძობებს...“

1932 წელი. აპრილი. პარიზი. „ჰენრი, სანამ ჯუნი ჩამოვა, ჩვენ უნდა გავერკვეთ, რისი გაღება შეგიძლია ერთმანეთისთვის, „ – წერს ანაისი. „მე მიყვარს ჯუნი და მიყვარხარ შენც... ჯუნისარ მივატოვებ, მაგრამ ვერც შენ შეგეღვივი!“, – უპასუხებს ჰენრი. ანაისი უკმაყოფილოა, თუმცა თავადაც დაქორწინებულია და ქმართან დაშორება მის გეგმებში არ შედის. ის ცვლის ტაქტიკას და სასიყვარულო ურთიერთობას აბამს ჯუნისთან. „ჯუნი ყველაზე მშვენიერი მდებარეობითი სქესის არსებია, რაც მე მინახავს“. – აღიარებს ანაისი, და ვითომ თავადაც გაოგნებულია ამ მოულოდნელად მოვარდნილი სიყვარულით: „...კაცივით მოქცევა ტკივილს მაყენებს, რადგან ვგრძნობ, მთელი არსებით ქალი ვარ!“, მიუხედავად ამისა, ანაისის და ჯუნის ურთიერთობა საკმაო ხანს გრძელდება. ჰენრი ნერვიულობს იწყებს, ეჭვიანობს... „ანაის, მიიღე ჯუნი ისეთი, როგორც არის, მაგრამ ნუ დააყენებ ჩვენ შორის“. ანაისი გამარჯვებას ზეიმობს. მიზანი მიღწეულია! ახლა ჰენრის დამშვიდება საჭიროა; „მე შენ გეკუთვნი ჰენრი. ყველაფერი, რაც ჩემსა და ჯუნის შორის ხდება, მხოლოდ შენი სიყვარულით, რომ შენ გაჩუქო თავადადებული ჯუნი და მას კი – შენ, მისი დოსტოვესკი. მე არასოდეს მოგაყენებ ტკივილს ღალატით“.

„არ გეგონოს, რომ შენი დაკარგვის შიშით სასონარკვეთილი ვლაპარაკობ. ეს შიში კი არა, სურვილია – შეგინარჩუნო. ის შიში აღარ არსებობს, ადრე რომ მქონდა. მაშინ პასიური, უგულისყურო და დაბნეული ვიყავი, ახლა კი ფხიზელი და აქტიური კაცი ვარ, რომელიც იბრძვის, არ

დუნდება. ხედავ განსხვავებას? ადრე ასეთ მდგომარეობაში, ალბათ, ლოგინად ჩავარდნილი დარდით მოვკვდებოდი, ან დავთვრებოდი და ქუჩებში ვიხეტილები, ძველ მეგობარს ვესტუმრებოდი. ასეთ უაზრობას აღარ ვაკეთებ. ეს ყველაფერი ილუზია იყო, საშუალებას მაძლევდა ტკივილსა და დარდში ჩავძირულიყავი, ჭაობში ჩავვარდნილიყავი, რაც, ალბათ, მინდოდა კიდევ. აღარ მსურს საკუთარი თავის ასე წამება. მინდა, ყოველთვის შემეძლოს შენი ნახვა, რომ ერთმანეთის პირისპირ ვიდგეთ, მხოლოდ ჩვენ, სხვების გარეშე...“ – მწერდა რაინერი. ამდენის გაძლება უკვე აღარ შემეძლო. ვერც მივხვდი, ისე აღმოვჩნდი შეყვარებული. მგონი, მეც უკვე სასიყვარულო ბარათებს ვაგზავნიდი საპასუხოდ.

...1932 წელი. ოქტომბერი. პარიზი. „ჰენრი ფიქრობს ჩვენს დაქორწინებაზე, რაც, დარწმუნებული ვარ, არ მოხდება, მაგრამ ის არის ერთადერთი მამაკაცი, რომელზეც დაქორწინება მინდა“. – წერს ანაისი თავის დღიურში. ანაისმა იცის, რომ ჰუგო (მისი ქმარი) მყარი, სანდო ადამიანია, ჰენრიმ კი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მიატოვოს კიდევ, რადგან ჰენრისთვის არსებობს მხოლოდ საკუთარი შემოქმედება. „...და როგორ ლაპარაკობდა ის ჯუნიზე?! ჯუნი გადაადგეს, რადგან აღმოჩნდა, რომ საჭირო აღარ იყო, ასევე აღმოვჩნდები მეც, როცა მას ვინმე ახალი დასჭირდება“.

მოგვიანებით, 1934 წელს, როცა ჰენრი და ჯუნი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ანაისისადა ჰენრის ურთიერთობაც დაიძაბა. ანაისი თავს იდანაშაულებდა, რომ მათ შორის ჩადგა. თან ჰენრის ჯუნისთან დაშორებას არ ჰპატიობდა. ჰენრი კი ანაისს ერთგულებას ეფიცებოდა: „ანაის, დაიჯერე, რომ პურიტანი გავხდი, შენს თავს ვერავის გავუყოფ! ჩემი ხარ და მე შენ შეგინარჩუნებ!“, (1934 წელი. დეკემბერი). „მე შემიძლია ყველაფერი გაპატიო, ნუთუ არ შეგიძლია მცირედის პატიება? შენს გარდა არაფერია მნიშვნელოვანი... ჯუნის შესახებ აღარ მინდა ლაპარაკი... გესმის, რომ წარსული მოკვდა? შენ რომ მიმატოვო კიდევ, მე ველარ დავბრუნდები ჯუნისთან, ვერ დავბრუნდები ჩემს წარსულში. მე ვიცი, რომ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ არის დაკავშირებული შენთან, სხვა არაფერი მინდა ცხოვრებაში, შეგიძლია ამის დაჯერება?“, (1935 წელი. თებერვალი).

„არ დავუშვებ, რომ რაღაც შეცდომის თუ შემთხვევითობის წყალობით ჩვენ შორის გაუგებრობამ დაისადგუროს. იმ ბაღში, რომელიც ჩვენ გავაშენეთ, ერთ სარეველასაც კი არ მივცემ აღმოცენების უფლებას. ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ მივიღოთ ყველაფერი, რაც გვინდა. ჩვენ დრო უნდა მოვიხელთოთ და მას კისერი მოვუგრინოთ. ჩვენ ერთმანეთში უნდა ვიცხოვროთ,“ – მწერდა რაინერი.

1935 წელი. მარტი. ნიუ-იორკი... „როცა გირეკავდი, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ დაგელაპარაკებოდი. რადგან მანამდე უკვე ორჯერ მიპასუხეს, რომ სახლში არ იყავი. სიმწრის ოფლი მასხამდა, შენს ქუჩაზე დავბორიალობდი, რესტორნებში ვიხედებოდი, მერე ისევ შენს კართან ვბრუნდებოდი და გელოდი. ტელეფონით რომ ვერ შეგხმინებოდი, გამოვიგზავნიდი ტელეგრამას, შემდეგ კი შინ წავიდოდი და სასწრაფოდ მოგწერიდი წერილს. ამ საღამოსაც, ალბათ, ამაოდ უნდა დაგლოდებოდი, მაგრამ მე მაინც ვიუტად ვეძებდი შენს ადგილს – სამყოფელს, ვცდილობდი, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო, სად იყავი. ვერაფრით წარმოვიდგინე, რას აკეთებდი. ვერ ვიჯერებდი, რომ შენ ისევ გაბრაზებული იყავი ჩემზე და არა მხოლოდ გაბრაზებული, არამედ ზურგი შემაქციე, ჩემში, ჩემს სიყვარულში იმედგაცრუებულმა. ასეთ დროს საზარელი მეჩვენება ნიუ-იორკის სიდიადე, რომელიც ცოფიანი ძაღლებივით თავშესაფრის მძებნელ უამრავ მიუსაფარს მხოლოდ უიმედობას სთავაზობს. და ადამიანი ემსგავსება ქარის ქროლასადევნებულ ჩალის ღერს, რომელიც მოგონებებისგან დაღლილი, დაკარგული და განადგურებული ბედის ანაბარად დარჩენილა“. – წერდა

ჰენრი ანაისს.

„...ამბობ, რომ იტირე. მეც ვტიროდი. ქუჩებში დავდიოდი და თვალთაგან ცრემლი მდიოდა. რატომ, რატომ? რისთვის უნდა ვიტანჯებოდე ასე? ნუთუ ასეთი მგრძნობიარენი ვართ, რომ ყველა ისარი გულს გვესობა? ეს მშვენიერია და ამავე დროს საშინელი. ეს ხომ იმას ჰგავს, ტყუპები ერთმანეთისგან განთავისუფლებას რომ ცდილობენ? გვეყოფა, ვიყოთ ერთად, აღმავსე, შემოდი ჩემში, დარჩი აქ სამუდამოდ, არასოდეს შემაქციო ზურგი, ფიქრადაც არ გაივლო,“ – მწერდა რაინერი.

„მაპატიებ, რომ გწერ, ნაცვლად მუშაობისა? განა ჩვენი ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე მუშაობა? ... თავდაპირველად საშინლად გადაჭარბებული წარმოდგენა მქონდა საკუთარ თავზე, გავაფეტიშე ჩემი შემოქმედება და სხვადასხვა ტყუილითა თუ ილუზიით შევეცადე მობოდიშებას. გარდასულ დარდს ძეგლი დავუდგე. ამ ყველაფერმა ჩაიარა. ახლა, სიხარულით აღსავსე, მომავლისკენ ვიხედები. სამუშაო მხოლოდ ბუნებრივი რამ უნდა იყოს და არა მიზანი, როგორც ასეთი. ჩემს შემოქმედებაში უკომპრომისო ვიყავი, შენ გადამარჩინე. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ სრულყოფილი ადამიანი ვარ და შენთვის უფრო ძვირფასი ვარ, როგორც ადამიანი, ვიდრე დიდი ხელოვანი. ამ გარდასახვით არაფერი დამიკარგავს, პირიქით, მოვიპოვე. საოცრად მძაფრად ვგრძნობ, თუ რა სასწაული მოახდინე და რომ იცოდე, როგორი მადლიერი ვარ ამისთვის. მე შენი ქმნილება ვარ, დაუღალავი ბრძოლით მიღწეული. რაც შენ გააკეთე, გამირობის ტოლფასია. შენ რომ მხოლოდ ქალი ყოფილიყავი, დამარცხდებოდი! მაგრამ, შენ ხელოვანი ხარ. ამაზე დიდი კომპლიმენტი, რა შემიძლია გითხრა? მე ვიყავი სიტყვების ოსტატი, ხოლო ცხოვრებაში – დიდი ხელმოცარული. სიტყვები, სიტყვები... როგორ ხუთავენ ისინი სულს! მომეცით ქალი და სიტყვები უმნიშვნელონი გახდებიან. მე ვიყავი სიტყვების მსახური, ახლა კი მათ დავიმონებ. ხანდახან ვფიქრობ, ჩემი სვლა ბოლოს და ბოლოს ჩემი, როგორც შემოქმედის, გამარჯვებით, აღიარებითა და დაფასებით უნდა დასრულდეს. ვფიქრობ, ყველაფერი, რასაც ვაკეთებ და ვამბობ, რასაც ვწერ, ჭეშმარიტად მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფასდება, თუ ადამიანებს ჩემს სრულყოფილებაში დავარწმუნებ. ისინი ვერ შეძლებენ ჩემს იგნორირებას, თუ ეცოდინებათ – ვინ ვარ, თუ ჩემს გულწრფელობას და სიდარბაისლეს შეიცნობენ. აღარ მაქვს სურვილი, კვლავ ვითამაშო მასხარას როლი – შეურაცხყოფელი და უსულგულო. ახლა მესმის, რომ ადამიანებს ხელი უნდა ჩავჭედო, მათ წინაშე უნდა წარვდგე, მათ ველაპარაკო, დავარწმუნო. ეს აღარ ეხება ლიტერატურას, ეს ეხება ჩემს ცხოვრებას, ცხოვრებას შენთან ერთად. ეს შეგრძნება ისეთი მძაფრია, რომ შეუძლებელია, თავისი გამოხატულება არ პოვოს. შეძლებისდაგვარად ბევრად უფრო უშუალო ვიქნები, ყოველ სიტყვას ავანელვარებ. სიტყვები სავსე იქნება ჩემი სისხლით, შენდამი ვნებით, მეტი ცხოვრების, მარადიული სიცოცხლის წყურვილით. შენ მე სიცოცხლე მაჩუქე, ანაის. შენ ხარ ცეცხლი, რომელიც ჩემში ანთია, მე კი – ამ ცეცხლის მცველი, ეს წმინდა მოვალეობაა. აჰ, ნეტავ თუ გესმის და გჯერა, რასაც გწერ? არ გინდა ჩემთან დარჩე? მუდამ ჩემი იყო? მე ქვესკნელიდან ამოვედი შენს საპოვნელად. მხოლოდ მტკიცება იმისა, რომ მიყვარხარ, არ არის საკმარისი. ანაის, შემეხე, აიღე ყველაფერი, რაც ჩემშია. ვგრძნობ, რომ უსაზღვროდ მდიდარი ვარ. ჰენრი.“

რაინერის უკანასკნელი წერილი გერმანიიდან: „... ორივემ საშინელი გამოცდილება შევიძინეთ, გულისმომკვლევი. შევძლებთ კი, ეს ყველაფერი ჩვენს სიყვარულში არ ჩავძიროთ? ახლა უკვე იცი, რომ არა მაქვს შენზე მცდარი წარმოდგენა. მე აღვიქვამ ქალად, ჩემს ქალად. ნუ დამსჯი იმისთვის, რომ ასეთი გაუბედავი ვარ. მადლობა ვარსკვლავებს, რომ ჩვენ



ნინო გუგუშაშვიდი

ხასანამ არაფერი უპასუხა.

მოკლედ, „პეპერლენდს“ ლურჯი მავნიები დაეპატრონენ, და ოთო არა თუ თავს ვერ უხეტქავდა, თვითონვე ჩააბარა „პეპერლენდის“ გასაღები მავნიებს, რომლებიც მათი აკორდების ჩასანერი რვეულის ფურცლებზე ქონიან ხელებს და „ტუშონკიან“ უღვაშებს ინმენდდნენ, მათ მაგიდაზე ღვინო და რუსულ „ვოდკას“ დაჭიქებს უჭახუნებდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი ასეთი მიჭახუნებისას ოთოს ხელში ჩიქა გაუშეშდა და იყვირა:

- რას აკეთებ, ე!
- წვეროსანმა ბიჭებმა მიიხედეს – გადამთვრალი ხასანა იქვე მიმდგარიყო კუთხეში და პიანინოს აშარდავდა. იმ პიანინოს, რომელიც იასთვის ჩამოიტანეს ფარნას ზალიდან, იმ პიანინოს, რომელიც ხასანამ მოხედა და ჩაიხიბინა:
- რა იყო, შეჩემა, მოფსმა არ გინახავს?
- გაეთრიე, ეზოში მოფსი, შე – ოთომ ისე სწრაფად აიტაცა ავტომატი და დაუშვა ხასანას ფეხებში, რომ განძრევა ვერავინ მოასწრო.
- ხასანა შარდვა-შარდვით გავარდა სარდაფიდან. ბიჭებიდან ვილაცამ გაიცინა.
- გაეთრიეთ სუყველა! – იღრიალა ოთომ და ახლა მათ დაუმიზნა.
- ბიჭებმა უხმოდ დადგეს ჭიქები, ჩამოხსნეს „ბუმ-ლატები“ და სათითაოდ გალაგდნენ „პეპერლენდიდან“.
- ვერ ხვდებოდნენ, რა ძალა ჰქონდა ასეთი პიანინოს ან მასზე მოშარდვას, რომ ოთარ ქეცბა მათ თვალწინ თავიდან დაიბადა. პიანინოს გაგება მათთვის ძნელი იყო. პიანინო ან იცი, ან უხერხულად ხარ მასთან

„მენძელში“ წყნარი კუთხე მოძებნეს. ქართულ რესტორნებში ღრიანცელიაო, იამ თქვა. თუ აქაც დაინყო, სადმე წყნარ კაფეში გადავიდეთო, ფარნამ.

ჯერ არ იყო ღრიანცელი. ისხდნენ წყნარად, იცოდნენ, რომ ახლა ყველაფერის მოყოლას, რაც თავს გადახდათ, არც აზრი ჰქონდა, ვერც მოასწრებდნენ. ამიტომ ისხდნენ როგორც ოცი წლის წინ სანაპიროზე,

გაგრაში, ბოლო საღამოს, როცა ფარნამ აარჩია ნითელი კენჭი, იამ კი – მწვანე და გიომ ერთ-ერთი კენჭი ამოიღო თვალდახუჭულმა. ია ამბობდა, რომ ომი არ იქნება, ფარნა ამბობდა, რომ – იქნება. ჩაყარეს იას ქუდში ორი კენჭი: ნითელი იყო ომი, მწვანე – მშვიდობა. გიომ თვალელები დახუჭა და ამოიღო მწვანე კენჭი.

მეორე დღეს ია არდადეგებზე წამოვიდა იმერეთში, ეგონა, რომ ორ კვირაში დაბრუნდებოდა. თან მწვანე კენჭიც, ნითელთან ერთად, ჯიბეში ედო

- იცი, ცოტა ხნის წინ ოთომ დამირეკა, ლამის ტიროდა. – ამბობს ფარნა და „მენძელის“ მიმტანს თავს უქნევს მადლობის ნიშნად.
- რაო?
- „პეპერლენდში“ მისულა. ძლივს იპოვა კარი. მე თვითონ შემოვიყვანე აქ მავნიები, მაგრამ მე თვითონვე გავრეკეო.
- ესე იგი, ნამდვილი „პეპერლენდი“ გამოდგა.
- მართალი იყავიო, ომი სისულელეაო, მუსიკის გარდა არაფერს აზრი არა აქვსო. კიდევ მითხრა, რომ „პეპერლენდს“ აღადგენს და ახალგაზრდებისთვის კლუბს გააკეთებს, ვისაც დაკვრა უნდა ჩვენსავით და არ აქვს შანსი, ყველას ასწავლის და დააკვრევენებს.
- ჩვენი ოთო რა ვთქვა, არ ვიცი. – ჩურჩული გამოუვიდა იას. – რა უთხარი?
- მინდოდა მეთქვა, შენნაირი კრეტივები რომ არა, ეგ ომი არ იქნებოდა-მეთქი, მაგრამ თვითონ დამასწრო. ყველაფერი თვითონ მითხრა, რაც მე უნდა მეთქვა.
- კიდევ ისიც უთხრა ოთომ, რომ როცა ფარნა დაბრუნდება, სკოლა-სტუდიის დირექტორობას მაშინვე გადაულოცავს. იამ და ფარნამ არ იცოდნენ, რომ ახლაც, როცა ისინი ზუგდიდის „მენძელში“ ისხდნენ, ოთო გრძელტარიანი ჯაგრისით ხელში სარდაფში დაბორი-ალებდა და ჭერიდან და კედლებიდან აბლაბუდებს ხსნიდა. მისასვლელი გზა უკვე გაასუფთავა და ნათურების ანთებამდე სანთლების შუქზე მუშაობდა.
- შენ მე გერმანიაში მგონიხარ, – თქვა იამ.
- აღწერისთვის ჩამოვედი.
- კი მაგრამ, ომს არ აღიარებ, ყველაფერს სისულელეს ეძახი და მარტო აღწერას აღიარებ?

- კი. გაგრაში რუსთაველის ქუჩაზე უნდა ვიყო დაფიქსირებული. ეს საჭიროა – მერე გაიცინა და დაამატა – მსოფლიო წესრიგისთვის. ბოლო-ბოლო, ქრისტიე ჩავიდა აღწერაზე
- ქრისტიე არ ჩასულა, მარიამი და იოსები ჩავიდნენ.
- თუ კარგად დაუფიქრებდით, ქრისტიე ჩავიდა. ისევე ისე იცინოდნენ, ლალად და ადვილად.
- სისულელეა, აბა რა არის, – დასერიოზულდა უცებ ფარნა, ზუსტად ისე, როგორც თექვსმეტი წლისამ იცოდა უცარი წარბების შეყრა, – იქაური ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, აქ ენგურის ხიდზე დადგნენ ჩვენები, პირით ჭუბურხინჯისკენ, და იტირეს. აქაური ბაბუა რომ გარდაიცვალა, მერე იქაურები დადგნენ ხიდთან, პირით აქეთ, და იტირეს. და მამაჩემი რომ გარდაიცვალა გერმანიაში, ესენი ხიდის ორივე მხარეს დადგნენ და ტიროდნენ, გაგრაში ძმაკაცები გავიდნენ სასაფლაოზე, არტუშა, ოთო და მამაჩემის კლასელები, დედაჩემი გერმანიაში ტიროდა ყველაფერს ერთად სადაც დედაჩემი ცხოვრობს, კონსტანცში, იმ ქუჩის ბოლოს შვეიცარია იწყება, გადადის ხალხი, გადმოდის. დედაჩემი ხანდახან სახლის ჩუსტებით გადადის შვეიცარიაში, არავინ ეკითხება, აფხაზია თუ შვეიცარიელი. მაგრამ აქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა, თავის სამშობლოში ვერ შედის. მთელი მსოფლიო იხსნება და ამ დროს, ამ მტკაველ მინაზე – „შენ აფხაზი ხარ“, „შენ ქართველი ხარ“, „ამ ხიდზე არ გადმოხვიდე“, „იმ ბუჩქს არ გადმოცდე“ – ჩვენ თვითონ ვიკეტებით, თვითონ ვიქცევთ თავს იზოლაციაში და რეგრესში, მეტი სისულელე შეიძლება?
- ალაპარაკდნენ თანდათან, იასაც დედა გაახსენდა.
- გახსოვს, ზღვაზე რომ ვუყარეთ კენჭი ომს და მშვიდობას? მწვანე და ნითელი კენჭებით.
- ფარნამ თავი დაუქნია.
- მეორე დღეს წამოვედით არდადეგებზე მე და დედა. ორ კვირაში უნდა დავბრუნებულიყავით, და უცებ გზაზე დაგვხვდა პიკეტი, ქართველებმა გაიარეთ მარტოო. დედაჩემმა მიაჭრა და ეუბნება: „დედა მყავდა ინალიფა, მამა – ლლონტი, მაგრამ ეს ლლონტი დედის გვარზე იყო, მამა ყავდა აჩბა. და იმ აჩბებს და ლლონტებს კიდევ ვინ ყავდათ, არ მომაცოლო ახლა აბაკელიებზე,



თამარ იაშვიდი

გავიმარჯვებო. ერთ წერილში გწერდი, რომ ბედი პირად გადაწყვეტილებასზე დამოკიდებული და არა ვარსკვლავებზე. ამას ყოველთვის მძაფრად შევიგრძნობ. შენც? უთუოდ, რადგან შენი წერილი სწორედ ამას გამოხატავს. ის გაბედული ნაბიჯი, რომელიც შენ გადადგი, მხოლოდ შინაგანი კარნახით იყო შესაძლებელი. შენ ჩემთვის უნდა ანათებდე, რომ გზა მიჩვენო. შენ დაამტკიცე, რომ „გაბედულება არასოდეს არ არის უბედურების მომტანი...“ მე ვხედავ შენს განათებულ სახეს, მოქნილ ხელებს, ბუმბულივით მსუბუქ ჟესტებს... შენ ჩემთვის სინათლე ხარ. სადაც გაივლი, ყველგან თვალისმომჭრელი სინათლე ისადგურებს“.

რაინერი, ჩემი სიყვარულით დაგაბედულებითაღფრთოვანებული, თბილისში აპირებდა ჩამოსვლას. საუკუნედ მეჩვენებოდა ის ორი კვირა, სანამ ბოლოსდაბოლოს ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდებოდით. ზღაპრულ ფერებში წარმოვიდგენდი ჩვენს შეხვედრას, როცა ჩვენი თვალები შეხვდებოდნენ ერთმანეთს (როგორც ქალებმა ვიცით ხოლმე წერა) და როცა ჩვენი სხეულები შეერთდებოდნენ (როგორც კაცი დაწერდა ასეთ შემთხვევაში), თუმცა ამას აღარა აქვს მნიშვნელობა... რაინერიარ ჩამოვიდა!!!

მას შემდეგ, რაც პირველმა გაოგნებამ, ბრაზმა

თუ შფოთმა (არც ვიცი, რა დავარქვა, ყველა გრძნობა ერთმანეთში მქონდა არეული) გადამიარა, ხანგრძლივი იმედგაცრუების პერიოდი დამეწყო. მაგრამ, მაინც ყველაზე აუტანელი გაურკვეველობა იყო – რატომ? შეეშინდა? გადაიფიქრა? მატყუებდა? უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში, რომელზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ და მხოლოდ თავად რაინერს შეეძლო. ის კი დუმდა. აღარც წერილი, აღარც სატელეფონო ზარები, – არც ჩემს ზარებს ჰპასუხობდა. მოკლედ ისე უკვალოდ გაქრა, რომ არა ორმოცამდე ვნებიანი ბარათი, რომელიც მისგან დამრჩა, როგორც ჩვენი ორწლიანი ურთიერთობის უტყუარი დასტური, ვიფიქრებდი – არც არასდროს არსებულა და რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მირაჟი იყო.

ბოლოს ლოდინისგან და გაურკვეველობისგან სასოვნარკვეთილმა გადავწყვიტე, ეს ბარათებიც მომემორებინა თავიდან. რა თქმა უნდა შემეძლო დამეხია, გადაამეყარა ან სულაც დამეწვა ისინი, მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე იმედი მაინც მქონდა დარჩენილი, რომ რაინერიგამომეხმებოდა, და ეს შანსი არ გაუშვია ხელიდან. ბარათები რაინერს გაუფგავნე გერმანიაში, თან ვწერდი, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა, რომ აღარც დაველოდებოდი და შეეძლო აღარც ახსნა–

განმარტებებით შეენუხებინა თავი (არადა გამოგიტყდებით, ქვეცნობიერად სწორედ ამას ველოდი), ამიტომ ვუგზავნიდი მის ბარათებს და თან მოვითხოვდი ჩემი ბარათებიც დაებრუნებინა უკან... (ღმერთო ჩემო, რა ბავშვური ფეხის ბაკუნია!) ერთი თვის თავზე გერმანიიდან ამანათი მოვიდა – წერილი და ორი წიგნი. წერილი არც ეთქმოდა, სულ ერთი წინადადება ეწერა: „რაინერი გარდაიცვალა ინფარქტით. ელზა“.

იმედგაცრუება გლოვამ შეცვალა. თუმცა, უნდა ვაღიარო, ყოველთვის მქონდა წინათგრძნობა, რომ ჩვენი ურთიერთობა სწორედ ასე უნდა დამთავრებულიყო. ეს შეგრძნება კიდევ უფრო მიმძაფრდებოდა ხოლმე, როცა გერმანიიდან მიღებულ კონვერტზე სიტყვა „რაინერს“, ამოვიკითხავდი. მაშინვე, რატომღაც რაინერმარია რილკესა და მარინა ცვეტაევის სიყვარულის ისტორია მახსენდებოდა და შიში მიპყრობდა, რომ ჩვენი ვირტუალური რომანიც „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკასავით“, განწირული იყო.

...კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს გლოვა, რომ არა ერთი ჩემი მეგობრის სხვათა შორის წამოსროლილი შეკითხვა: „მაინც რა წიგნები გამოგიგზავნა რაინერის სულელმა ცოლმა?“, (რატომ იყო სულელი, არ ვიცი, პირიქით, ძალიან ჭკვიანურად

როგორ შემეყვარდა ჰენრი მილერი...



ქაი მაგიდა

ერთ დროს ქალი იყო
სანერი მაგიდა,
დანებით ტრიალებდა ქურასთან.
სარეცხის თოკებით
ქარებს რომ აბამდა,
ოჯახურ ოცნებებს წურავდა.
ყველა უჯრაში შვილები ეჯდა,
გულს იტრიალებდა გასაღებით.
ლექსებს ღამეებდა ათეთრებდა,
რადგან გრძნობა ჰქონდა დასაღლეელი.
ეს ქალი ერთხელ
ნელში მოიხარა,
დარჩა ასე და არ აფრინდა.
მიადგა სკამი უტიფრად - არც იკითხა:
ეს ქალი იყო თუ მაგიდა.

ნინო გუგეშაშვიდი ორი უენჭი...

ეზუგბაიებზე და იაშვილებზე. შვილი მყავს ლალიძე. რა ვქნა ახლა მე? გავიარო თუ დავრჩე? ისე აუბნიათ თავგზა, ყველა გამოგვატარეს. - ალაპარაკდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა კლიენტებსაც ამ დროისთვის გაეხსნათ ენის ბოქლომები, რესტორანში ნელ-ნელა ხმაურმა იმატა და ფარნამ და იამ წასვლა გადაწყვიტეს. კიბეზე დაშვებისას იამ უთხრა:
- იცი, ის ორი კენჭი შენახული მაქვს, პიანინოს თავზე მიდევს თბილისში.
ფარნამ თავი დაუქნია, მაგრამ ია ვერ მიხვდა, მოძლიერებულ ხმაურში გააგონა თუ ვერა კენჭების ამბავი როცა ფარნამ იმ სახლთან გააჩერა მანქანა, სადაც იას „ბენდი“ ანუ დროებითი კომისია დროებით ცხოვრობდა, უკვე შუალამე იყო. დამშვიდობებამდე ცოტა ხანს უხმოდ ისხდნენ.
- მთელი ცხოვრება მინდოდა შეგხვედროდი და ბოდიში მომეხადა. - დაიწყო იამ ჩუმად.
- რისთვის?
- იქ რომ არ ვიყავი, როცა თქვენ დასაკრავად წახვედით. აუცილებლად თქვენთან ვიქნებოდი.
- შენ არ წავიყვანდი.
- მაინც წამოვიდოდი.

გადამიხადა სამაგიერო). მართალი რომ ვთქვა, ნიგნები არც კი გადამიშლია, დავხედე მხოლოდ, ერთი ანაისნინის რომანი იყო „ჰენრი, ჯუნი და მე“ (მაშინ ანაისის სახელიც კი არ გამეგონა), მეორე კი - „ვენების ბარათები“ (ჰენრი მილერის და ანაის ნინის 21-წლიანი მიმოწერა). იმდენად თავზარდაცემული ვიყავი რაინერისგარდაცვალების ამბით, რომ ნიგნები თაროზე შევეყარე, ნაკითხვას ვინლა ჩიოდა, გადაუშლელად (ან კი, რა მენიგნებოდა?!). არადა სწორედ ამ ნიგნებში იფარებოდა ელზას ქალური შურისძიების მზაკვრული ჩანაფიქრი. ნიგნი ხელში ავიღე თუ არა, თავისით გადაიშალა იქ, სადაც „საჭირო“ იყო, რადგან გვერდი ჩაკეცილი აღმოჩნდა. ეს იყო ჰენრი მილერის წერილი ანაისისადმი: „ანაის, როცა შენ უბრალოდ ჩემთან ხარ, ჩემს ყოველ მოძრაობას აკვირდები...“ თვალთ დამიხნებდა, ასოები ერთმანეთში ამერია, მეტიც ნაკითხვა ვეღარ შევეძელი... ბევრი რომ აღარ

გავაგრძელო, ყველა იმ სასიყვარულო ბარათის ავტორი, რომელთაც მე რაინერისგან ვიღებდი - ჰენრი მილერი გახლდათ! ...ადრესატიც, რაღა თქმა უნდა, მე არ ვიყავი. ის თავის საყვარელ ქალს სწერდა.
დიდ გაუგებრობაში აღმოვჩნდი: მე რომ მეგონა, კაცი, რომელიც მიყვარდა, რაინერი იყო, სინამდვილეში ჰენრი მილერი აღმოჩნდა. სწორედ მისი ვნებიანი ბარათებით მოვიხიბლე და მოვჯადოვდი, თორემ სხვა მხრივ რაინერთან არაფერი მქონდა საერთო. მილერიც უკვე გარდაცვლილი აღმოჩნდა (1980წ.), თითქმის საუკუნით იყო ჩემზე უფროსი, და, ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩემთან რა საერთო ჰქონდა?! ეს ხომ მისი ცხოვრება იყო, მისი და ანაისის. მათ სიყვარული აქციეს ლიტერატურად. ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედებითი პერიოდი 1931-38 წლებში ჰქონდათ, სწორედ ამ დროს იქმნებოდა მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“ (თუმცა

ეს ჯუნიც ეძღვნებოდა), „შავი გაზაფხული“... მხოლოდ 1932 წელს ანაისმა დიუბუის 6 ნიგნი დაწერა, ეს იყო მისი ექსპერიმენტი ეროტიკულ ლიტერატურაში. შემდგომ ეს დღიურები დაედო საფუძვლად მის რომანს „ჰენრი, ჯუნი და მე“.
ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო - ჰენრი მილერისა და ანაის ნინის შემოქმედების გაცნობის... ვკითხულობდი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა: მათ რომანებს, ნოველებს, დღიურებს, სასიყვარულო ბარათებს... (საბედნიეროდ გერმანელებს უკვე ყველაფერი ნათარგმნი ჰქონდათ). ...სხვათა შორის, იმ პერიოდში ჩემი ყოფილი შეყვარებულიც გამოჩნდა და კვლავ სცადა ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ, ის უკვე ჩემი წარსული იყო, ისევე როგორც რაინერი... და, ჰენრი მილერის არ იყოს, - წარსულში ვეღარ დავბრუნდებოდი.

ორი უენჭი ანუ აქ იყო...

- გიოც არ მიმყავდა, მაგრამ ჩემზე წინ გაიქცა და დაჯდა პარკში.
- მეც ეგრე მოვიქცეოდი. მადლობა და ნახვამდის. - ხელი გაუწოდა იამ.
ფარნამ გამოხედა ზუსტად ისე, როგორც გამოხედავდა ხოლმე წლების წინ, როცა იას ეგონა, რომ ახლა ფარნას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.
- ხვალ კომისიაში ნულარ მომიყვან, პირდაპირ დამირეკე რვაზე.
- ჩვენს გოგოებს ისე მოეწონე, იმათი ხათრით მაინც მოვიდოდი. - გაიცინა იამ. - იცი, როცა ასე გამომხედავდი ხოლმე, ყოველთვის მეგონა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა გეთქვა.
- მე მგონი, ძალიან მნიშვნელოვანი გითხარი.
- უფრო მნიშვნელოვანს ველოდი.
იციინოდნენ გულიანად.
- გინდა გითხრა უფრო მნიშვნელოვანი?
- მიდი, აბა.
გამსახურდიას ქუჩაზე იდგნენ, პალმების გრძელ თითებს და მათ ვეება ჩრდილებს აქანავებდა ნიაგი - ზუგდიდში ქროდა რაღაც მშობლიური და მსგავსი იმ შორეული პალმების და ხმების, იმ გაბურღული სიმწვანის და დამათრობელი სურნელის, თითქოს ახლა ზღვაც ამრიალდებოდა სადმე.
- მომეცი ერთი კენჭი, - თქვა ფარნამ და ისეთი ხათრით შეხედა, თითქოს სიცოცხლის ნახევარს სთხოვდა, - მე კენჭიც აღარ დამრჩა.
იას წარსულიდან მარტო ფარნა გადარჩა ისეთი, ვისაც იმ ერთ კენჭს დაუთმობს.
- მწვანე გინდა თუ წითელი?
იას უნდოდა ისიც ეთქვა, რომ როცა პიანინოს მიუჯდებოდა და უკრავს, ის ორი კენჭი პიუპიტრზე უდევს.
კიდევ უნდოდა ეთქვა, რომ როცა დევნილებს

არეგისტრირებს, შუალედებში თავის რვეულში კედლებს ხატავს და ზედ აწერს: „აქ იყო ორდენ ბერაია სალდათის ძე“, „აქ იყო მზიური ვვატანია ჟან-ჟაკის ასული“, „აქ იყო ჩაკ ბერი ჰენრის ძე“, „აქ იყო ჰენრიეტა ფანთია ედისონის ასული“, „აქ იყო დევიდ გილმორი დუგლასის ძე“, „აქ იყო ფარაონ ქეცბაია რამზესის ძე“, „აქ იყო ჩემი თვალები, რომლებიც იქ დამრჩა კედლებზე“
მაგრამ არ უთქვამს, სხვა დროს ეტყვის.
ამდენი მნიშვნელოვანი ერთ ღამეში - მეტის-მეტია.

„ქლიცვოდან“ - ქლიცვოდე

არ არის ამ ქყანაზე რაიმე თაყვანსაყუბი. გარდა ლიტერატურისა და ჰლიტფოა" მისი გამოჩინული ჟურნალისა.
მაია ჯალიაშვილი
ერთ დროს ქლიცვო სახლად აქიური ფორუმი იყო და სხვა ფორუმებისგან განსხვავებით აქ ყოფი წერი შუბლილია. ამიტომ ყველაფერი გაიქცა. უფრო თბილი იყო და ოჯახურ გარემო ვადა მე მინე შალა შაყრად ქლიცვოდანში. "ქლიცვო" შენ ხარ, ქხვარ. შენი ქსუწიანები და მუხაროშა ვაარითიანება ყველა რაე შექცა ლიტერატურული ყოთხით. "ქლიცვო" - ზე იყო ჯანსაღი ქრითა. თაოშპო. ურთიერთობა. მქნაურება
თამარ ფიქროშვილი
„ქლიცვო“ იყო ჯარვი დროს, ჯარვი ხალხი და ჯარვი გარემო.
გიო სვანია
„ქლიცვო“ - გარდაცვალი დროის ერთი ღამეში ფრავტისტი სხიამონად მხსოვრობისა
შალა შაყრად



ერთ სოფელში ერთი ხარბი გლეხი ცხოვრობდა, რაც კი მოენონებოდა ყველაფერი თავისთვის უნდოდა, ამიტომაც მეზობლებმა „ჩემთვისმინდა“ შეარქვეს.

გაიღვიძა ერთ დილით ჩემთვისმინდამ, გამოვიდა გარეთ და გემოზე გაიზმორა. ამ დროს შორს, მთის წვერზე, ყველაზე მაღალი ხე მოხვდა თვალში და სიხარბის ჭიამაც მაშინვე თავი შეახსენა.

— ეს ხე ჩემთვის მინდა! — თქვა მან. — ძალიან უტყუარია კი არის - ნეტავ, აქამდე რატომ არ მომინდა?!

მაგას მაინც შეეშვი, რას გიშავებს, რაც თავი მახსოვს სულ ეგრე დგას, თვალს ახარებს, სალამოს მზე მთებს იქით რომ ჩადის, სწორედ იმ ხეს ჩაუვლის და ლამაზად გაანათებს ხოლმე თავისი ვეება ტოტებით, ღამით კი მთვარე სწორედ იმ ხის გავლით ამოდის, საცქერლადაც კარგია და სულსა და გულსაც ათბობს, შენ კიდევ მოჭრა და შეშად უნდა მოიხმარო, სხვა ხეები დაილია თუ რა არისო, დაამუნათა ის სოფლის მენახირემ, რომელიც ძროხებს მიერეკობდა საძოვარზე და ჩემთვისმინდას სახლის წინ სწორედ იმ დროს გადიოდა.

ჩემთვის მინდა და მორჩა, ნავაქცევ, მორებად დავჭრი და ჩამოვზიდავო, მიუგო ჩემთვისმინდამ, შეჯდა ცხენზე, გადაიკიდა თოფი, ცუელიც გაიყოლა და მთისკენ გაემართა.

ერთხელაც არ შეუსვენია და არც ცხენი დაუსვენებია; წყუროდა, მაგრამ გზა რომ არ მომატებოდა მთის წყაროსკენაც არ გადაუხვევია, რომელიც ცოტა გვერდით კი იყო. მივიდა ხესთან და მხოლოდ მაშინ მოითქვა სული.

ხე დიდი და ლამაზი გახლდათ, ორი კაცი გაჭირვებით თუ შემოაწვდენდა ხელებს, მაგრამ ჩემთვისმინდას ხომ სიხარბისგან სილამაზის აღქმის უნარი დაჩლუნგებოდა. აილო ცული და გამეტებთ დაუშინა ხეს. მალე ბზუილი შემოესმა - თურმე მალდა, ფულუროში ველური ფუტკრები დაბუდებულიყვნენ.

— აი, გამართლება ამას ქვია, თაფლიც მე დამრჩება! — წამოიძახა ჩემთვისმინდამ. ხიდან ჩამოცვენილი გამხმარი ფიჩხებისგან ცეცხლი დაანთო

და დაახრჩოლა, რომ კვამლს ფუტკრები დაეფრთხო და მათი სიმშვიდის დამრღვევი არ დაეკბინათ. საკუთარი მოხერხებულობით აღფრთოვანებულს მკლავებში მეტი ღონე ჩაუდგა, შებინდებამდე ხეც ნააქცია, უზარმაზარი ფულუროდან ბლომად თაფლიც ამოიღო. თაფლი იმდენი იყო, რომ ცხენზე ვერც დაატია - ნახევარი ფულუროში ჩატოვა და ზემოდან ქვებით ამოქოლა, რომ ვინცობაა დათვის არ ენახა და არ მიერთმია.

ნახევარი მთა რომ ჩამოიარა, უცებ, შორიდან მობალახე ირემს მოჰკრა თვალი. ისეთი ლამაზი იყო, იმოდენა და ისეთი დიდი რქები ჰქონდა, რომ ჩემთვისმინდას თაფლი ლამის გადაავინდა.

„ეს ირემი ჩემთვის მინდა, იმდენი ხორცი ექნება, მთელი ზამთარი მეყოფა, ტყავისგან ქურქებს შევიკერავთ მე და ჩემს ცოლი და ორ-ორ წყვილ პაჭანიკსაც, რაც დარჩება საბნადაც გაგვწვდება ორივეს, ყველას თვალებს დავუვსებთ; რქებს კი კედელზე მივაჭებებ ქურქების დასაკიდად!“ — გაიფიქრა თავისთვის ჩემთვისმინდამ, გადმოიღო თოფი და დაუმიზნა ირემს, მაგრამ ამ დროს ზურგის ნიავმა წამოუბერა, ნადირს ადამიანის სუნი ეცა და გაიქცა. ცხენიდან თაფლის გადმოღებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ამიტომ ჩემთვისმინდა ნადირს ფეხით გაეკიდა.

გაუმართლა ჩემთვისმინდას - მართალია კარგა ხანი ირბინა, მაგრამ საბრალო ირემი ხეებს შორის რქებით გაჭედო და სანამ თავს დაიხსნიდა, ჩემთვისმინდამ დაკრა თოფი და მოკლა. გახარებულმა დავლურიც კი დაუარა. ცოტათი რომ დაცხრა, დაბრუნდა თავის ცხენთან და რას ხედავს - მის თაფლს დათვი მიდგომია და ჭამს, ცხენს კი შიშისგან თვალეები გადმოკარკვლია, ადგილიდან ვერ იძვრის და ვერც ხმას იღებს.

ესროლა ჩემთვისმინდამ დათვსაც თოფი და ისიც გააგორა. მისი სიხარულის ყიჟინა კი უკვე ცასაც სწვდებოდა და სოფლამდეც ჩამოდიოდა.

რომელმა სულელმა თქვა ორი კურდღლის მდევარი ვერცერთს ვერ დაიჭერს, მე ხომ ახლა სამი ერთად ჩავიგდე ხელში - თაფლი, ირემი და დათვიცო, გაიძახოდა წამდანამ.

ჯერ თაფლი ჩაიტანა სახლში, მერე ირემი იმავე ცხენით და ბოლოს დათვიც. მთელი ღამე ეზიდებოდა. ახლა უკვე ორი სხვადასხვანაირი ხორცი ჰქონდა, ორი ნადირის ტყავი და თაფლიც ბარემ ათი კომლის სამყოფი.

დალლილმა ჩემთვისმინდამ ცოტა შეისვენა და დარჩენილი თაფლის წამოსაღებად წავიდა. მივიდა ხესთან და რას ხედავს - ამოქოლილ ფულუროს მეორე, უფრო დიდი დათვი მიდგომია და ქვებს განზე ყრის. გადმოიღო ისევე თოფი ჩემთვისმინდამ და დაუმიზნა. მოიხედა დათვმა, თავი ანება ფულუროს, ანია ხელები და ჩემთვისმინდას უთხრა:

— არ მესროლო, ჩემთვისმინდა, და ერთ ისეთ საიდუმლოს გაგანდობ, შავი დედალვით გაკეთდები!

— რა საიდუმლოა, ხომ არ მატყუებ?! — მკაცრად ჰკითხა ჩემთვისმინდამ. — არ მატყუებ, სიცოცხლეს გეფიცები! — მიუგო დათვმა. — არ მოგკლავ და მითხარი! — გადანყვიტა ჩემთვისმინდამ.

— ეს თაფლი სამკურნალოა, თუ უზმოზე მიერთმევ და წყაროს წყალსაც დააყოლებ შაკიკს არჩენს! — განაცხადა დათვმა. ჩემთვის მინდა დაფიქრდა: ვაითუ თაფლი სამკურნალო არ გამოდგეს, რამდენ ხორცს და ტყავს ვკარგავო, დასაკვინა, თუმცა, ეგეც იყო, რომ დათვისთვის სროლისაც ეშინოდა, რადგან ტყვია ერთი ჰქონდა, პირველი რომ აცილებინა მეორედ ვერაფერს მოუნაცვლებდა.

— კეთილი, რაკი თაფლის ეს სასარგებლო თვისება მასწავლე, სიცოცხლე მიჩუქნია! — უთხრა მან დათვს და ისიც ბურღღუნ-ბურღღუნით წაძუნძულდა. — ეი, დათვო! — დაუძახა ჩემთვისმინდამ, სანამ თვალს მიეფარებოდა. — იმ თაფლის სიკეთეს ისედაც აღმოვაჩენდი მე და ჩემი ცოლი ერთხელაც იქნებოდა, ასე რომ, მინდა იცოდე, ამიტომ კი არ გჩუქნი სიცოცხლეს - უბრალოდ შემეცოდე!

— კარგი, მეცოდინება! — მიუგო დათვმა. — ოღონდ, შენც მინდა იცოდე, რომ შენს დასაგლეჯად ვიყავი აქ ჩასაფრებული - ნაფლეთებად უნდა მექციე იმისთვის, რომ გუშინ უმცროსი ძმა მომიკალი, მაგრამ, სულმა წამძლია და თაფლით პირის ჩატკბარუნება გადავწყვიტე. ეს რომ არა, მოულოდნელად გამოგიხტებოდი და თოფი ვერ გიშველიდა. შეგიძლია ჩათვალო, რომ ძალიან გაგიმართლა!

ჩემთვისმინდას იმის წარმოდგენაზე, თუ რას უზამდა ჩასაფრებული დათვი, ტანში გაცრა. ის კი შეტრიალდა და წავიდა.

ჩემთვისმინდამ ფულუროდან დარჩენილი თაფლიც ამოიღო და მაშინვე შინისკენ გასწია.

მივიდა თუ არა სახლში ცოლს ყველაფერს მოუყვა.

— აგერ, ჩვენს მეზობლად ხომ ცხოვრობს შაკიკიანი ქვრივი ქალი, მასზე მოვინჯოთ ეგ ჩვენი თაფლი! — შესთავაზე ცოლმა.

— ყოჩაღ, ჩემო ცოლო, კარგი აზრია! — შეაქო მეუღლე ჩემთვისმინდამ. მეორე დილით ჩემთვისმინდას ცოლი თაფლითა და წყაროს წყალით შაკიკიან ქვრივს ეწვია. ჯერ თაფლი დაალევინა, მერე კი წყაროს წყალი დააყოლებინა და ისიც იმავე დღიდან განიკურნა. მოაწყდა ხალხი ახლომახლო სოფლებიდან ჩემთვისმინდას - ამ უკანასკნელმაც გასამრჯელო დაანესა. ცოტა ხანში იმდენი იშოვა, რომ თავისთვის კარგა დიდი სახლი აიშენა, დალხელინადაც ცხოვრობდა.

ყოველ დილით გადმოდებოდა ხოლმე აივანზე და ღმერთს მადლს სწირავდა იმისთვის, რომ თავის დროზე ყველაზე

მაღალი ხის მოჭრა ჩააგონა, ამასობაში სოფლის მენახირე გამოჩნდებოდა და ჩემთვის მინდა ახლა მას მიუბრუნდებოდა, გახსოვს, როგორ მამუნათებდი ხის მოჭრა რომ მოვინდომე, შენთვის რომ დამეჯერებინა, ახლა ისევე ღარიბი ვიქნებოდი, ახლა კიდევ მიდი, სხვის საქონელს სდიე სამადლოდ და მშვიერი კუჭით, აი მე კი სახლში შევალ და ერთი მადიანად ვისაუზმებო.

სალამოსაც იგივე მეორდებოდა - ჩემთვის მინდა ჯერ ღმერთს შესწირავდა მადლობას, მერე კი მენახირეს დასცინოდა, რომელიც ამ დროს საქონელს საძოვრებიდან სოფელში შემოდენიდა ხოლმე - მიდი, ჩამოურიგე პატრონებს მათი ძროხები და ისევე მშვიერი კუჭზე დანექი, მე კიდევ ერთი გემოზე უნდა ვივახშმოო.

ხოდა, ერთ დილითაც ამოვივიდა ყელში მენახირეს ჩემთვისმინდას აბუჩად აგდება, ერთი ძველისძველი თოფი ჰქონდა, რომელსაც საძოვარში დაატარებდა ბოლო დროს მომრავლებული მგლების დასაფრთხობად. გადმოიღო მხრიდან და ჩემთვის მინდას დაუმიზნა, ეს თოფი ზოგჯერ გაისვრის, ზოგჯერ - ვერა, ხუთჯერ მაინც უნდა გამოკრა ერთხელ მაინც რომ ბუთქოს, შენი სიცოცხლე ბედს უნდა მივანდო, პირველივე გამოკვრაზე თუ არ გაისროლა, ცოცხალს დაგტოვებ, მეორედ არც კი ვცდი, თუ არადა საუზმე-ვახშმის გემრიელად მირთმევა იმქვეყნად მოგინევსო.

გამოკრა მენახირემ სასხლეტს თითი - გავარდა თოფი და ტყვიაც შიგ გულში მოხვდა ჩემთვისმინდას. იქვე განუტევა სული. მენახირემ კი ტყეს მისცა თავი, აბრაგი გახდა, თავს ნადირობით ირჩენდა - ბოლოს კი, გაზაფხულის ერთ დილით წყაროსთან ზამთრის ძილიდან სწორედ იმ, ახალგამოღვიძებულმა დათვმა დაგლიჯა, რომელსაც თავის დროზე სიცოცხლე ჩემთვისმინდამ შეუნარჩუნა.

მენახირის დარჩენილი ძვლები გლეხებმა სოფელში ჩამოასვენეს და ჩემთვისმინდას საფლავის სიახლოვეს მიაბარეს მინას.

ამქვეყნად ყველა მდიდარს ერთი ისეთი სულელური ახირება მაინც აქვს, რომელსაც საბოლოოდ შეენიროს უნდა კიდევ, მაგრამ, ამა სოფლის მთავარი გამოცანა იმაშია, რომ საწყაი კაცსაც უნდა გაუმწაროს სიცოცხლეო, ბრძანა მაშინ რომელიღაც გლეხმა. მალე ეს გამოთქმა იმ სოფლიდან მთელ დუნისა მოედო. ამას წინათ იაპონიაში გახლდით და იქაც მოვისმინე, ოღონდ გამოთქმის წარმომავლობაზე არაფერი იცოდნენ. ხოდა, მეც არ დავიზარე, ეს ქალაღზე გადმოვიტანე და წავაკითხე.

დასასრული



ლი დუმისის ჯავშანს უსიტყვოდ ვეხლებით და ჩემი სიტყვის ძალა, უდღეური მერცხლების ჟიჟივით შორიდან აღწევს შენამდე. დუმისი არ ჩანს, ის უნდა შეიგრძნო, მხოლოდ ზღვარდაუდებელი სამანის მიღმა. დუმისით სულის მირქმა იდუმალებას ამძაფრებს...

ნუ დადუმდები! უხმო თვითგვემა იკმარე, იკაროსის ხვედრს რისთვის ნატრობ?

დუმისის ფრთებს ხელახლა სევდა ვერ შეგიბუმბლავს და თუ გასცდები საურავს, სიტყვას ჭრილობასავით დაატყობ დუმისის ბეგთარს. მის ხელყოფას ოდენ სიტყვა ბედავს.

კერპად ეჭიდები დუმისის ფართობს, მას უჩვენობა ელჭექის მსგავსად ართობს, დუმისის სიმფონია მალვით შემოდის... შენ სიტყვას ეკრძალვი, რაც ქმედებისა და უმოქმედობის აუნონავ ჭიდილს ერთვის.

და მე ღმერთს შევთხოვ: იხსენი იგი დუმისისგან, იხსენის პიესის დაძაბულ სცენარს რომ ნააგავს და მტანჯველი გამონაბოლქვის ნისლში იმქვერევა.

ნუ დადუმდები! დავითის ძახილს უსასრულოდ ვაყურადებ. ვთქვი ადრე, არცერთ ეპოქას არ ვეკუთვნი, ჩემში უნაპირო დუმისი კიაფობს, როგორც სმარაგდი, ჰოდა გამაგრდი, სიტყვას უძღვები შვილივით ნუ განუდგები, ნუ დადუმდები! კაცთა დუმისის წარმავლობაზე დაე სხვამ გაიმბოს...

დუმისმა სიტყვის მერქანი მიითვალა. მყიფეა მისი თავისქალა. უკაცრიელი, სახიფათო, უზ

ვაგი, ჩაგუბებულ უკმარისობას უხმოდ ანაცვალე თავი; სანამ მსხვერპლს შეარჩევდი კერპად, პედანტურად, გარეგნული ესთეტიზმით შემკული და არტისტულად შეიარაღებული. დუმისის ფიცარნაგზე გათამაშებულ დრამატულ სცენას ოდითგან შენატროდი და აჰა, ჰოვე ის, ვინც შენს გაუგებარ ქმედებებს გაგებით მოეკიდა და დუმისის ყლორტში დამინებული სინათლის გა-

დასარჩენად უყოყმანოდ გაიბრძოლა. დაუდგენელი დუმისის გაუსაძლის საცეცებში გახლართული გვიანლა მოეგო გონს. ფონს გადი! ოდეს თავს შეუძახა, დუმისის უფსკრულის სახიფათო სუნთქვამ აალებული საფეთქლები აუქარბუქა. დუმისის პირმშოს უტყვი ძახილი კისერზე ყულფივით შემოეგრანა.

ოდეს ღმერთმა მოუხმო ადამსა და ევას, ცოდვის საპასუხო დუმისი დახვდა შემოქმედს. დუმისი სამხილია. იგიადამიანის ბაგიდან მოზღვავეულ სიტყვას ელჭექის ძალმოსილებით ზარავს.

პირველქმნილი, მანამდე უჩვევი დუმისის სუსხი დაეფიფქა გულზე უფალს. სწორედ ამ უკუმგდებმა ძალამ სამყაროს შექმნა აიძულა, სანამ გონება დუმისის აღქმას ინარჩუნებდა. ამ დროს ინტუიცია გამოუცნობი განზომილების ნისლში ირნეოდა... ღმერთმა კი დუმისი დასწყევლა და ადიდა სიტყვა...

დუმისმა დანავსა დედამინა. დუმისის ხავსი გადაჰკვრია ერთფეროვნებას, რომლისთვისაც მიუღებელია გამოთქმა მსგავსი მსგავსს ეძებს და ხალისით უკავშირდება. (ჰომეროსი)

მდუმარე კაცი რომ მეორე მდუმარეს შეეკრას, ერთიანად გამოყრუვდებოდა სამყარო, დაუსრულებელ ღრინაცელის ნილ უყოყმანოდ დათმობდა ცეცხლოვან მუხტს, რითაც დასაბამიდან სულდგმულობს.

დუმისი უსხეულო განზომილების მიღმა უსიტყვოდ მძვინვინვარებს, ბორგავს, ოდეს ტყვია დაახალეს გარსია ლორკას, გულმართალი სიტყვა გაუმართლებელმა დუმისმა შეისრუტა. სევდით დალიანდაგებულმა დუმისმა პოეტის ხსოვნა წარხოცა.

დუმისი, როგორც სიკვდილის კოცნა, უგრძობლად დააჩნდა ბაგეს, რომელმაც სქესის გარჩევა მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნია წრეგადასულად გაავხორცებული კაცობრიო-

ბის გადამკიდემ.

საკითხავია, დუმისის სქესი სიკვდილისას თუ ემთხვევა...

და შენს მზერაში ავბედითად ირწევა დუმისის ყურე, ჩემს შუშხუნა, ელჭექიან სიტყვას უნაპიროდ რომ ეტოქება. გგონია, დუმისის შვერილს შეფარებულმა სიმშვიდე გაინადირე?! დრო დასვამს ტირეს დუმისსა და სიტყვას შორის დაუსრულებელი სიჩუმის უკვდავსაყოფად. უძილო მზე იმდენად ქორფა, დუმისს მისგან ამოკემსილი სიკვდილი მიაჩნია სწორუპოვარ სწორფრად...


დუმისმა მოგდრიკა? ერთხელაც ვილაც მოცლილი როყოოდ გკითხავს და შენი უამინდო სიჩუმით უკუქცეული ხელს მოწყვეტით ჩაიქნევს. როდის აკინძე დუმისის რვეული?! წარმოსახვით სივრცესავით გამძლე და უღალატო. ოდეს დუმისის ციფერბლატი მზის მზერას აღტობს, ჟამის მდინარეა გრძნეულია, სიტყვას იმდენი რამ შეუძლია, ახალ ერას დაუდებს დასაბამს...

დუმისი ბუნების წიაღიდან თუ მოექანება, პირ უტყვ კაცთან თანასწორობაზე სწორება პროზაულადაც აბსურდია, ფუჭი აბრუნდი, ვინაიდან სიტყვას ღმერთის ძალმოსილება უმაგრებს ზურგს; უსიტყვო სამყარო წარღვნამდე უსახელოდ დაინთქა. ..

დუმისის ხავსი გადაჰკვრია სამყაროს სწეულ კიდურებს. ღმერთს ვინ მოიმდურებს ადამის ძის გარდა, რომელიც ავბედით დუმისს ტყვედ უხმოდ ჩაბარდა, და საბედისწერო მარცხი ოდენ ევას დაბრალდა. ძლიერმა სქესმა კაცის სახით ცალუღელად ვერ ზიდა სამოთხიდან გამოძევებული დუმისის წყევლანარევი სიმძიმე.

და იშვა დუმისის დასასეტყვად ქალი, უკაცრიელობის ჟამს ყოველთვის რომ პოულობს კაცობრიობასთან შესატყვის სიტყვას ადამის მოდგმის გასაგრძელებლად...

3.08.2018.



1 ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა განმბანს ოდესმე იორდანე — წმინდა მდინარე? ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს და საუკუნე მიავდრება თვალთა წინარე დამამხობელი აბრაამის ნათესავისა ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა

2 ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები კონსერვატიულ მზეს უჭვრიტე შემოდგომისას

მკვდრები საფლავით — შეგვინდო — მოგატირებენ ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები მკვდრებიც ცოცხლებიც შეუპოვრად მიგატოვებენ დაგესიზმრება შიგნეული დიად ომისა ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები კონსერვატიულ მზეს უჭვრიტე შემოდგომისას

3 აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა რუხმა უდაბნომ მიანება ცის სიანკარეს ადამიანებს მოუნდებათ მათთან სტუმრობა აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა ბინდის კარებთან დაამთავრეს მოგზაურობა მთვარეთა დარებს აპრიმანი არ მიაკარეს აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა რუხმა უდაბნომ მიანება ცის სიანკარეს

4

მოსდევდა ქარონს დალუპულთა ერთგული სევდა გამქრალა კვალი დაბინდული მშვენიერების მოსევ და არონ აქ მაყვალის ცეცხლს მოისევდა მოსდევდა ქარონს დალუპულთა ერთგული სევდა წყალთა სიბნელე გადაივლის სულზე ისევ და მკვდრებს ამოლალავს გაფითრებულ ვერცხლისფერებით მოსდევდა ქარონს დალუპულთა ერთგული სევდა გამქრალა კვალი დაბინდული მშვენიერების

5

გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა არარა ჰგიეს უნიწარეს ჟამთა ამტანი მინარეთებთან ბოლო ზღურბლი ენამა მზეთა გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა სულის იარა გარდარეულ მღერად აღზევდა საბედისწეროდ დაგაყრუა დოლით ტამტამით გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა არარა ჰგიეს უნიწარეს ჟამთა ამტანი

6

სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი ახლა როს ჟამი ვარდობისა გარდასულია როსმე იმ ჟამთა გალანტური იყავ ბატონი სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი დღე-გუშინდელთან განაპირდი — დარჩით მარტონი ყვითელი ფარჩით რომ გატვირინდა — შენი სულია სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი ახლა როს ჟამი ვარდობისა გარდასულია

7

უფლის წინარე გაირინდე მარტოეული ღამეულ ცაზე კოსმიური ყვავილნარია ურიცხვ ლანდებით აგვესება უნდო სხეული უფლის წინარე გაირინდე მარტოეული სამყაროდ იქეც მომდუმარე სიზმარეული აღმოუტევე უნაპირო კვდომის არია უფლის წინარე გაირინდე მარტოეული ღამეულ ცაზე კოსმიური ყვავილნარია

8

მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი მაგრამ სულეთში ჩაძირულხარ და ვერ გაშინებს როსმე ამ სოფლის ფერადებით იყავ გამთბარი მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი ინელბ მზერას იმქვეყნიურ ყოფნით დამთვრალი სამარადჟამოდ ეკედლები ძვირფას აჩრდილებს მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი მაგრამ სულეთში ჩაძირულხარ და ვერ გაშინებს

9

სულეებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება ბნელ უფსკრულიდან ვარსკვლავებად ამომდინარი სანუთროს ბინდი ნიღბებისა გადასცილდება სულეებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება მოვედინ კრავი და ყოველი განიწმინდება წინანი უკან უკანანი ახლა წინ არი სულეებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება ბნელ უფსკრულიდან ვარსკვლავებად ამომდინარი

10

ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება დიდდება წამი მარადისის აელვარებით არსი ყოველი დაუტევეს დროის ბინდებმა ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება თხემის ზემორე უფლის თვალი გამობრწყინდება უჟამო ჟამის ჩამორეკენ მძლავრი ზარები ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება დიდდება წამი მარადისის აელვარებით

11

საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის სულში რომ შავი ღრუბელივით გამძვინვარდება ვინ ვარ ნეტავი — ყრუდ გმინავენ გარეშემონი საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის მთვარეულ ფიქრებს უდრტვინველად უნდა ემონო შავად გაშლილებს სამშვინველის გრძნეულ ვარდებად საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის სულში რომ შავი ღრუბელივით გამძვინვარდება

12

ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა ციურ თაღების აღმავალი განყვდიადებით ვალმა ლალატის დაგიამა უმსუბუქესმა ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა ქარბუქთა მიღმა გინყვილდება კეთილი ეშმა ნეტარ სიშმაგით სასიკვდილოდ აწრიალდები ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა ციურ თაღების აღმავალი განყვდიადებით

13

ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი მორთულხარ ციდან მონყვეტილი ბრილიანტებით კრავით განბილდა ლეთისპირას ქუფრი ქარონი ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი ანგელოზებმა საკრალური სიტყვა გახარონ ველურ ღამეთა სასიკვდილოდ გრილი ანთებით ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი მორთულხარ ციდან მონყვეტილი ბრილიანტებით

14

გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების აჩნდა ჰორიზონტს გილგამეშის ნატერფალები უდაბნოთაგან მოდაისე იყო რომელი გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების იყო საჰარა არიზონა დაუცხრომელი უწყლო თვალების სიზმარეულ გაფერმკრთალებით გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების აჩნდა ჰორიზონტს გილგამეშის ნატერფალები

ქლიფვოდან - ქლიფვოდე

"ქლიფვო" ჩხოვილ იყო და არის შქანიშნავი საშაქლა ვაჟონო თანამედროვე ჩარხოვილი ავტორი და ასე, ვაჟონო ჩქი საყთარო შქორქილა ფარხო აუდოლოროლ

ირაკლი ლპოყრი

1 არის ლიურაუყრასე ფიქროს მრავალსახობისა და ახალი ლიურაუყრული სახეისი ვაჟონოლი ჟარგი შქალ ლქობა აქ შეგძლია მიიღო ინფორმაცია, სწავადოქალ წარყდგინო საყთარი ნაწერქი, ვამოთქა მოსწარქი და მონაწილეობა მიიღო დიქსიაში. ქ. ქხადია

არ არის "ყილფერი", მაგრამ ქ არის ჰერი რამ "სიწერქი". ქლიფვო - ლიურაუყრასე ფიქროს ჟამდოლოროლ

გია მურაყლი

ქლიფვომ" ვაჟოყხლა ლიურაუყრული ჰროყქი. "ქლიფვო" მქოხვილია და ავტორის მქხვილია დრო და ადგლია."

ია არღანაშვილი

აქ ქლიფვო" ვაქრა, როგორც დარქაიქლიქი ქროი ჰოწოქიური თქქი ჩქლ შქორქილაზე, ვაქრა ვანყიობა როქლოყ ამოღანაშქდა სოქლ წყრქლ და წარმოაჩენდა მათ

შქორქილა ანოქოქიქლიან ვამოქილა სხვა ვითარქაში ჩარხოვა და რატომღაც ამის სურვილოყ დამოქრვა აღქათ ასოყ შრადოყა, ჩქი ასოი ქაროყლომა."

გვირ აღხანაშვილი

ქლიფვო" იყო ქროადოქროი ინტერნქსქოვრქი, სდაყ შინაყრად ვგრძნოქდი თავს და ქოღვქოიან ღიად ვაუქროქლოი ლიურაუყრულ თქპოქოზე. ქლიფვომ შქქნა ოლ აუბოქფრო, ახალგაზრდქი რომ სომოქნქოი ქროქოქლდქნ და სქქანოქდქნ, თაოქთაოა ვემოქრო რომ შედვა ვაროყრ დონქე."

ყიოქრქილა სოიო

ქლიფვო" ქ იყო თქილი ვირქუადოქროი სახლი, მასქინქლით და სქქარქიოი სავქ, როქლოყ არასოქლ დამავიწყდქა. მოყარო ყილა ქლიფვოქლი და მქნატრქა ქ თქილი ლიურაუყრული სახლი. ჰერ ფაროყქლ ვსქქროქდი, მაგრამ ქლიფვო - ქ რადოყ სხვა იყო, ვანსაყთაროქი და ამაში ყილა ქლიფვოქლი დამოქნსქა.

სანდრო ლროქიფანქი

პაუო სვიმონიშვიდი

სამეფიერო

მოგწყდის შენს კალთას, სინანული დამჩემდა მწარი, გაშლილი ნისლი, მზესასუნთქი, ნახნავს სდიოდა, თავს გადაეველო ეზოს სული, ბინდის ციცარი, ახალდადებულ კვერცხის სითბოს ინახავს ოდა.

აფითრებს თითებს ღამეული ცის ამალღება, შორი ვარსკვლავი შლის ცეკვაში ლერწმების მოხრას, ცრემლის სინათლით მინანქარი ოქროს ალღეება და ცა-მწვერვალი გააღვიძებს სხეულს ნაოხარს.

ღამით მთვარე ხარ, დღით მზე, სუროს ჩრდილით ბურვილი, დაუთქვამ საზღვარს ცოდვილ სხეულს, სახევე მარადო. ქრისტეს გზასავით ძნელი არის შენი სურვილი, ცეცხლიან მახვილს დაგხვდი უნდო, უმუზარადო.

ახლა კი ვეღარ დააოკებს ხვაშიადს რული, დაწუნებული სამარეშიც ჩამაგდეს ცერად, ვვლე ანგელოზთა მდუმარების ქვაში სხმა სრული, რომ შენი წელი ყვითლიკვერით შემომენერა.

მომყვება კვამლის და გამშრალი სიმინდის სუნი, მინა მიმზადებს ოქროს ლოგინს, კალთაგრძნეული, დაგიბრუნდები, არ ვარ შენი ავის მოსურნე და ზღაპარივით გასრულდება ათასწლეული.



ზაზა თვარაძე

ჯადი-ბუზი

ზღაპრის სკივრებში რიყის ქვეები აღმასებს ჰგავდა. და ამ აღმასებს გულმოდგინედ რანდავდა რანდა... მაგრამ ყოველი ქვა გამოდგა ცრუ, ყოველი ქვის გულში აღმოჩნდა ღრუ. და ეს ღრუ ყველაფერს ნთქავდა და ჭამდა.

ზღვის ყრუ ხმაურში დიდი ნიჟარები აპობდნენ ბაგეს, აჩენდნენ მარგალიტს — კბილებს, ტუჩებს... გიძღვნიდნენ ალთქმებს. მაგრამ ეს ალთქმები გამოდგა ცრუ. ყოველი ალთქმის გულში აღმოჩნდა ღრუ. და ეს ღრუ ყველაფერს არღვევს და ანგრევს.

ჯადოსნურ სიზმრებში ხეტიალი გივლენდა ხიფათს, და გული ცდილობდა არ გადაეხვია ნაჩვევი გზიდან... მაგრამ ეს გული აღმოჩნდა ცრუ. ამ გულის სიღრმეში აღმოჩნდა ღრუ. და ეს ღრუ ყველაფერს ქირდავს და ფიტავს.

ასე გამოფიტულ, გამხმარ კედლებს ედება ხავსი, კუთხეში აბლაბუდა აბამს და აბამს უაზრო კავშირს... მაგრამ ეს კავშირი ხომ სადღაც ძევს, რაღაც ხომ აკავშირებს მამას და ძეს. მამ, აჰყევ, ძმაო, ჭერისკენ ქსელს და გასწი, გასწი!...

ცარიელ ოთახში ქალაღდის ყვავილებს ვილაცა ფურჩქნის, ქალაღდის დილა დგას, ქალაღდის სარკმელში იღვრება შუქი... ის კი დაფარული ხავსით და მტვრით, კიდურებდასახსრული, გაცვენილ ფრთით, კუთხეში, ქსელში გახლართული ძრწის — კაცი-ბუზი.



ნინო დარბაიხელი

სარაბანდა*

(ციკლიდან - " ეტიუდები")

ერთ ლამაზ ქალს ერთ სოფლად სდევდა მთელი ბანდა,
მაგრამ გული იმ ქალმა ქალაქს დააბანდა,
ბოზად არ დადიოდა ის უბან-უბან და
ბინიან კაცს ყვარობდა. ამბავს ვამბობ, ანდა
ჭორს გიამბობთ. ჩასული კარგად დაიბანდა,
მერე ჩანთას გახსნიდა, სავსეს სასმელებით,
სოფლის ნობათს ელოდა კაცი გამალებით
და თვრებოდნენ სიტყვებით, გულში ნამალებით,
ბულბულებით, მტრედებით, ცისკენ ფრთამალებით
განა ინტიმს ასეთ დროს ვინმე ვემალებით?
კაცს ელაგა საქალოდ წვრილი საჩუქრები:
პომადები, ფანქრები, ლურჯი მინანქრები
რად ვერ სჯაბნის უფიქრალს ასჯერ ნაფიქრები,
თუკი სიყვარული ხარ, ასე რატომ ქრები,
ბოლოს თუკი მწარდები, რალად გვემაქრები!
რას კარგავდა რომელი? იადვილეს ყოფა.
მერე კაცი გაცივდა და იავადმყოფა,
ნამით არ უფიქრია ქალის უარყოფა,
მაგრამ შვილმა მიხედა. შვილებს რა ეყოფა,
ანდა წილი იმათი ვისთან გაიყოფა!
ქალმა მალე ამ ყოფით ველარ იბიბინა.
ბიჭიც წამოეზარდა და დასჭირდა ბინა,
დახმარების სათხოვად კაცთან მოიბინა,
შეახსენა, თუკი რამ ფიცი ადებინა,
კაცმა - შვილის გეგმები გადაადებინა
ქალი სადღაც წავიდა, გზა იპოვა მან და
აი, ასე დასრულდა ჩვენი სარაბანდა!



*სარაბანდა - გენეტიკურად, ესპანური ჩქარი, წყვილის ეროტიკული ცეკვის სახეობაა. ევროპაში მრავალჯერ აკრძალეს. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში გადავიდა მუსიკაში და შენელდა. (ბახი) იქცა კლასიკურ მუსიკალურ ჟანრად. გვხვდება სხვა ჟანრის ნაწარმოებებშიც, მაგ. სუიტაში - ანართის" სახით. მუსიკაში იგი თანდათან დაშორდა ცეკვას - როგორც პირველწყაროს. სრულიად იცვალა ტემპორიტმი. ბოლო ნიმუშებიდან აღსანიშნავია სტრავინსკის "არაბანდა". ლექსი შეთხზულია აეროპორტის მოსაცდელში, დროის გასაყვანად. შინაარსი - პირობითია. ბოლო დროს გაგონილ ჭორს ეყრდნობა. ფორმა - აგებულია მეხსიერებაში შემორჩენილი ერთი სარაბანდას რიტმული წყობის მიხედვით. ჯერ ჩამოვწერე ხუთ-ხუთი ერთეულისგან შედგენილი ზუსტი რითმები, მერე შინაარსის შეწყობასა და აწყობას შევუდექი. ხუთი ხუთტაეპიანი მონორაიმული სტროფი ფინალში რეზიუმირდება ორტაეპედით, რადგან ჩვენს რეისში ჩასხდომის დრომაც მოაწია. შეიძლება ჩაითვალოს ჩემს შექმნილ ფორმად.

"ეტიუდები" მრავალი მსგავსი

იხნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა ჰოეზიას უნიკობის ხენისაგან?

ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ნებისმიერმა მსურველმა დადოს თავისი ნაწერი და ამაშილიტერატურის განვითარებისთვის ვერც ცუდს და ვერც საბედისწეროს ვერაფერს ვხედავ. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ სწორედ დამწყებ ავტორებს არ ახასიათებთ ამბიციურობა და პრეტენზიულობა, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ ცნობად ავტორზე და მოდი, მაშინ ვთქვათ, რა უფრო ცუდია ლიტერატურისთვის, როცა ღიმილისმომგვრელი და უპრეტენზიო ტექსტები უჩუმრად იკარგება საიტების არქივში, თუ როდესაც ამა თუ იმ ავტორის საეჭვო ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებს შედეგად გვასაღებენ. თუმცა, ეს სულ სხვა დისკუსიის თემაა. ბატონი გივის კომენტარები, რომელიც ამა თუ იმ ავტორის ლექსს მოჰყვება ხოლმე, ბუნებრივია, შენ წარმოიდგინე, გასაგებია კი (ავტორებზე ასეთი დაბალი აზრის ნუ ხარ) და რაც მთავარია, აზრიც აქვს და ავტორსაც უწყობს ხელს განვითარებასა და თვითრწმენის

მოპოვებაში, თუნდაც შეცდომების გადალახვაში, რაც მე საკუთარ თავზეც გამომიცდია და სხვების მაგალითზეც მინახავს. ბევრისთვის შენი კომენტარები და შენიშვნებიც ძალიან საინტერესო იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ამისთვის თემის სახით ცალკე სივრცე არ არის აუცილებელი. ისედაც დიდი ყურადღებით მოგისმენს ნებისმიერი ავტორი, მათ შორის მეც და არაფერი გიშლის ხელს, რომ შენი გამოხმაურებით და თუნდაც კრიტიკით ხელი შეუწყო შენთვის საინტერესო პროცესების განვითარებას. რაც შეეხება მოსმენის კულტურის არქონას და "უარყოფით აზრზე რეაგირებას", ამ შენიშვნას ვერ მივიღებ. როცა ასეთ რამეს ამბობ, მეტი არგუმენტაცია და დამამატკიცებელი საბუთი გჭირდება, თორემ აქედან შეურაცხყოფამდე არც თუ ისე შორია. **გიორგი საჯავია:** თავად ვარ ერთ-ერთი პროექტის თანაავტორი და კარგად ვიცი, ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ემსახურობდნენ:

- ა) ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების წარმოჩენასა და შემდგომ პოპულარიზაციას;
 - ბ) საქართველოში მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის ამაღლებას;
 - გ) მხატვრული ლიტერატურის როლის გაძლიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
 - დ) თანამედროვე ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთ ინტეგრაციას;
 - ე) ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა ურთიერთგაცნობას, ინტერნეტ-კონფერენციებისა და დისკუსიების გამართვას;
 - ვ) ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას;
 - ზ) ლიტერატურის ისტორიის ფართო მასშტაბისათვის გაცნობას.
- ლიტერატურულ ინტერნეტ-სივრცეში რომ ასეთი არეულობაა, სწორედ კრიტიკისა და ცენზურის არარსებობის ბრალია. გივი აღსანიშნავი კომენტარები რომ ბუნებრივი

დედა შურუპოვა



აღარ მინდა, მომენატრო, საქართველო, მინდა, ისევ გამითენდეს შენი ციდან, მინდა, ისევ მოგეფერო, ისევ გიგრძნო, ჩემი სუნთქვით დაიბუროს ცა და მიწა! აღარ მინდა, მომენატროს ალიონი, მინდა, დაისს ბებოს თითებს მივეფერო, მინდა, ისევ ტაბლის კალთას ამძიმებდეს რუდუნებით ნაფერები დედის სითბო. თმებში ისევ ჩამინანი მზის სხივები, მერცხალივით დამაბრუნე ბუდეს ჩემსას, გამითენე შენს კალთაში გაზაფხული, მერე გინდაც წამიყვანოს ფოთოლცვენამ!

დუბინი, 2022



ფიქრია ბაფხოშვიდი

ფშავეთს ბუნება უმშვენის

ფშავეთს ბუნება უმშვენის, მზის ამოსვლისა დარასა, სურვილს უხდების ახდენა, ავს თუ არ გიქადას არასა. ნაველ და იმათ ვესტუმრე, ცა ქუდად რო ახურია, იქ არი, რაც გულსა ჰშიან და რაც თვალებსა სწყურია. ზეკარს სხლტებოდნენ კლდეები, ტყეები უღრან-უღრანი, პირიმზეს ეტოლებოდნენ გვირილა, დეკა, ურძანი. პაპათ ნაკერალს მივკვლიე, მივედი სანახავათა, არ ველოდ, დამხვდა ისეთა, გული გამიხდა ავათა. გადავაბიჯე ქვა-ლორლსა, განაცრებულსა და რუხსა, არცა ვინ ეჯდა საჩეჩელს, არცა ჰსუტავდა ჩიბუხსა. არავინ შამამეგება, მარტოსულს, დაღონებულსა, ძალ-ლონე გამამელია, დარდით გულშაღონებულსა. ბინდბუნდი ჩამაესვენა, ველარც ვხედავდი მთვარესა, არავგი დასწორქოლებდა ყოველმხრივ ღვთიურ მხარესა. ბრუნავდა ბედის ბორბალი, ნისლი ბორგავდა მთაზედა, არე მიჰქონდა ქარახვეტს, ქვას არა სტოვდა ქვაზედა. ცა ფეხად ჩამოდიოდა, დროს ფქვავდა წამში წისქვილი, წინაპართ სამყოფ ალაგზედ ჩამამდგარიყო სიკვდილი. ჩამოვჯექ ცვრიან ბალახზედ, შავბლავლე: - ღმერთო! სადა ხარ? გაგიხმეს ფეხი, სიკვდილო, ეგეთ უწყალო რათა ხარ? ვფიქრობდი, ყველას მოგვდგება, ზოგს - ადრე, ზოგსაც - გვიანა, მუალის, მოხისფეხდების, სისხლ-ხორცს გამაჰხრავს ძვლიანა. იმიერს წასვლა მაშინებს, ვაითუ მოვხვდე ბნელეთსა, ამიერს დამრჩეს არავინ, გულს ვინც დამიკრეფს ხელებსა. ავდექ და ფერდობს ჩავუყევი, პირ მასტეხიყო ღამესა, ჯანლი გაჰყროდა მთის წვერებს, დილა ახელდა თვალებსა. გზას ქალაქისკე გავუდექ, რუხრუხით დამონებულსა, მზე დუღდა, ბული მახრჩობდა, სიცხით გულშაღონებულსა. ქალაქს ისე ვერ ვლამაზობ, სიმრავლით გადავსებულსა, მთას რო ბუნება მშვენის", დაცლილს და დაღონებულსა.




2022, დუბლინი

დოირან ნი გრიოფა ოქეანის ექო

(ირლანდიურიდან თარგმნა ნანა შალამბერიძემ)

ბნელი ნოემბრის საღამო ბებიას სახლში. ჩონჩხად ქცეული შიშველი ხეები ირხეოდნენ, ჭრიალებდნენ ქარში და ფანჯრის მინას ფხაჭნიდნენ შეუბრალებლად. ბებოს ნაქონ ძველ შალში გახვეული, ბუხრის კიდეზე ვიჯექი თბილად და შორიახლოს, მიღმა ცხაურის, ინვოდა ტორფი, ლუოდა წითლად. გაუთავებლად ბუტბუტებდნენ, რაც რამ მომხდარა, მასზე: ტყუილები თუ ცემა-ტყეპა და სკანდალები. გარდაცვლილებზე საუბარი, წუხილით სავსე, ავსტრალიასა და ამერიკაში მათი ამბები. ყვებოდნენ ყველა ადგილობრივ მეგობარზე, აგრეთვე მტრებზეც, მათს ცხოვრებაზე, რომელთა სისხლიც შერეულია, აღრეულია მიწაში, რაიცაა უხეში და ქვა-ლორლით სავსე. მე, საბრალო, ობოლი ბავშვი, შემდეგ მოვკალათდი იქ მშვიდად უფრო და ბუხარს ლოყა მივადე მკერდზე, გავყუჩდი და თავი ასე ვიგრძენი მყუდროდ. ჰო, მე გავყუჩდი, ვიდრე სწვდებოდა სმენას ოკეანის მძიმე, ყრუ გულისცემა და შეუნყვეტელი მიქცევ-მოქცევა, ვიდრე მისი ექო კლდეების მღვიმეებში გრუხუნით გაუჩინარდა.



ნანა შალამბერიძე



მზუფთავი სანთლის შუქის ფონზე ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ვზივარ. კარზე კაკუნის ხმა მომესმა. დედამინის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ჩემთან მოვიდოდა, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო?

კარს აღმაცერად გავხედე, სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა.

მე ხომ არ ვგეგმავდი არავის გაცნობას... არავისთან საუბარს..

სახელურს სანამ გადავატრიალებდი, ალბათ ერთი ცხოვრება დაილია. რკინის თავი დაუანგული იყო და სამიოდე წამი დამჭირდა ამ უხეირო მონყობილობის ასამუშავებლად.

კარს ვაღებ და ვიხედები. ჩემს წინ ცარიელი სივრცე იშლება.

ისევ მარტოობა მენვია. ისევ ბოროტად დამცინის. ***

შემოდგომის სუსხიანი ქარი ქროდა. ფანჯრის

რაფაზე ჩამწკრივებული ყვავილები თითქოს თავებს მორცხვად ხრიდნენ. წამოწინკლა. წვიმის წვეთები სახურავს სიმფონიურად ეცემოდა და საუცხოო იდილიას ქმნიდა. უეცრად საშინელმა სევდამ შემიპყრო. შემძულდა ეს პატარა ოთახი მთელი თავისი ავლადიდებით. აღარც კედელზე საგულდაგულო ადგილას ჩამოკიდული თოვლიანი პეიზაჟი მომწონდა. გრძელი ფარდები, გაცრეცილი დივანი, ჭახჭახა სანათი.. ისინი მხოლოდ ერთ გარემოებას ააშკარავებდნენ: მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი.

რატომ ვერაფერს მივალწი ამ საშინელ სამყაროში?! მე არათუ ექიმი, ან ფსიქოლოგი, ან მწერალი, არამედ ვერაფერი ვერ გამოვედი. ასე ღონეგამოცლილი მიუყვებოდი დინებას და ბოლოს დღეების თვლაც კი დავინწყე. ჩემი ამცხოვრებისეული დაბადების არსი იმდენად ღრმად დავმარხე, რომ ეჭვგარეშე იყო თავიდან აღმომჩინა. მე თითქოს დავყევი ამ უმეტარ შინაგან ხმას და შევწყვიტე წინააღმდეგობა. სიმართლე იქვას ამდენმა უსამართლობამ გამაბოროტა. როცაღა კიდევ მძალუძდა რაიმეს დავნოდი ყველამ და ყველაფერმა ზურგი მაქცია. ზედმეტი გარჯა კი როდი ჭრის ყოველთვის? განა მოიძებნებოდა ვინმე, ვინც ბედნიერების საიდუმლოების ჭეშმარიტებას აღმოაჩენდა? ვინც გადაჭრით იტყოდა, თუ რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის. ეს ხომ შეუძლებელი გახლდათ. ჰოდა რა გასაკვირი იყო, რომ გვერდზე გავდებოდი და ასეთ გაუსაძლის ყოფას ცალსახა აგრესიით, ანდაც სიცივით შევხვდებოდი?! დიდი ამბავი, არც ბოლო ვიყავი და არც უკანასკნელი.

„ვინმემ პასუხი უნდა გამცეს რატომ ამომიტრიალდა გონება! წამდაუნუნე ამაზე ვფიქრობდი...“

გარეთ გამოვედი. ქუჩა სანახევროდ ცარიელი იყო. სულ მიკვირდა ხალხი წვიმას რატომ გაუბოდა.

მე ნელი, ოდნავ არეული ნაბიჯებით მივედიოდი. უცხო თვალი მაშინვე შენიშნავდა, რომ არსად მივიჩქაროდი. ალბათ ყველაზე ტრაგიკულია, როდესაც არსად გელოდებიან.

გამვლელთა სახეებს ვაკვირდებოდი. ალბათ ესეც ბედის დაცინვა იყო! ყველა რაღაც ფიქრებში გართულიყო. გვერდს კი სწრაფი, მტკიცე ნაბიჯებით მივილიდნენ.

იქნებ ცრუობდნენ? იქნებ არც მათ მიეჩქარებოდათ არსად?!

გადასასვლელზე როდესაც გადავდიოდი ჩემს გვერდით მომავალი ძალი შევნიშნე. ის მთლიანად იყო წვიმისაგან გალუმპული. ალბათ დიდი ხანია ასე დაეხეტებოდა. ნაბიჯებს ისე მძიმედ ადგამდა, თითქოს მინას აზანზარებდა. თავის მოყვანილობათან შედარებით გამხდარი ეთქმოდა და სახეზეც მეტად ნატანჯი მომეჩვენა. მე ოდნავ გადამასწრო. ცხოველის თვალღერებაში იმდენად გავერთე, რომ მოახლოებული მანქანის ხმა შორიდან შემომესმა. მძლოლი უკონტროლო სისწრაფით მოინეცდა წინ და ბოლოსდა მივხვდი, რომ პირდაპირ ძალს ეჯახებოდა. არ ვიცი რატომ მაგრამ გული ლამის საგულედან ამომივარდა. იმ წამს გავაცნობიერე, რომ ეს ძალი იყო ერთდერთი ღირებული რამ ჩემს ცხოვრებაში და არ შემეძლო ამ ჯალათური წამებისთვის გულგრილად მემზირა. სასაცილოები ვართ ადამიანები. რა სწრაფად შეგვიძლია რაიმეს შეყვარება, ან შეძულება.

მე ჩემი მოუქნელი ფეხები წინ გავაქანე და წამსვე ცხოველის გვერდით აღმოვჩნდი, შემდეგ ხელი ღონივრად ვკარი და უსაფრთხო ზოლისკენ ვუბიძგე. ამის შემდეგ რამდენიმე წამს გონება დამებინდა. ვიგრძენი როგორ შეეხო მანქანის წვეტი ჩემს აკანკალებულ ფეხებს. როგორც ჩანს მძლოლმა უკანასკნელ წამს დაამუხრუჭა.

თვალეები წესიერად რომ გავახილე კვამლში გახვეული მანქანა და მისი მეპატრონე დავინახე, რომელიც მაშინვე ჩემსკენ გამოემართა. მე შეძლებისდაგვარად წელში გავიმართე, ვეცადე დაძაბულობა მომეხსნა. რასაკვირველია ყველაფერი მისი უნიათო ტარების გამო მოხდა, თუმცაღა გადავწყვიტე ჩხუბი თავიდან ამერიდებინა და როდესაც ბოდიშს მომიხდიდა უხმოდ გავცლოდი. მძლოლი ელვის სისწრაფით მომიახლოვდა და მუშტი პირდაპირ სახეში დამარტყა. მოულოდნელობისგან წავბარბაცდი და თავი ძლივს შევიმაგრე, რომ არ წავეციულიყავი. გახეთქილი ცხვირიდან სისხლი ჟონავდა.

-ანი უფრო ფრთხილად იქნები-მომიგო ბოხი, უსიამო ხმით-ლამის მანქანა დამამტვრევინე!

უნებლიედ სიცილი ამიტყდა. ხანდახან ძალიან უკონტროლო ვხდებოდი ხოლმე. ჩემმა სიბრიყვემ

იხსნის თუ არა დიტერატურული ურთიკა პოეზიას უნიკობის ხენისაგან?

და ზედმინეწვით ზუსტია, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ რამდენად გასაგები, ეს სულ სხვა თემაა. რა დააშავეს მათ, ვინც არ იცის და აინტერესებს ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ელემენტარული ტერმინოლოგიის განსაზღვრება? ამიტომაც ვამბობ, მგონი არ იქნება ურიგო, ასეთი „ლექსიკონისთვის“ ერთი თემის გამოყოფა.

ავტორებს ძალიან დიდი მოთმინება და თავშეკავება გვმართებს მკითხველთან ურთიერთობისას და მასთან პოლემიკაში შესვლა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ უარყოფითი აზრი გამოთქვა (თუ რა თქმა უნდა ეს აზრი შეურაცხყოფელი არ არის), დადებითად ვერანაირად ვერ აისახება ვერც ჩვენს იმიჯზე და ვერც ჩვენს შემოქმედებაზე. შენიშვნა, სხვა არაფერია თუ არა სტიმული, რომ უკეთესად გწეროთ.

ჰექსე: ლიტერატურული საიტების დანიშნულებაზე კამათს არ ვაპირებ.

კონცეფცია გასაგებია. შენს მიერ ჩამოყალიბებული

შვიდივე პუნქტი შესანიშნავად ჟღერს, მაგრამ სად დაინახე შენ წინააღმდეგობა ამ პუნქტებსა და ჩემს ნათქვამს შორის. განსაკუთრებით პირველი პუნქტის განხორციელება რანაირად გეგახება, თუ ავტორებს ნაწარმოებების განთავსების უფლება შეზღუდული ექნებათ? ან როგორ შეიძლება კრიტიკისა და ცენზურის (მე აქ ლიტერატურულ ცენზურას ვგულისხმობ და არა ეთიკურს) ერთსა და იმავე კონტექსტში გვერდიგვერდ მოხსენიება? კრიტიკა თუ მოისუსტებს, ეს შემფასებლების ბრალია და არა იმის, ვინც წერს და აქვეყნებს.

ცენზურა საერთოდ რა მოსატანია. მხოლოდ „არეულობაზე“ საუბარი, არ არის

გამართლებული, როცა რეალურად არაფერი კეთდება მიმართულებებისა და ტენდენციების დასადგენად, ზღვა მასალის გარკვეულ კალაპოტში მოსაქცევად, როცა ახალ ავტორებს შემფასებლების უმეტესობა არც კი კითხულობს და ინტერნეტსივრცეს ერთმანეთისთვის დითირამების საწერად იყენებენ. ჩამოწერილი

პუნქტები მეტისმეტად ლამაზად ჟღერს. იქნებ ყველამ საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვა, რას აკეთებს ამ პრინციპების განსახორციელებლად. საქმეც მაგაშია, რომ ინტერნეტსივრცე, გარდა ტექსტების განთავსებისა, დიალოგისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, პოლემიკისთვისაც არსებობს. ალბათ დამეთანხმებით, ცუდია, როცა ლიტერატურული პოლემიკა ვინმეს აშინებს და მეც ამის დამტკიცებას ვცდილობ.

არც ერთი კრიტიკული აზრი არ დამიტოვებია უყურადღებოდ. თუმცა, კრიტიკა ბევრი არც მიმიღია, რასაც ვერ ვიტყვი შეურაცხყოფაზე. ჩემთვის მიუღებელი და აუტანელი პოლემიკაში პიროვნული ფაქტორების გარევაა. მე ეს ზღვარი არასოდეს გადამილახავს და შესაბამისად, უფლებას ვიტოვებ, სხვებისგანაც იგივე მოვითხოვო ჩემს მიმართ.

გივი ალხაიშვილი: ნუ ვიკინკლავებთ, მეგობრებო. ვეჭვობ, ვერსიფიკაციის სწავლა საკმარისი იყოს პოეზიის შესაქმნელად, მაგრამ ვაგნერმა თუ იცოდა



იხნის თუ არა დიეტურული ურიტია პოეზიას უნიჭობის ხენისაგან?

ვერსიფიკაცია, რატომ არ უნდა იცოდეს პოეტობის მოსურნემ? რომელიმე სალექსო ფორმის ან საზომის აპრიორულად უარყოფა სიბრყველა და ამ ჭრილში რომელიმეს პოეზიად მიჩნევა, ან უარყოფა ნონსენსია. ლექსის მხოლოდ ფორმალისტური მხარე, მხატვრული მთლიანობის გაუთვალისწინებლად, ჩემთვის მიუღებელია. ნუ შევალთ ჩიხში და ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს პოეზიის გამომხატვის საშუალებებს.

უფრო პროფესიონალური საუბარი გვმართებს. თუ ვინმე ტერმინებით საუბრობს და მკითხველს არ ესმის, ამისთვის საჭიროა ლექსიკონში ჩახედვა და ელემენტარული განსწავლა.

უვიცობა, უნიჭურობა, წერის სენი, ამაზე მეტად იყო საუკუნის დასაწყისში, შემდგომ პერიოდებში და ჩემი სტუდენტობის დროსაც 60-იან წლებში.

უნივერსიტეტში ათასამდე სტუდენტი წერდა. სად არიან ისინი? თუმცა, რა საკვირველია, მას შემდეგ ხომ მრისხანე 48 წელია. გალაკტიონი.

გადარჩება მხოლოდ ნიჭიერი ავტორი, და იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ბორხსისა და ბონფუასი არ იყოს, არსებობს მწერლის დროებითი უკვდავება და არა უკვდავება. შეიძლება ჯერ ამ თემაზე არც გფიქრიათ, მაგრამ მოგინევთ. გავაგრძელებ: გადარჩება მხოლოდ ის, ვისაც თავისი ნიჭი გადაარჩენს.

ნიჭის თვისება კი გარჯა, შემეცნება, სწრაფვა, კლასიკური გამოცდილების ათვისება და მხოლოდ ამის შემდეგ არის სიახლის გამომდებელი ძეგლი. პოეზია არავისგან არ იხნავლება. ინდივიდმა თვითონ უნდა ისწავლოს დიდი ავტორებისგან, წიგნებიდან და რაც მთავარია, ტრანსცენდენტისგან. ეს პროცესია და არა სემინარული მეცადინეობა. ვინც ვერ ხვდება რა უნდა ისწავლოს, მას შემდეგაც კი, როცა მეგობრულად ურჩევ

რამეს და არამც და არამც დაცინვით, უნდა მივხვდეთ რომ ნაკლებ ნიჭთან გვაქვს საქმე და უნდა შევეშვათ.

70-იან წლებში ნაყეს წყალი შოთა ნიშნიანიძემ და მამუკა ნიკლაურმა. ერთი კლასიკურ ლექსს იცავდა და ვერლიბრს ანადგურებდა, ხოლო მეორე ვერლიბრს

აღმერთებდა. ეს უკვე იყო და ასეთმა დავამ არაფერი მოგვცა. ზოგად-თეორიული სახის ლექციებს კონკრეტულ ლექსებზე მსჯელობა სჯობს. ამ მსჯელობისას, გინდა ტერმინები გამოიყენეთ, გინდა არა. ვისაც რაიმეს გაგება სურს, აიღებს ლექსიკონს, იპოვის მაგალითს და გეხსნაც მიაგნებს. დასავლეთის უნივერსიტეტებში ლიტერატურით დაინტერესებული სტუდენტები დაოსტატების კურსებს გადიან. თითო-ოროლა თუ გამოდის მათგან მწერალი. დანარჩენებმა მხატვრული ნაწარმოების შექმნის მთელი სამზარეულო იციან, მაგრამ ნიჭი არსად ისწავლება.

აკაკის დროს მასზე პოპულარული პოეტი გრიგოლ აბაშიძე იყო, გალაკტიონის დროს — ვინმე ხერუაშვილი. პოპულარობა არასოდეს არ განსაზღვრავს ხარისხს,

პირიქით, პოეტის პოპულარობა იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საეჭვო გემოვნების მკითხველებით (ისინი ყოველთვის უმრავლესობაში არიან), მანიპულირება.

პროფესიონალთათვის ეს მყისიერად მისახვედრია, მაგრამ სახელი გვიან ერქმევა. ამ საცდუნებელს ბევრი გადაჰყვა და ისინი ნაკლები ნიჭის ადამიანები იყვნენ. ასეთები დღესაც არიან. გიორგი საჯაია: ჰექსე, ყველა პუნქტს აღარ ჩავუღრმავებდი. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტები თავად მეტყველებენ ჭეშმარიტებაზე. ცენზურაში იმას არ ვგულისხმობ, რომ ფორუმის ადმინისტრაციამ შენიშვნა მომცეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემს მიერ მიწოდებულ ტექსტში, რაიმე ზედმეტად ვულგარულად მოეჩვენა.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, არა მგონია,

კონკრეტული მაგალითების მოყვანა იყოს საჭირო. დღეს რომ «თრეში» გაცილებით უფრო აქტუალური და პოპულარულია, ვიდრე მეტ-ნაკლებად ღირებული

ლიტერატურა, ჩემი აზრით, ეს უკვე ტრაგედიაა და სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა «ფატალურ» შედეგებზე მქონდა საუბარი. პოლემიკა ცუდი არ არის, პირიქით, ჭეშმარიტება კამათში იბადებაო — ნათქვამია, მაგრამ გააჩნია ვითარებას და რაც მთავარია, საგანს. ლიტერატურული კრიტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით «საიტის მესვეურებს» სერიოზული და ძალიან შრომატევადი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ მთავარია საიდანაც დავინყოთ. ჩემი აზრით, ნულიდან, «ანაბანადან» უნდა დავინყოთ და არა ასე ქაოტურად, როგორც ახლა ხდება.

როდესაც გივი ალხაზიშვილი უვიცობაზე, უნიჭურობაზე, წერის სენზე საუბრობს, ერთი, ფრიად დელიკატური მომენტია გასათვალისწინებელი. დღეს,

უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში, «ავტორთა თვითრეალიზაციისთვის», გაცილებით მეტი იოლი და მოქნილი მექანიზმი არსებობს, ვიდრე თუნდაც ოციოდე წლის წინ.

ციტირებას ვახდენ ზაზა ბიბილაშვილის 2001 წლის სტატიიდან: «ავანსცენაზე მოქმედი ენერგიული კონტინგენტის აქტიურობა ქმნის ილუზიას, რომ ლიტერატურა დღეს ზუსტად აი, ამ მიმართულებით ვითარდება. ეს ილუზია დროთა

განმავლობაში, ფსიქოლოგიური ზენოლის წყალობითა და სხვა მიზეზებით, რეალობად იქცევა.

ზაზასი არ იყოს, ეს საკითხი მეც ძალიან მაინტერესებს. არ შეიძლება ნებისმიერი ტრიბუნა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ ნებისმიერი «ავტორი» ავიდეს მასზე



წვიმა

დიანა მეტონიძე

გამაოგნა. ბოდის მოლოდინში ლაზათიანი მუშტი მივიღე!

როგორც ჩანს „მეტოქე“ იმდენად განვარისხე, რომ ხელი მეორედაც აღმართა, თუმცაღა ჰაერში გავუკავე და უკან გადავავადე. ის თავის სანაქებო მანქანის კიდეს მიეჯახა, მაგრამ არაფერი დაშავებია.

მძლოლი სანამ მომდევნო სვლას მოიმოქმედებდა ირგვლივ მიმოიხედა და ინტერესით მომზირალი თვალები, რომ დალანდა მანქანაში ჩაჯდა და მოკურცხლა.

გზაის ბოლოს გავხედე და პოლიციის მანქანა შევნიშნე. როგორც ჩანს შეეშინდა მათთან არ დამებეზღებინა.

ორიოდე ნუთში კვლავ უხმოდ მივაბიჯებდი. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და გატეხილ ცხვირზე მივიფარე.

სახეზე მეტად ბრიყვილი გამომეტყველება დამაჩინდა. ვერ მივხვდარიყავი უნდა მეცინა თუ მეტირა. უკნიდან ყეფის ხმა შემომესმა და მივბრუნდი.

-ჩემი ძაღლი!-აღმომხდა ალტაცებულს და სახე ღიმილმა გამიპო.

არ ვიცი როდიდან ვუნოდებდი მას „ჩემსას აგრამ რაღაც უცხოდ გავუგეთ ერთმანეთს. ბოლობოლო მის გამო კარგი ლაზათიანი მუშტი მომხვდა!

ცხოველი წინ ამეტუზა და ასე უხმოდ მიმზერდა. ახლა უფრო გაღებული მეჩვენა, ვიდრე პირველად. მერე თათი მაღლა ასწია, თითქოს მაღლობას მიხდიდა. საოცარი განცდა დამეუფლა და თავისუფალი ხელი თავზე გადავუსვი, შემდეგ უხმოდ, ზედმეტი თეატრალური წარმოდგენის გარეშე გზა უხმოდ განვაგრძე.

წვიმა უფრო გაძლიერდა. მე ჯიუტად მივინევდი წინ. ახლა სულ სხვა ფიქრები მომეჯარა.

ქუჩის კუთხეში მათხოვარი შევნიშნე. ცდილობდა მოგრძო შენობას ამოფარებოდა რომ არ დასველებულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, დაწესებულების დაცვა ამის უფლებას არ რთავდა. შესახედაობით უთუოდ ნაციხარის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მათხოვარს ისეთი სახით უმზერდა, თითქოს მთელი თავისი კაცობის დამტკიცება მასთან გაჯიბრებით სურდა.

გაჭირვებულს კარგად დავაკვირდი. ის შუა ხნის ქალი იყო დანაოჭებული სახით და მოხრილი სხეულით. გათანგულ სახეზე დალილობის კვალი აჩნდა. საზოგადოდ მძიმეცხოვრებაგამოვლილ ადამიანებს თავიანთი თვალები გასცემენ ხოლმე. უეცრად ადგილზე გავხვედი. მე სულ ასე მემართებოდა როცა ამ ხნის ხალხს ასეთ მდგომარეობაში ვხედავდი. ის ზუსტად დედაჩემის ტოლა იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუკი დედა ცოცხალი მეყოლებოდა. არავის ვუსურვებდი ასეთ ბედს.

ჯიბე მოვიჩხრიკე და რაც კი ხურდა აღმომაჩნდა, ყველაფერი მყისვე გაჭირვებულს გადავეცი. -ღმერთმა დაგლოცოს!-მომაძახა ქალმა.

თვალზე ცრემლი მომადგა. რა ბედნიერება ყოფილა, როდესაც გლოცავენ.

სახლის კართან რომ მივედი სახტად დავრჩი. თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ძაღლი უკან მომყვებოდა. მე ცხოველს შინ შევუძეხი.

უეცრად უსაზღვრო სიხარულის განცდა დამეუფლა. მართალია ცხვირი გავიტეხე, ლამის მანქანამ დამარტყა და ვერც გაჭირვებულს დავხმარე დიდად, თუმცაღა ჩემს არსებაში რაღაც შეიცვალა. ოთახი, რომელიც სახლიდან გასვლამდე ჭირვით მძულდა, ახლა ყველაზე ლამაზი მეჩვენებოდა. თოვლიანი ნახატს სიხარულით ვუმზერდი. ბინის ახალმა ბინადარმა კარ-მიდამო გააღამაზა. ის დინჯი იყო, თუმცაღა ხანდახან აყეფდებოდა და ნიკაპს ხელთან მომიტანდა.

ვგრძობდი, რომ უიმედობამ და მარტოობამ მიმატოვა. ვიცოდი ოდესმე მათაც მოვაბეზრებდი თავს..

იმ დღეს ვინამე საკუთარი თავის და მას შემდეგ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა.

27.09.2022



ფიქრი ადამიანის საუკეთესო მდგომარეობაა. მართლაც არაფერი სჯობია ფიქრებს მინდობილი ადამიანის ყურებას! მაგრამ ფიქრს ერთი ამლუპველი "თვისება გააჩნია – იგი ხომ უცბად, სასრულო" სიჩქარით გვისხლტება ხელიდან და ხშირად სამუდამოდ გვეკარგება ხოლმე! ამიტომ აუცილებელია მოვასწოროთ ფიქრის რაიმე საშუალებით დაფიქსირება (ჩანაწერებით, ფორმულებით, ნოტებით თუ მხატვრის ფუნჯით). ამ შემთხვევაში საკუთარი ფიქრები ლიტერატურულ ჩანახატებში ავატყვევებ! ისინი ჩემი სულის ფოტოგრაფიებია!

თემურაზ ნადარეიშვილი

ყველაზე მეტად მაინც მონანიება ფასობს – როცა იცი რომ ადამიანი გულწრფელად ინანიებს, მაშინ

ძალიან ბევრს პატიობ მას! მაგრამ არ შეიძლება ეს განწმენდის პროცესი გადაიქცეს შეგნებულ (გამოთვლილ!) აქტად; არ უნდა ვიყოთ შექსპირის პიესების ცნობილი კომედიური პერსონაჟის ფალსტაფის მიმდევრები, რომლის დევიზი იყო: "სალამოს ცოდვებს დავიდებთ, დილით კი მოვინანიებთ!" (თარგმანი თემურაზ ნადარეიშვილის)

* * *

ალბერტ აინშტაინმა პატენტების ბიუროში მუშაობისას საფუძველი ჩაუყარა ფარდობითობის სპეციალური თეორიის ძირითად პრინციპებს, ხოლო ნიკო სამადაშვილი მთელი ცხოვრება ბრალთა ბუღალტერი იყო და ამავდროულად შესანიშნავ ლექსებს წერდა (შეიძლება კიდევ ანალოგიური სხვა მაგალითების მოყვანაც!). როგორ ავხსნათ ეს ერთი შეხედვით აუგებარი "მოვლენა"? ჩემი აზრით, როდესაც ადამიანი რუტინულ საქმიანობას ეწევა და ამით შოულობს ლუკმა – პურს, მაშინ მან შეიძლება დრო ოიპაროს "უფრო მაღლებული" აქტივობისათვის, თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს – ეს შესაძლოა მისწრაფებაც კი იყოს, რომ გაექცე ამ რუტინას და შენი ნამდვილი მოწოდების შესაბამის საქმიანობას მოჰკიდო ხელი!

* * *

ძალიან მომწონს სიტყვა ყველაფერი. როგორც ფიზიკოსმა მე ეს სიტყვა გავიგე როგორც ყველაფერი ანუ ხილული თეთრი სინათლის მთელი ოპტიკური სპექტრი (სკოლის მოსწავლემაც კი იცის, რომ თეთრი ფერი პრიზმაში გავლის შემდეგ სხვადასხვა ფერებად იშლება), მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება ამ მარტივი ფიზიკური მოვლენის განზოგადება და მისი გავრცელება მთელ სინამდვილეზე, რასაც სწორედ ეს სიტყვა გამოხატავს!

* * *

სოფლების დაცლა (განსაკუთრებით მთის!) და ქვეყნიდან მიგრაცია, თავისი შინაარსით ერთი და იგივე რანგის მოვლენაა, რადგანაც ორივე შემთხვევაში აუტანელი პირობები ადამიანს აიძულებს მიატოვოს მამაპაპისეული ადგილი ან ქვეყანაც კი!

* * *

ზომიერება ადამიანის შინაგანი კულტურის ერთ – ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია!

* * *

ეტალები ღმერთია! – შენიშნავს გოეთე. ამავდროულად არსებობს შემდეგი გამოთქმაც: შმაკი დეტალებში იმალება! ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება ადასტურებს დეტალების მნიშვნელობას, ოღონდ გააჩნია ამა თუ იმ მოვლენის კარგ თუ ცუდ მხარეებს (დეტალებს!) ვაქცევთ ყურადღებას!

* * *

ხშირად აზრი მნიშვნელოვანი გეგმვება იმიტომ, რომ შეუძლებელია დააკვირდე საკუთარ თავს, სანამ აზრი შენში ის და მხოლოდ მისი ჩანერის ან განსაკუთრებით საზოგადოებაში წარმოქმნის შემდეგ აფასებ შენი სათქმელის ჭეშმარიტ ღირებულებას, რადგანაც აზრს უკვე არედან უმზერ!

* * *

ისტორიული ფაქტია, რომ ვეზუვის ცნობილი ამოფრქვევისას, როდესაც მთლიანად განადგურდა ქალაქი პომპეი, ერთ – ერთმა ჯარისკაცმა არ მიატოვა თავისი დასაცავი ობიექტი და იქ შეხვდა გავარჯერებულ ლავას, რათა ქვეუღიყო გაქვავებულ სიმბოლოდ მოვალეობისადმი გასაოცარი, ლეგენდარული ერთგულებისა!

* * *

ადამიანს გაუაზრებელი ქმედებით შეიძლება რაღაც დაუშაო, მაგრამ უმოქმედებითაც შესაძლოა

„ქტლიცფოური“ მრგვალი მსგოფა

იხსნის თუ არა ციტერატურული ურიტიყა პოეზიას უნიქობის ხენისაგან?

და ლექსი ნაიკითხოს! ნუთუ ასე იყო ადრეც? არამც და არამც. ღმერთმა იცის, ასე სადამდე მივალთ.

გივი ალხაზიშვილი: გიორგი, მე არაფერი მითქვამს ქაოტურად. უბრალოდ, ჩემი ზრი გამოვთქვი საიტელთა განსწავლის თაობაზე. ვახსენე დასავლეთის უნივერსიტეტების ე. წ. მასტერ-კლასები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ავტორიტეტებს მიჰყავთ. თავის დროზე, დაოსტატების კურსებს რობერტ ლოუელი, ბროდსკი და სხვები უძღვებოდნენ. ამ საიტზე მსგავს ავტორიტეტებს, თუნდაც ისეთს, ჩვენს დღევანდელობას რომ შეეფერება, ვერავის ვხედავ, ჩემი ჩათვლით.

ვისაც ჰგონია, რომ ამ სირთულეს დაძლევეს, მანვე იკისროს ამ წამოწყების შესრულება.

რაც შეეხება ჰექსეს, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ვირტუალურ სივრცეში და იგი შენიშვნასაც ითვალისწინებს, მისმენს და წარმატებითაც ვითარდება. როცა მის ლექსებს შენ პროზაულ მინიატურებს უწოდებ, ჩემს ბოსტანში ისვრი კენჭებს.

თითქოს მე ვერ ვარჩევდე ლექსს პროზისაგან, ასე გამოგივიდა. ჩვენმა მიმონერამაც დამანახა, რომ ჰექსე ნიჭიერებასთან ერთად, ნიგნიერი და კულტურული ადამიანია, მე ბევრს ველი მისგან. შენ თუ არ გჯერა, ეს

შენი საქმეა და ვერც ვერავინ დაგიშლის. მიმონერებით ვთანამშრომლობ კიდევ რამდენიმე ნიჭიერ პოეტთან, მათგანაც ბევრს ველი, მაგრამ ალარ დავასახელებ, არ არის საჭირო.

ვფიქრობ, ეს კონკრეტული საქმეა და ასეთი ფორმატი მირჩენია თვითმიზნურ დისკუსიებს თანამშრომლობისთვის.

შენ რა გინდა, ინტერნეტის გაკონტროლება და ამ საშუალებით "წერის სენის" ამოძირკვა? მეორედ შეგეშალა. ფიქრობ მე არ ვიცი, რომ ახლა მეტი საშუალებაა პროფანაციისთვის? სანყალი გივი, ინტერნეტს უზის დღედაღამ და არ იცის, რომ 60-იან წლებში ყოველივე ეს არ იყო? მე არ მჯერა თანამედროვე მესიების, არც იმის,

ვისაც ჰგონია, რომ იმიტომ მოევიწინა ქვეყანას, რომ პოეზია იხსნას უნიჭოთა სენისგან. შენ ერთი რამ შეგიძლია — წერო უკეთ. მეტს ვერაფერს შეძლებ.

გიორგი საჯაია: არამც და არამც მეგობარო. მე არ მითქვამს, რომ თქვენ სადმე, როდესმე ქაოტურად საუბრობდით. ასეთი რამ არც კი მიფიქრია. რაც შეეხება «ბოსტანს», როდესაც ჰექსეს ლექსებზე ვსაუბრობდი, უბრალოდ ვლაპარაკობდი პირველ პირობა, სინამდვილეში კი ვგულისხმობდი იმას, რომ ძალიან ბევ-

რისთვის, ნიშნინიქე-ნიკლაურის სადავო თემა დღემდე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და არ იქნება ურიგო, თუ ამ საკითხს საბოლოოდ ფარდას ვერ ავხდით, ის მაინც გავაკეთოთ, რომ ვისაც ამის სურვილი ექნება, განვუმარტოთ, რა არის ვერლიბრი. მე პირადად, არც მისი პოეზიის (ცალკეული შემთხვევების გარდა) და მით უფრო არც ვერლიბრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. არაერთხელ აღმინიშნავს თანაფორუმელებთან პირად საუბრებში, ჰექსეს ნიჭიერება.

გივი ალხაზიშვილი: რა არის ვერლიბრი? ეს არის პოეტური ტექსტი, რომელიც თავისუფალია კონვენციური ვალდებულებებისაგან და არა ნიჭისგან.

კონვენციური ვალდებულებები: რითმა, სტროფი, რიტმი და ა.შ. დასავლური ვერლიბრი უმეტესწილად ინარჩუნებს რიტმს მკვეთრი მახვილის მეშვეობით და ასე ხდება ტექსტის მუსიკალური ორგანიზება. რადგან ქართულში მკვეთრი მახვილი არ გავაჩნია, ვერლიბრში საჭიროა რაიმეთი მისი კომპენსირება და ეს რაიმე არი რიტმი, რომელიც მარცვლების თითებზე დათვლით კი არა, მუსიკალური სმენით ხერხდება. ამას ჩვენში ვერლიბრისტები არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბიოზია და არც ერთ



ხუცის ფოტოგრაფიები

თემურ ნადარეიშვიდი

არანაკლები ზიანი მიაყენო მას!

* * *

რატომ იყო ესენინი ულიგანი? პოეტი! შესაძლოა აქ გარკვეული როლი ქონდეს მის ლეხურ "წარმოშობას, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა პოეტს მისთვის მაინც ცხოქალაქურ გარემოში და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მისი აგრესიული, ულიგნური ქმედებებისა!

* * *

ომარ ხაიამის პოეზიის გლობალურობა, ოსმიურობა ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ იგი ასტრონომი იყო და ესვენებებზე წერდა რუბაიებს განტვირთვის მიზნით!

* * *

აფორიზმები, ანდაზები თუ სხვადასხვა გვარის ბრძნული გამონათქვამები უმეტესწილად წინასწარმეტყველებებიცაა, რადგანაც მათში წარსულის ამა თუ იმ მოვლენის განზოგადების შედეგად ჩამოყალიბებული აზრის ჭეშმარიტებას, მომავლის მოვლენები ადასტურებენ ხოლმე!

* * *

დამაფიქრა სახელგანთქმული ნიუ — იორკის მეტროპოლიტენ ოპერის რუსი მომღერალი ქალის შემდეგმა ირონიულმა გამონათქვამმა: **не смешно, что мне платят за то что я получаю удовольствие!** მართლაც რჩეულთა ხვედრია თავისი მოწოდების შესაბამისად იმუშაოს და ანაზღაურება იმ საქმიანობისათვის მიიღოს, რაც სხვებისთვისაც სასარგებლოა და თავადაც სიხარულს ანიჭებს!

* * *

უარყოფითი გმირს საკუთარი, ყველასგან განსხვავებული, ნელი ისტორია აქვს (რამაც იგი ასეთი უდიდესი გახდა!) და ამიტომ შეიძლება იგი მწერლისთვის უფრო საინტერესოც კი იყოს, ვიდრე დადებითი გმირი! (ყველა დადებითი გმირი ხომ დაახლოებით ერთნაირად ედინერია!)

* * *

ადამიანს სიკვდილის წინ მაინც აქვს უფლება სამყარო აღიქვას ისეთი, როგორც ის არის სინამდვილეში და არა ჩვენს მიერ შელამაზებული ან დამახინჯებული გარკვეული პოლიტიკური, პრაგმატული, ეთიკური თუ სხვა მოსაზრებების გამო! ამიტომ, მე მგონი, ლიტერატურულ ნაწარმოებებში გმირის უკანასკნელი განცდები ხშირად სამყაროს ამგვარ აღქმასთანაა დაკავშირებული!

* * *

ზოგიერთ გამოჩენილ ადამიანს შეუფერებლად დაბალი სტატუსი ჰქონდა ყოფით ცხოვრებაში, დიდების მწვერვალების დაპყრობამდე (მაგალითად, ფოლკნერი, კარუზო უბრალო მტვირთავებად მუშაობდნენ!) ანუ მათ გამოვლილი ჰქონდათ ორკისეული ცხოვრებისეული უნივერსიტეტები! აქ, მე მგონი, საინტერესო ფსიქოლოგიური აღმიმაღლება — შემოქმედმა ზოგჯერ ეკლიანი გზა უნდა გამოიაროს (საკმაო აზრების დასაგროვებლად!), რომ გამოვიდეს იმ მდგომარეობიდან, რაც აშკარად არ აკმაყოფილებს მას (სხვას შეიძლება აკმაყოფილებდეს მისი მოთხოვნილებების, პოტენციის შესაბამისად). ასე, რომ მართებულია მელქისედეკ კათალიკოსის სიტყვები იდოსტატის მარჯვენადან: აძლარი ცხენი ფინიშთან პირველი ვერ მივა!

* * *

როდესაც ვარსკვლავებს ვუყურებ, ყოველთვის ნიკო სამადაშვილი მახსენდება, რომელიც ერთ — ერთ ლექსში შემდეგნაირ ანმარტებას გვთავაზობს ამ ციური სხეულისა: არსკვლავი ჭუჭრუტანაა უსასრულობაში! მინდა გავიხედო ამ ჭუჭრუტანაში, მაგრამ არ შემიძლია! ნიკო კი ალბათ, მართლაც ხედავდა ამ ჭუჭრუტანადან უსასრულობას!

* * *

მთავარია გქონდეს სათქმელი და რა ფორმით იტყვი მას, ამას თავად მიხვდები!

* * *

მხატვრობაში სიურეალიზმის ფსიქოლოგიური საფუძველი შეიძლება ის იყოს, რომ ხელოვანმა უნდა აკეთოს ის, რა განწყობაზეა (გაცნობიერებულ თუ ნახევრადგაცნობიერებულ!) დროის ამა თუ იმ მომენტში. ეს პროცესი, ალბათ დაიწყო იმპრესიონისტი მხატვრების გამოჩენით. მართლაც, გავისხენოთ, რომ ისინი ისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ უშუალოა, პირველი თაბუქილების, განწყობის სიახლე. გავისხენოთ თუნდაც კლოდ მონეს ცნობილი სურათ — ვარიაციები, სადაც გამოსახულია რუანის ტაძარი დღის სხვადასხვა პერიოდში. ამ ვარიაციებში, გარდა წმინდა ოპტიკური განსხვავებებისა, გადმოცემულია აგრეთვე იმპრესიონისტი მხატვრის სხვადასხვა განწყობა.

ამ მიმართულებით კი სიურეალიზმი უფრო შორს წავიდა. კერძოდ, თუ იმპრესიონისთებთან მაინც საქმე გვქონდა გაცნობიერებულ განწყობასთან მხატვრისა, სიურეალისტ მხატვართან ჭარბობს მისი ნახევრად გაუცნობიერებელი განწყობები! ასე მაგალითად, სალვადორ დალის შემოქმედებაში მისი ბევრი სიურე-

ალისტური სურათი, ალბათ როვოცირებულია სიზმრებით (სიზმრებში ხომ ბევრ ალოგიკურ, გაუგებარ სცენებს ვხედავთ!) და მხატვარს ლამით ნანახი რამკაფიო ემოციები ხშირად ტილოებზე გადაჰქონდა ხოლმე!

* * *

ადამიანისათვის სახიფათოა ზედიზედ რამოდენიმეჯერ გამარჯვების მოპოვება (დამარცხების გარეშე!), რადგანაც იგი თანდათანობით შეუცდომლის, ყოვლისშემძლის ანტიით იმოსავს! საკუთარ თავს!

დილემა

ცნობილი ფაქტია, რომ იოსებ გრიშაშვილი, საკმაოდ ცივად შეხვდა კომუნისტური დიქტატურის დამყარებას საქართველოში. საქმე იქამდე მივიდა, რომ მან დროებით შეწყვიტა ერიოზული ლექსების წერა და შედარებით აპოლიტიკური საბავშვო ლექსების გამოქვეყნება დაიწყო (ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია — ასე, რომ არ მომხდარიყო, ჩვენს ბავშვებს არ ექნებოდათ უამრავი შესანიშნავი ლექსი!).

დრო გადიოდა და თანდათანობით ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ამგვარი ლექსების წერით პოეტი თავს ვერ გაიტანდა — მას მატერიალურად ძალზე გაუჭირდა! ამიტომ საკუთარ თავთან დიდი იდილისა და ყოყმანის შემდეგ, ბატონი იოსები იძულებით, საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ წავიდა. კერძოდ, პოეტმა რედაქციაში საბავშვო ლექსებთან ერთად, კომუნისტებისადმი შედარებით ლოიალურად განწყობილი ერთი ლექსიც მიიტანა, რომელშიც გაცხადებით მეტი ჰონორარი მოითხოვა, ვიდრე საბავშვო ლექსებში. გაკვირვებული ახალგაზრდა ომსომოლა რედაქტორი შეეცადა გაერკვია მიზეზი პოეტის ამ ხირებულის მოთხოვნისა, რაზეც ბატონმა იოსებმა ასეთი მოულოდნელი პასუხი გასცა: ამუსს ვყიდი შვილი! (ნიშანდობლივია, რომ მან სწორედ სიტყვა ამუსი იხმარა, ნაცვლად მაგალითად, ინდისისა, ულისა და ა.შ., რადგანაც ეს სიტყვა ზუსტად ასახავდა იმდროინდელი ძველი თბილისის ბოჰემურ სულს, რომლის დიდი მოტრფიალაც და მკვლევარიც თავად ბატონი იოსები გახლდათ!) მე მგონი აქ ყოველგვარი კომენტარი მხოლოდ ააფუჭებს ყველაფერს — იმდენად ევადა, მრავლის მთქმელია პოეტის მიერ წარმოთქმული სამსიტყვიანი წინადადება!



იხნის თუ არა ციტერატურული ურიტია პოეზიას უნიქობის ხენისაგან?

ჟანრს არ განეკუთვნება. ახლა რიტმზე ზოგიერთი ჩვენი საიტელი ზრუნავს.

გიორგი საჯავაძე: აგაშენათ ლმერთმა! აბა მე თოფი კი არ მისვრია. უბრალოდ ვთქვი, რომ კარგი იქნება, თუ ამ ყველაფრისთვის ცალკე თემას გავხსნით, იოლად

ხელმისაწვდომობისთვის. ამ იდეით ადმინისტრაციას მივმართე და რატომ გახდა ის ასეთი დავის საგანი, ვერ ვხვდები.

ჰექსე: ვერ გავიგე, ვერლიბრთან დაკავშირებით ჩემი სახელის ხსენება რას ნიშნავდა. მე მჭირდება ვერლიბრის მნიშვნელობის განმარტება, თუ ჩემი სახელი უბრალოდ ისე, მაგალითისთვის არის მოხსენიებული. ნებისმიერ შემთხვევაში, «გავატარე». მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ კითხვის ნიშანი, რომელზეც შენ საუბრობ,

დიდი ხანია მოხსნილია. ახლა აღარავინ დაობს იმაზე, ვერლიბრი სჯობს თუ კონვენციური ლექსთწყობა. სირცხვილიც კია საკითხის ასე დაყენება. ასეთი თვისობრივი შედარება თანამედროვე ლიტმცოდნეობაში არც არსებობს, უფრო სწორად, განვლილი ეტაპია. და კიდევ ერთი, თემის გახსნასთან დაკავშირებით სადაო არც არაფერია. დავის საგანი ამ შემთხვევაში ზოგადი დამოკიდებულებაა და არ მიმარჩნია, რომ ამაზე საუბარი გასაკვირია, ან უაზრო. მაინც მტკიცედ ვრჩები ჩემს მოსაზრებაზე, რომ მას, ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად, რაიმე დადებითი გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო, ვირტუალურ სივრცეში. ხოლო თუ «კონკრეტულად ადმინისტრაციას» მიმართე (თუმცა, კარგად არ მესმის ფორუმის საჯარო სივრცეში ეს რას ნიშნავს, როცა პირადი მიმონერის უამრავი საშუალება არსებობს?), მაშინ ისიც დაგემატებინა, უბრალო მოკვდავმა «იუზერებმა» აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავონო და ხმასაც არ ამოვიღებდი.

ბატონო გივი, დიდი მადლობა იმ შეფასებებისთვის, რაც თქვენს კომენტარებში ჩემს მიმართ გამოთქვით.


გივი ალხაიშვილი: სამადლობელი არაფერია. მე ვთქვი ის, რასაც ვფიქრობ.

არ არსებობს ცუდი და კარგი სალექსო ფორმა, არსებობს ცუდი და კარგი პოეტი.

იძულებული ვარ ისევ გავიმეორო ეს ძველისძველი გამონათქვამი.

გიორგი საჯავაძე: ჰექსე, მართლაც ზედმეტი მოგდის, როცა ამბობ: «ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად რაიმე დადებითი გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო ვირტუალურ სივრცეში.» ვის რა სურს და რას და როგორ აკეთებს, ამაზე ახლა ლაპარაკი არ მიმარჩნია მიზანშეწონილად. მე შენგან არ მესწავლება, ლიტერატურისთვის რა და როგორ უნდა გავაკეთო!

რაც შეეხება კითხვის ნიშანს, ბატონმა გივიმ ძალიან კარგად გასცა ამ კითხვას პასუხი, ტერმინ ვერლიბრის განმარტებით. უბედურება კი ის არის, რომ "ამას ჩვენში ვერლიბრისტები



აღექსანდრე ედერდაშვიდი

ჰაფეზი

ჩემი საშველი საით დარჩა და
 მე უსაშველოდ სადა ვარ ნეტავ?!
 რომელი გზიდან საით მოველ და
 მავალი რომელ გზადა ვარ ნეტავ?!
 დავთმე დერვიშის ძონძი სამოსი
 და ლოცვა დღისა და საღამოსი,
 მაგრამ ვერც სარდაფს, ვერც ღვინოს ვხედავ...
 თავად მეც აღარსადა ვარ ნეტავ?!
 განა მოკვდავი მისთვის იშობა,
 სასჯელად ექცეს ღვთისმოშიშობა?!
 ქადაგს ვუსმინო თუ რუბაბის ხმას?!
 სიტყვად შემქმნეს თუ ხმადა ვარ ნეტავ?!
 ის, რაც ანათებს მეგობრის სახეს,
 მტრებმა ვერსად და ვერასდროს ნახეს...
 ვით ჩამქრალ სანთელს, სიბნელე მელის
 თუ მზის ძიებით ცად ავალ ნეტავ?!
 ჩემი ყოველი ზნე და იერი
 შენ დაიმონე, ვით მიწიერი...
 საით წავიდე?! — ის მაინც ბრძანე,
 აქ თავად ვარ თუ სხვადა ვარ ნეტავ?!
 ლანჯთა ტრფობაში გადაკარგულო,
 ფრთხილად! — შენს გზა-კვალს არ უერთგულო...
 საით მიდიხარ?! სად ჩქარობ, გულო?!
 აღსასრულისთვის მზადა ვარ ნეტავ?!
 წავიდა სატრფო და იქცა ხსოვნად,
 ამ წუთისოფლის ლამაზ სახსოვრად,
 რომელ ზღვარს გასცდა ის ლამაზმანი?!
 მე იმ ზღვარს სადმე გადავალ ნეტავ?!
 ძილს და სიმშვიდეს მიიჩნევს არად,
 ვინც ქვეყნად ცხოვრობს ჰ ა ფ ე ზ ი ს დარად...
 რომელ ძილსა და სიმშვიდეს ითხოვთ?! -

უილიამ შექსპირი

ხონეთი 66

ყველაფრით დაღლილს, მენატრება სიკვდილით შვება,
 რადგან შევეყურებ სამათხოვროდ შობილ თაობას,
 ჭემარიტ რწმენას რადგან არყევს ცოდვილთა ნება
 და სრულქმნილება დარქმევია არარაობას.

და იყიდება ოქრო-ვერცხლზე კაცის ღირსება
 და მოიღერა ქალწულივით ყელი მეძავმა
 და განდიდება მდაბოთა გახდა თვისება
 და ყველა ლაჩარს რაინდობა შემოეძალა

და პირმოთენნი დარბაისელ სიტყვებს ხლართავენ
 და ავი კეთილს დაატარებს თავის ნებაზე
 და უმეცრები განათლების საქმეს მართავენ
 და სულმდაბალნი ბატონობენ შთაგონებაზე

ყველაფრით დაღლილს, სიკვდილილა მიელავს თვალში,
 მაგრამ ჩემს სატრფოს ვერსად ვტოვებ ამ ცოდვა-ბრალში.

ქეთევან ხეფიაშვიდი ჩემი მამობიდი

სულ ახლახანს, ზაფხულში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთი პოეტური კრებულის „ქართველი პოეტები ს პრეზანტაცია იყო. ეს ენციკლოპედია ჩემმა უსაყვარლესმა ადამიანმა ალექსანდრე ედერდაშვილმა შეადგინა, მაგრამ სიცოცხლეშივე ვერ მოასწრო გამოცემა. ამ კრებულის შედგენა მარტივი საქმე არ იყო და ძალიან გამიხარდა, როდესაც ვერ თანამედროვე პოეტების შესახებ მკითხა აზრი და იმხელა ჩამონათვალი გავუგზავნე, მეშინოდა, ვინმე არ გამომჩინოდა. მერე მითხრა, ენციკლოპედის შედგენას ვაპირებ და კახეთი ენ უნდა ჩაგაბარო. კახეთი თუ ქიზიყი-მეთქი, კახეთს როგორ გავწვდები, უზარმაზარი.

მიმონერები მქონდა ირმა შიოლაშვილთან, რომელთანაც ბავშვობის მოგონებები მაკავშირებს, ჩემზე ორი წლით უფროსია და ქართული ენისა და ლიტერატურის რაიონულ თუ რეგიონულ ტურებში ერთად ვმონაწილეობდით. ირმას ბიოგრაფიული ცნობები ვთხოვე და ვკითხე, რომელ ლექსს ისურვებდა, რომ ენციკლოპედიაში შესულიყო.

მერე ჩემი ბავშვობის ძმაკაცის ლევან ალავერდაშვილის გზა და კვალს დავდევი, მისი ოჯახის წევრებისგან წამოვიღე ბატონ ალექსანდრესთან ბიოგრაფიული ცნობები, აბა, ლევანას რა დაიჭერდა, ჩიტით თავისუფალია და სამრეკლოში ვერ ჩავაკითხავდი, ან დამხვდებოდა სახლში და ან არა.

ასევე სხვა პოეტებიც მივიკითხე- მოვიკითხე და უკლებლივ ჩავაბარე ინფორმაცია ჩემს საშა ბიძიას.

ენციკლოპედიის შედგენაში დახმარებისთვის მადლობის ქვემოთ ჩემი სახელისა და გვარის დანახვა მოულოდნელი აღმოჩნდა. ბატონმა საშამ გარდაცვალების შემდეგაც მოახერხა ჩემი გახარება.


2021 წ მაისში გული ჩამწყვიტა საშა ბიძიას სიკვდილმა, დღემდე ვერ ვეგუები, რომ მისი ხმა არ მესმის, ვერც შეკითხვისთვის დავურეკავ, ვერც სიტყვის მნიშვნელობას ამიხსნის. შენი მამობილი ვარო, მეუბნებოდა, ორი ბიჭი მყავსო და ვისურვებდი შენნაირი გოგო მყოლოდაო. მეხვეწებოდა, ნერეო... მე კი სულ ვენუნუნებოდი წერის დრო არ მაქვს-მეთქი.

ორი პანანინა ლექსი მომიძღვნა 2011 წელს

ჩემში შენმა ლექსმა ბუდე დაიგულა,
 მერე შიგ ჩაჯდა და ჩამოგაზაფხულდა,
 მერე საფიქრალიც გამითაიგულა,
 მერე სანახავი გამიარნახულდა...
 გული მაჭარავით გიდულს კანზე და...
 შემკრთალ ფოთოლივით თავი არსად ჩარგო,
 ეს ცრუ პოეტები გვერდზე განიე და
 ხანგრძლივ განრიდებით ნიჭი არ დაკარგო.

მგონია ვკვდები... ამას გთხოვ, შენ შვილობილო კანზე-
 მე ერთი დიდი ტკივილი, როგორმე გამიპანე;
 მეგრელი დედა მე არ მყავს, ცრემლით რომ მითხრას - ვაწიე!
 და ვერც ასული დამტირეს - „მამა ვის ვუთხრა ანი ევეე,
 ოთხი ბიჭი მყავს (ქვეყნისთვის მე მგონი ჯაფა გავწიე),
 ჰოდა, ერთმანეთს ეტყვიან - ე, ბიჭო! კუბო აწიე...
 ამიტომაც გთხოვ შვილობილს, ხალხი აქა-იქ განიე
 მე ერთი ცრემლი და ბევრი ღიმილი შემომანე

ვისხენებ ბატონ ალექსანდრეს და ღიმილთან ერთად ცრემლი თავისით ჩამომდის. ათი წლის შემდეგ, 2021 წლის მაისში როდესაც ავად იყო და მაისის წვიმას ნატრობდა, ჩემმა გოგონამ აპლიკაცია გააკეთა „7 მაისის წვიმა“ მისთვის და მესენჯერით გავუგზავნეთ, დღესაც კახეთში თათას ოთახშია კედელზე ეს აპლიკაცია. იმდენად მძიმედ იყო საშა ბიძია, ვფიქრობ რომ ვერ ნახა ჩვენი გაგზავნილი, ვერც წერილები წაიკითხადა ვერც მე გავწიე ხალხი და ვერ დავიტირე ჩემი ბუხუნა მამობილი...



ნაქალაქევის ფენიქსის ბედი

ნაქალაქევი მზე ხვატს აგელვებს, ფლოქვი რომ ჰქონდეს, იმით დაფშვნიდა, ძველი კოლხეთის ეს კართაგენი ნელა ამოდის ძილის ჯავშნიდან. თანდათან დაბლა მიიწევს მინა, თანდათან აჩენს ქალაქი თეთრ მხრებს, ფერფლი ოცდასამ საუკუნისა ხელის დაქნევით ჩამოვიფერთხე. თავზე ვადგავარ გამხელილ ქალაქს და საკუთარი ჩრდილიც გამირბის. არქეოლოგი და მსხდარან ჯარად და გრგვინავი სიტყვა სუფრის ამირბის: - ეს გაუმარჯოს იმ პირველ ხუროს, ვინც ეს ლოდები ლოდებს დაჰკირა; ჟამთა დინებას რომ ემსახუროს სამაგალითოდ და გასაკვირად. ვახსენოთ, ძმებო, იგი ოსტატიც, ვინც ამ ქვეებს მისცა ნიჭი ლაღადის - ხმა იღუმალი, ღმერთს რომ მოსტაცა, ახლა გულიდან გულზე გადადის. ნაჩხურას წყალიც დავლოცოთ უნდა, ნაჩხუბებული დუმილთან მუდამ. ეს ქუჯის ციხეც - გვაქვს ჩვენ მულამი, მის დულაბზეა დანადურარი, მაგრამ უნდა ვთქვა მართალი, რომა მგოსნებს არ ჰშვენიოთ ლოდინი დიდხანს, არქეოლოგთა გმირული შრომა ჯერ კიდევ ელის შესაფერ სიტყვას. მოათრევთ ბარებს, წალკატებს, ნიჩბებს, ხართ სამარხებში შეყუყულები... და პოეზიაც უთუოდ იქ ჩქეფს - სადაც შენ წარსულს გეჭურჩულება... ახლა კი ღამის გატანას ვქარობ, რომ არ მიწოდონ უბრალოდ ყბედი - თავად მობრძანდნენ და განიმსჭვალონ ნაქალაქევის ფენიქსის ბედით.

გოგოლა მზარელუა, ჟურნალისტი.
გაზეთ ოლხეთის პასუხისმგებელი მდივანი

ყველაფერი ასე დაიწყო...

ხიდი
ჩემს ბავშვობაში, ნაქალაქევის გაღმა და გამოღმა ნაწილს მდინარე ტეხურის ის ულამაზესი და კოლორიტული ხიდი აერთებდა, რომელიც დღეს საფეხმავლოა ნაქალაქარის ტერიტორიაზე შესასვლელად და რომელიც მოჯადოებულებით იზიდავს აქ მოსულთ. მაშინ, ძველად, იმ ხიდს, ხის მოაჯირები ჰქონდა, ხოლო ხიდის რკინის კარკასზე ასევე ხის ფიცრები იყო დაგებული.

ხიდის იქით

ხიდს რომ გადახვიდოდით, მოხვდებოდით ულამაზეს ნალკოტში, სადაც სოფლის ორსართულიანი საავადმყოფო მდებარეობდა. საავადმყოფოს ეზოს სოფლის სასაფლაო ემიჯნებოდა. ხიდის გადასვლის შემდეგ გზა გრძელდებოდა ნაქალაქარის ტერიტორიის მეორე ბოლოსკენ, გაღავნის სახმელეთო შესასვლელის თითქოს მორღვეულ ჭიშკრამდე, ბრონეულების ხეივანში, რომელიც ამჟამად გადასცქეროდა და აელვარებდა მდინარე ტეხურს.

როგორ დაიწყო

აი, ამ მონაკვეთში, ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამ ორ შესასვლელს შორის, გზის ორივე მხარეს რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, გვასალიებისა და შალამბერიძეების. ერთხელაც, გზის მარჯვენა მხარეს მცხოვრები ო. შალამბერიძე, ბორცვებიანი ეზოს მონორებითი სამუშაოების დროს, გადააწყდა უჩვეულო მრგვალი ფორმის რამდენიმე აგურს და დაეჭვებულმა ეს ნიმუშები ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექ-

ტორს ბატონ ჟორა გვათუას აახლა. ბატონი ჟორა, ღრმად განათლებული და დიდი პიროვნება გახლდათ. ის იმდენად დააინტერესა წარსულში ჩამარხულმა ნაქალაქევის გარდასულმა დღეებმა, რომ ამ ნიმუშებით დაუყოვნებლივ შეუდგა კვლევას შესაბამისი ინტიტუციებში...

და 1973 წლიდან ნაქალაქევი დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის შუა საუკუნეების განყოფილების ნაქალაქევის ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ბატონი პარმენ ზაქარაია.

მეცხოვნე

არქეოლოგიური გათხრების დაწყებას წინ უსწრებდა აუცილებელი სამუშაოების ჩატარება. მდინარე ტეხურზე გაშენდა ახალი თანამედროვე ხიდი. სასაფლაო გადატანილ იქნა იქვე, მდინარის მეორე მხარეს აღმართულ მეზობელ მთის კენწეროზე, საიდანაც ნაქალაქევის ულამაზესი ხედი იშლება... აასახლეს იქ მცხოვრებნი, გარდა ერთი ოჯახისა. ბატონი ბ. გვასალია და მისი მემკვიდრეები თითქოს მეცხოვნრედ შემორჩნენ ნაქალაქარის ამ ტერიტორიას.

ჩვენი მიზანი

ამ წერილის მიზანი არ არის, ვისაუბროთ ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ნახევარ საუკუნოვან გათხრებზე და მოპოვებულ მნიშვნელოვან და შთამბეჭდავ მასალაზე. არა, ნამდვილად არა! ჩვენი მიზანია გადავჭრათ დილემა: „ნაქალაქევი“ თუ „ნოქალაქევი“.

ნაქალაქევი და ნოქალაქევი

მასხოვს, ზაფხულის დადგომისას, რაიონის ხელმძღვანელობის მითითებით, კოტიანეთისა და ნაქალაქევის, ასევე ბანძისა და ნაქალაქევის სასაზღვრო ტრაფარეტებზე ასო „ა“ -ს საგულდაგულოდ გადავლიდნენ და გაჩნდებოდა ასო „ო“. დამთავრდებოდა თუ არა ექსპედიციის სეზონი გადავლიდნენ ასო „ო“-ს და დაანერდნენ ასო „ა“-ს. მხოლოდ ამ ასოებს ცვლიდნენ და ღიმილისმომგვრელი იყო ამ ასოების ფონი რომ არ ემთხვეოდა ტრაფარეტის საერთო ფონს. 90-იანი წლების შემდეგ თავი არავის შეუნუხებია და თუ ნაქალაქევი 1973 წლიდან ზაფხულის სეზონზე ბატონ პარმენ ზაქარაიას ხათრით დროებით „ნოქალაქევი“ შეეერქმეოდა, შემდგომი ცხრა თვე ნამდვილი სახელი „ნაქალაქევი“ უბრუნდებოდა ენათმეცნიერ ბატონ გიორგი შალამბერიძის, ამ სოფლის მკვიდრის, სახელის სწორი ფორმის უტყუარი დასაბუთების საფუძველზე (ალბათ ხათრითაც). 1990 წლიდან „ნაქალაქევი“ ეს პრივილეგია დაკარგა და საბოლოოდ ტრაფარეტს შემორჩა წარწერა „ნოქალაქევი“. 1989 წელს, 9 აპრილის შემდგომ დღეებში, სამწუხაროდ გარდაიცვალა ჩემი სათაყვანებელი ბიძა, ენათმეცნიერი, პროფესორი გიორგი შალამბერიძე. თუმცა გარდა ამისა, სხვა მიზეზიც არსებობს. 30 წელია ჩემი ქვეყანა იბრძვის ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვების შესანარჩუნებლად... და ეტყობა, ყურადღების მიღმა დარჩა ეს „პანანინა“ საკითხი.

არადა ისტორიული მასალების მოპოვება არ ნიშნავს ადგილის ისტორიული სახელის დაკარგვას.

ნაქალაქევი თუ ნოქალაქევი

დროა ჩვენ ვუშველოთ ნაქალაქევი! და ვუბრუნოთ მას სწორი ფორმა, ვინ იცის ის როგორ ელოდება ჩვენგან ამას. გარდა ამისა, ეს აუცილებელია, იმიტომ, რომ არავინ შეგვეცილოს და არ გადაინეროს ისტორია თუნდაც საუკუნეების შემდეგ...

ჯერ ერთი „ნაქალაქევი“ მეგრულად „ნოქალაქი“-ა და არა „ნოქალაქევი“. და თუ ზოგადად ვილატებებს მეგრული ჟღერადობა უფრო მიმზიდველად ეჩვენება, ეს „ევი“ რა უბედურებაა? რატომ არ ვეძახით ქართულ ენაზე „სენაკს“ ან „ძველ სენაკს“, მეგრულ შესატყვისებს „სანაკი“ და „ჯვეშ სანაკი“? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჯერჯერობით არავის აუხირობია?

ამ ადგილის დასახელების სწორი ფორმაა ნაქალაქევი!

მეტი დამაჯერებლობისთვის, უფრო სწორად, რომ არ გაძნელდეს ისტორიული მონაცემების მოძიება ამ გეოგრაფიული პუნქტის, ნაქალაქევის, შესახებ, მოგანვდით ამონარიდს, ნაქალაქევის მკვიდრის, ენათმეცნიერისა და პროფესორის ბატონ გიორგი შალამბერიძის წიგნიდან „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“, (გვ.41-42), სადაც თავმოყრილია უტყუარი მასალა, თუ რატომ „ნაქალაქევი“, და არა „ნოქალაქევი“:

„როგორც ცნობილია, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ფართო მასშტაბით, კომპლექსურად სწავლობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას მდებარე ძველი ციხე-ქალაქის ისტორიას. პრესაში დროდადრო ქვეყნდება საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები ამ ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის მიმდინარეობისა და მოპოვებული მასალების შესახებ, მაგრამ თვით ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება მცდარად არის წარმოდგენილი; წერია „ნოქალაქევი“, და არა „ნაქალაქევი“.

საქმის ვითარება ასეთია:

1. „ნაქალაქევი“ (და არა „ნოქალაქევი“) ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს: წ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად ნოდებული“ („ქართლის ცხოვრება“, IV, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 777).

2. ალექსანდრე ცაგარელს სანკტ-პეტერბურგში 1880 წელს რუსულ ენაზე გამოცემული „მეგრული ეტიუდების“ პირველი ნაკვეთის XII გვერდზე სამჯერ აქვს მოხსენებული „ნოქალაქევი“.

3. „ნა-ქალაქევი II ნო-ქალაქევი“ დამონმებულია იოსებ ყიფშიძის ეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში, რომელიც აგრეთვე რუსულ ენაზე დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში 1914 წელს („ნა“ და „ნო“ პრეფიქსები მეგრულში ერთმანეთს ენაცვლება).

4. „ნოქალაქევი“ ფიქსირებულია აგრეთვე აქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში (თბილისი, 1961, გვ.96 და 166). ჩვენს რესპუბლიკაში მეორე „ნაქალაქევიც“ არის, ასპინძის რაიონში (იქვე, გვ 19 და 166).

5. ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის ართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც (თბილისი, 1968) სავსებით მართებულად წერია „ნაქალაქევი“.

6. „ნაქალაქევის“ აგებულება გამჭვირვალეა: ეს სიტყვა წარმოქმნილია „ქალაქ“ ფუძეზე წინა ვითარების სახელთა მანარმოებელი **ნა - ვვ** აფიქსების დართვით (იხ. ა. შანიძის ართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ.134).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ისტორიულადაც, ტრადიციულადაც, მორფოლოგიურადაც ერთადერთი სწორი ფორმაა „ნაქალაქევი“ და არა „ნოქალაქევი“. ამიტომ წერთსა და ზეპირ მეტყველებაში (ყურნალ-გაზეთებში, მეცნიერულ გამოკვლევებში, რუკებზე, რადიო და ტელეგადაცემებში და სხვ.) მხოლოდ ეს სწორი ფორმა უნდა გამოვიყენოთ.

დადგა დრო, ამ ისტორიულ გეოგრაფიულ პუნქტს დაუბრუნდეს და დამკვიდრდეს სახელის სწორი ფორმა: ნაქალაქევი!

ხოლო, რაც შეეხება თვითონ ამ არასასიამოვნო ფაქტს, მეჯერა, რომ ამაზე ის ორი სულმნათი მეგრული პროფესორი პირველსავე შეხვედრაზე, იმქვეყნად, ღიმილით, უხმოდ შეთანხმდებოდა. მათი მზერა კი ახლა ჩვენკენაა მოპყრობილი. ჯერი ჩვენზეა!



- მაინც მაგარი ჩათლახი ხარ! - უთხრა გურამმა გურამს.

- ამის მერე კიდევ მე ვარ ჩათლახი?! - გაიკვირვა გურამმა, - შენ ხომ არ აპიპინებ?

- ვაპიპინებ! - დაყდასტურა გურამმა და სიგარეტს მოუკიდა, - მაგრამ შენ მაინც მაგარი ჩათლახი ხარ?! გურამი, რამოდენიმე წლის წინ გადმოვიდა გურამის მეზობლად. ეს იმის მერე მოხდა, აი იმის... აფხაზეთის დაკარგვის მერე... როცა ერთმანეთი გაიცნეს მაგრა გაუკვირდათ, გურამები რომ იყვნენ.

- შენი სახელი მაჩუქე, ძმაო! - უთხრა აივანზე სიგარეტის მოსანევედ გამოსულმა გურამმა ფანჯრის რაფაზე შემომჯდარ ახალგადადმოსულ მეზობელს.

- გურამი!

- ვაა! მეც გურამი მქვია!

- შენ არ მითხარი სახელი მაჩუქეო და მეც გაჩუქე! - გაიღიმა გურამმა.

- ვა, შენ რა კაი ტიპი ყოფილხარ?! - ესიამოვნა გურამს და მაცივარში შედგმული ღვინით სავსე სამლიტრიანი ქილა გაახსენდა, - თავისუფალ დროს რას აკეთებ?

-რა ვიცი, აბა!

-როგორ?... აბა მე ვიცი?!

-შენ რას აკეთებ? - შეუბრუნა კითხვა გურამმა. გურამს რაღაც არ მოეწონა მოსაუბრეში.

-მეე!.. საქართველოს გამთლიანებაზე და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ვფიქრობ!

- მეც! - გაუხარდა გურამს, - უბრალოდ ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობ!

- რატომ?... გეშინია იდეები არ წაგართვან? - გურამი შეეცადა სამლიტრიანი ქილა დაევიწყებინა.

- შენ რატომ ლაპარაკობ ხმამაღლა?

- მეე, ვაფრენ ძმაო!.. მაგრა ვაფრენ! - გაახსენდა, რომ მაცივარი გაფუჭებული იყო, - გინდა დავლიოთ? - წყალი?

- არ გეწყინოს, მაგრამ შენაც მაგარი ჩათლახი ხარ?! - თქვა და ონკანიდან მოჩუხჩუხე ცივი წყალზე დაიწყო ფიქრი, - სწორად გამიგე რა! ამ სიტუაციაში ჩათლახი, ის ჩათლახი არ არის, რომელიც ჩათლახია, არამედ სხვანაირი ჩათლახია... აი, სუფთა ჩათლახი, რა?! კაი ჩათლახი! - მიხვდა, რომ რაღაც ვერ გამოუვიდა მთლად კარგი ნათქვამი, მაგრამ მაინც ამაყად გადახედა სეხნიას, - გურამი ცუდი კაცი არ შეიძლება იყოს... ხომ გამიგე!

გურამმა მხრები აიჩეჩა. არაფერი ჰქონდა სათქმელი. ან რა უნდა ეთქვა?... ახალი კაცი იყო ძველ უბანში, ახალი გადმოსული. თანაც იმის მერე, აი აფხაზეთი რომ დაიკარგა, იმის მერე.

- მოკლედ მაგარი ჩათლახი ხარ?! - უთხრა გურამმა გურამს.

- ამის მერე კიდევ მე ვარ ჩათლახი?! - გაიკვირვა გურამმა, - შენ ხომ არ აყუილებ?!

- ვაყუილებ! - დაუდასტურა გურამმა.

ორივე გურამი ერთ სართულზე ცხოვრობდა. ერთმანეთის პირდაპირ. ერთი ლიფტის მარჯვენა, მეორე კი მარცხენა მხარეს. ბოლო სართულზე ცხოვრობდნენ. ლიფტი არ მუშაობდა, ამიტომ იშვიათად გადიოდნენ სახლიდან, ან თუ გადიოდნენ დიდხანს არ ბრუნდებოდნენ.

მათ ქვევით ბებერი მარტოხელა კაცი ცხოვრობდა. მარტოხელა ცოლის დაღუპვის შემდეგ. ძალიან არ უნდოდა მარტოხელობა, მაგრამ რა უნდა ექნა? შვილები ცოლზე ადრე დაეღუპნენ, ფრიად უცნაურ სიტუაციაში. სამივე ბავშვი გაეყინა. თუმცა. ამის შესახებ შემდგომ. აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, მასაც გურამი ერქვა. გურამს ძალიან უყვარდა ზედა სართულის გურამებთან ყოფნა. ბაასი. ჭუკჭუკი. მასლაათი. ხანდახან ნაიქიფებდა კიდევ, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა.

- ცოტა დამისხი! ცოტა დამისხი, სულ ცოტა! - სახეზე თბილი ღიმილით ეხვეწებოდა გურამებს.

გურამებიც თვალს ჩაუკრავდნენ ერთმანეთს და ვითომ შემთხვევით მოგვივიდაო უპიპინებდნენ ჭიქას.

- ცოტა დამისხი! ცოტა დამისხი, სულ ცოტა-მეთქი და შენ კი როგორ გააპიპინე! - ვითომ ბრაზობდა გურამი და სვირინგის ხელით მუხლზე დადებულ კოკარდიან ქუდს ეფერებოდა, - შენ კი როგორ გააპიპინე!.. ასე გაპიპინება არ შეიძლება! არ შეიძლება გაპიპინება, ასე!

- კარგი რა გურამ! - ხალისი ემატებოდა გურამს, - მე ბევრი დავლიო და შენ ცოტა, მერე თვალეში როგორ შემოგხედო?!. ეგრეა, არა გურამ?

- ალბათ ეგრეა! - ეთანხმებოდა გურამი და რატომღაც დაკარგული აფხაზეთი ახსენებოდა, - ხანდახან ხვალინდელი დილა ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი დღის პირველი დილა მგონია. ხანდახან კი ცხოვრების პირველი დღის დასაწყისი!

გურამებს ერთად ყოფნა უყვარდათ და ამიტომაც იკრიბებოდნენ ხშირ-ხშირად. თუმცა, ხანდახან ერთმანეთის ატანა არ ჰქონდათ, რადგან გურამები იყვნენ და თითქოს რაღაცას ელოდნენ. ასეთია იმედგაცრუებული და ძალაგამოცლილი კაცების ცხოვრება...

ერთხელ მარტოხელა გურამს სამზარეულოში პატარა სუფრა გაეშალა, გაფუჭებულ მაცივარსა და წყლის ონკანს შორის ჩაედგა პატარა მაგიდა თავისი ოთხი სკამით.

- მაცივარი გაფუჭებული მაქვს და ღვინოს წყლით გავაგრილე! მთლათ არ გაყინულა, მაგრამ არც ჩაივითაა თბილი! - მოიბოდიშა გურამმა და სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა.

გურამი და გურამი ნერწყვმომდგარები შესცქეროდნენ სუფრას, რომელზეც ოთხი თევში, ოთხი ჩანგალი, ოთხი კოვზი, ოთხი დანა, ოთხი ხელსახოცი და ოთხი ჭიქა იდგა, რომ არაფერი ვთქვათ კარტოფილის პიურეზე, სოიოს კატლეტებზე, მოხარშულ სოსისზე და შემწვარ სკუმბრიაზე.

- ღვინის დოქები მეზობელს ვთხოვე გურამას! მაგრამ არ მომცა იმ ჩათლახმა, - მოიბოდიშა გურამმა, - თუმცა რაც არ ჰქონდა რა უნდა მოეცა!.. მაგრამ სამლიტრიანი ქილა კი დიდი სიამოვნებით მათხოვა!

გურამმა შემწვარი თევზი გადმოიღო, ხოლო გურამმა სოიოს კატლეტი. მასპინძელი სიამოვნებით უყურებდა მის მარცხნივ მჯდარ გურამს და თავზე ეფერებოდა მარჯვნივ მოკალათებულ გურამს... ბოლოს ჭიქები შეავსო, პირჯვარი გადაიწერა, და რაღაცნაირი მოგუდული ხმით დაიწყო:

- მთელი ცხოვრება ელოდები რაღაცას და ხვდები, რომ ეს რაღაცა ხვალ იქნება?!

გურამმა გაკვირვებით შეხედა გურამს, რომელსაც კატლეტებისათვის თავი მიენებებინა და პირდაღებული უყურებდა გურამს.

უკვე ღამის თორმეტი საათი იყო და სამივე რაღაცას ელოდა. ერთი ნუთი... ორი... სამი... ოთხი... ოთხმოცი... ას ოთხმოცი ნუთი, მაგრამ რაღაცა არ ჩანდა. ამიტომ იმედგაცრუებულმა უსიტყვოდ დალიეს. მერე ისევ დალიეს. დალიეს ისევ მერე. მერე ისევ... ისევ. ბოლოს სასმელით გახურებულმა და რაღაცის გამოუჩენლობით გაღიზიანებულმა გურამმა ღვინის უკანასკნელი ნვეთებით შეავსო ოთხივე ჭიქა და

ცარიელი ქილა მაცივარში შედგა, ისე რომ არც კი გამოურეცხავს. გურამს ეს ძალიან გაუკვირდა და გურამს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

-ნადით! - რაღაცნაირი ხმით თქვა მარტოხელა გურამმა.

-არ გვინდა! - რატომღაც ერთხმად უპასუხეს სტუმრებმა.

- სულ ფეხებზე მკიდია, რა გინდათ და რა არა! - იღრილა მასპინძელმა და მაგიდას ხელი დაჰკრა. დარტყმისაგან სუფრაზე მდგარი ჭურჭელი აზრივდა, ხოლო მეოთხე ჭიქა ნაიქცა, ღვინო კი პიურეში ჩაიღვარა.

- ვა, შენ რა კაი ტიპი ყოფილხარ! - წამოიძახა მასპინძლის საქციელით გაღიზიანებულმა გურამმა და მაცივარში შედგმული სამლიტრიანი ქილა გაახსენდა, - თავისუფალ დროს რას აკეთებ?

- არ გეწყინოთ მაგრამ თქვენ მაგარი ჩათლახები ხართ?! - თქვა მასპინძელმა და ონკანიდან მოჩუხჩუხე ცივი წყალზე დაიწყო ფიქრი, - სწორედ გამიგეთ რა! ამ სიტუაციაში ჩათლახი, ის ჩათლახი არ არის, რომელიც ჩათლახია, არამედ სხვანაირი ჩათლახია... აი სუფთა ჩათლახი რა?!.. კაი ჩათლახი! - მიხვდა, რომ რაღაც ვერ გამოუვიდა მთლად კარგი ნათქვამი, მაგრამ მაინც ამაყად გადახედა სეხნიებს, - გურამი, ცუდი კაცი არ შეიძლება იყოს?! ხომ გამიგეთ?

-ყველას ის სტივია რაც ააქვს?!

- ჰოო! - კვერი დაუკრა გურამმა და ჭიქა ასწია, - მთელი ცხოვრება, ჩვენ მხოლოდ თვითმკვლელობას გვასწავლიან?!

გურამმა სუფრის წვერებს მიუჭახუნა ჭიქა და ღვინო არაყივით გადაჰკრა. მარტოხელა გურამი თავის ჭიქას ჩააშტერდა, გაყინული შვილები, გაფუჭებული მაცივარი და დაკარგული რაღაც გაახსენდა. გურამი კი თევზზე დარჩენილ კატლეტს უყურებდა გამომცდელი თვალით. უყურებდა და თავისუფალ დროზე ფიქრობდა...

გურამი ამ სახლში დაბადებიდან ცხოვრობდა. მერე გაიზარდა. ახლა კი ჩამოყალიბებული კაცი იყო, როგორც ამბობენ ათას ხიშტზე გადამხტარი. ბავშვობისას მას უნდოდა რაღაც გამხდარიყო, მაგრამ ბოლოს მაინც გურამად გაიზარდა. ახლა როცა ბავშვობის ოცნებები გაახსენდებოდა, ხმამაღლა იცივოდა.

-ჰა-ჰა-ჰა?!

საკმარისი იყო ვილაცას რაღაცაზე ჩამოეგდო მასთან საუბარი, რომ გურამი ეგრევე დააფრენდა პირს და ცხენივით ახვიხვინდებოდა.

- ჰა-ჰა-ჰა?! ჰაჰა-ჰაჰა-ჰაჰ?!

გურამის პირდაპირ მარტოხელა გურამი ცხოვრობდა, რომელსაც შვილები ძალიან უცნაურ ვითარებაში დაეღუპნენ, სამივე ბავშვი გზაში გაეყინა, ცოლი კი შარშან გარდაეცვალა. გურამს არ უყვარდა გურამი, თუნდაც იმიტომ, რომ მასაც გურამი ერქვა და ისიც რაღაცაზე ფიქრობდა.

- რა უბედურებაა?! - ბრაზობდა გურამი, - ზევით აიხედავ გურამი, გვერდზე გაიხედავ, გურამი?!.. ქვევით გურამი!!! სარკეში ჩაიხედავ და იქაც გურამი?!. ცხოვრებაა ახლა ეს!

ცდილობდა მეზობლებთან რაც შეიძლება ნაკლებად ეურთიერთა.

გაუთავებელი სმა! გა-უ-თა-ვე-ბე-ლი! ყოველი დილა ჩემი ცხოვრების უკანასკნელი დილა მგონია?!.. როდემდე უნდა იყოს ასე?! ხომ შეიძლება ნორმალური ცხოვრება დაიწყო და ხვალინდელი უკანასკნელი დილა ცხოვრების, ნორმალური ცხოვრების პირველ დღედ იქცეს?! კაცო არ შეცვიკლეს ამ გურამებმა?!

გურამს მეგობრები არ ჰყავდა. არც მეგობრებს ჰყავდათ გურამი. თუმცა, მშობლებსაც არ უნდოდათ, გურამს გურამებისნაირი მეგობრები ჰყოლოდა, მაგრამ სხვანაირი მეგობრები არ არსებობდა. თუკი იყო მეგობარი, ის აუცილებლად გურამი უნდა ყოფილიყო. ამის გამო მშობლები გადარეულები იყვნენ.

- გურამ! ძალიან გთხოვ! - მკაცრი ტონით ეუბნებოდნენ მას, - აქ წურავის დაეკონტაქტები?!

-რატომ? - უკვირდა პატარა გურამიკოს. - შენ რაღაც უნდა გამოხვიდე და არა გაქვს დრო

თემურ ნადარეიშვილის „სულის ფოტოგრაფიების“ გამოძახილი

რამდენი ფიქრი და განცდა ილექება ჩვენში, თუკი ყოფითი ცხოვრების მიღმა ავტონომიური, მრავალფეროვანი სამყაროს აღქმის უნარი შეგვწევს?! ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანას ნუ ვიჩქარებთ. ადრე მოაზროვნე პიროვნებად სათვალის, წიგნაკითხი შეიარაღებულ პედანტს ნარმოიდგენდნენ, ახლა კომპიუტერის წინ მჯდარ დაძაბულ ადამის ნაშიერს დრო ყულფივით უჭერს და საგულდაგულოდ დაგროვილ ფიქრებს რაკეტისებური სისწრაფით აძლევს გასაქანს; არ მოტყუვდეთ, ფიქრის ყალიბი მაცდურია და ვისაც საკუთარი დაკვირვებების ჩანერის მოთხოვნილება არ ასვენებს, მის შემოქმედებით სამყაროს იმპროვიზაციის სურნელი ათბობს; მსგავს „უწყინარ გასართობს“, როდესაც ახსენებ, თანამედროვე ადამიანებს ირონიულად ელიმებათ, რადგან საყოველთაო მოუცლელობის ჟამს მოულოდნელი დასკვნების გამოსატანად აღარავინ ეგულებათ, რაც ფასეულობების გაუფასურების უდიდესი ექოდ ხმინდება; ამ დროს მოაზროვნე არ ჩერდება, წერს, ფიქრობს, საკუთარ თავს ეკამათება ან ეთანხმება, რაც ცხოვრების ნამდვილი საზრისის შეცნობის უნივერსალური საშუალებაა; მოაზროვნე კაცის სიმარტოვე სხვაგვარად წარმოუდგენელია. თემურ ნადარეიშვილის „სულის ფოტოგრაფიები“, ამის ნათელი ნიმუშია. ცნობილი ფიზიკოსის საუცხოო ლიტერატურული ჩანახატები, რომელშიც ავტორის ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი ბუნება და დინამიკური ხასიათი რელიეფურად იხსნება, არსადაა დაჩრდილული, არამედ პირიქით, უკეთ ვლინდება; მეცნიერის ჩვევა: სამყაროს უსასრულო ანალიტიკური უნარის მეშვეობით შეიცნოს და აღბეჭდოს, ემოციურ

გრადაციებს ჰარმონიულად ეთანადება; რაც მთავარია, „სულის ფოტოგრაფიების“, მრავალფეროვნება გულწრფელობასა და ამოუნურავი შთაბეჭდილებების აღქმის სიციცხალეს ემყარება. ლიტერატურული სადემარკაციო ხაზი იქ ირღვევა, როდესაც ავტორი თავის პროფესიულ მონოდებას საგანგებოდ უბრუნდება და მოვლენას მეცნიერული კუთხით ხსნის და განიხილავს; კითხვისას სასიამოვნო განცდა არ გტოვებს, ნაწერი იმდენად საინტერესო, სახალისო და სიღრმისეულია ამავდროულად, სადაც ინტელექტის დონის კვალდაკვალ ავტორის მრწამსი შეულამაზებლად მჟღავნდება. სულისმიერი ძვრები, რასაც ყოველდღიურობა ვერ ერევა, ფიქრით ვერკითვს და მღორე რიტმს დამაჯერებლად არღვევს, თუკი ადამიანს სათქმელის საინტერესოდ გადმოცემის უნარი მომადლება. „სულის ფოტოგრაფიების“, კითხვისას სწორედ ეს განწყობა გეუფლება, ხვდები, რომ მოაზროვნე შინაგანად მუდამ დულს და გადმოდულს, მასთან ვერასდროს მოინყენ, და რაც დასაფასებელია, ჩანანერების ავტორი ილტვის თავისი დაკვირვებები მკითხველს ხელოვნური აპლომბის გარეშე დღაღად გაუზიაროს. ცალკე საკითხია, პროფესორთან ერთად მსგავსი ხასიათის დილოგი იმპროვიზაციულად როგორ იბადება, რომელიც ყოველდღიურ დეტალებში ხორცს იხსამს და საზღვრებს მიღმა უჩვეულო ცხოვრებას განაგრძობს. მოკლედ, რაც უფრო ვრცელია სამყარო, მით უფრო საინტერესოა მრავალფეროვნების შეცნობა; პროფესორის მახვილგონივრული დაკვირვებებიდან ერთს საგანგებოდ გამოვარჩევ, სადაც ის აღნიშნავს, რომ დიდი ირანელი პოეტის, ომარ ხაიამის პოეზიის კო-

სმიურობა იმით იყო გამოწვეული, რომ „იგი ასტრონომი იყო და „შესვენებებზე წერდა ლექსებს „განტვირთის მიზნით... ეს ფრაზა გულს ყველაზე ახლობელ ტალღად იმიტომ მოელამუნა, რომ ნამდვილ პოეტებს ყოველთვის აქვთ საკუთარი ცარგვალი, რომელიც მონოლითურ კოსმოსს ბუნებრივად ერწყმის; რუსთაველის გენიალობა ასტრალურ სივრცესთან შეხებისას ცალკე საცნაურდება; მნათობთა მისეული დახასიათება საოცარ სიღრმესა და ცოდნას ასხივებს, რომლის უკიდვანობა შინაგანი „ასტრონომობის“, განსაცვიფრებელი ფენომენია...

კითხულობ და ფიქრობ, მაინც რამდენი რამაა ამოუხსნელი, იდუმალი და ხილულ სამყაროს მიღმა განსხვავებულ ცარგვალს მიღმა განფენილი, რომლის ათასფერი ანარეკლი ჩვენში ინდივიდუალურად ილექება და ჩანანერების სახით ჰპოვებს გამოძახილს. ადამიანური რაობის შესამეცნებლად „სულის ფოტოგრაფიები“, სულზე მისწრებაა. მისი თანმდევი დინამიკა და ათინათი შემეცნების წყურვილს აღრმავებს და მოგვინოდებს, არაფერი დაგტოვოთ უყურადღებოდ!

და ბოლოს, ნამდვილპოეტებს, როგორც პირველქმელ ქურუმებს სივრცე დაულამქრავი არ რჩებათ, ხოლო ნამდვილი მოაზროვნეები თავიანთ მრავალფეროვან იმპულსებს ღრმაშინაარსიან შეხედულებებად აყალიბებენ და უშურველად აწვდიან სამყაროს, რომლის პროზაულობა შინაარსიანი დაკვირვებებისა და ცინცხალი შთაბეჭდილებების ნიაღში პოეტურად ქარწყლდება...

9.10.2022.

გურამის ხვადინდელი დღე

უობა ცხაუაია

იმისათვის, რომ ვიღაც-ვიღაც გურამებთან ურთიერთობაში დრო ფლანგო!.. ხვადინდელ დღეზე იზრუნე?!
-თავისუფალ დროს რა ვაკეთო!
-როგორ?! არ იცი რა უნდა აკეთო თავისუფალ დროს?! – უკვირდათ მშობლებს.
-რა ვიცი, აბა?!
-როგორ?! აბა ჩვენ ვიციოთ?!
-რა ვიცი, აბა?! – ბრაზობდა გურამიკო.
-იფიქრე რაღაცაზე, ყოველთვის იფიქრე რა-ღაცა-ზე?!
- იმდენს ვიფიქრებ რაღაცაზე, სანამ თავს არ მოვიკლავ?! – ტიროდა გურამი, - მთელი ცხოვრება თვითმკვლელობას მასწავლით?!
მშობლებს მისი არ ესმოდათ და ძალით დაათრევდნენ ბავშვს რაღაცაზე. ისიც დადიოდა. რაღაცა ფესტივალზეც გამოდიოდა, რაღაცა დოქებსაც კი აძლევდნენ პრიზების სახით ამ ფესტივალზე მონაწილეობის გამო, რომლებიც მერე სულ ერთიანად დაამტვრია და გაფუჭებული ლიფტის შახტაში ჩაყარა. ეს იმის მერე მოხდა. აი, იმის მერე, როცა ბევრი რაღაცა დაგვარგეთ. მშობლებმა სცადეს წინააღმდეგობის განწევა, მაგრამ გურამმა დაუყვირა, რაღაც უცნაური, აქამდე მისთვის არადაამახასიათებელი ხმით:
-ნაადრითოთ?!
-არ გვინდა?! – რატომღაც ერთხმად უპასუხეს მშობლებმა.
- სულ ფეხებზე მკიდია რა გინდა და რა არა?! შეხედეთ, ირგვლივ რა ხდება?! ვერ ხვდებით, რომ არც რაღაცა არსებობს და არც ვიღაცა! – იღრიალა გურამმა

და ხელი მთელი ძალით დაჰკრა მაგიდას. დარტყმისაგან სუფრაზე მდგარმა ჭურჭელმა ზრიალი დაიწყო.
-მაინც მაგარი ჩათლახი ხარ?! – უთხრა გურამმა გურამს.
- კარგი რა, გურამ! – ხალისი მოემატა მეგობარს, - მე ბევრი დავლიო და შენ ცოტა, მერე თვალეში როგორ შემოგხედო?!.. ეგრე არა არის გურამ?
- ალბათ ეგრეა! – დაეთანხმა გურამი და რატომღაც დაკარგული აფხაზეთი გაახსენდა, - გაუთავებელი სმა! გა-უ-თ-ა- ვე-ბე-ლი?! ყოველი დილა... ეეჰ?! არ შეგვიკლეს ამ გურამებმა?!
-შენი სახელი მაჩუქე ძმაო?! – თქვა გურამმა და გაიღიმა.
-გუ-რა-მი?!
-ვაა?! მეც გურამი მქვია?!
-მეც მქვია გურამი?!
-გურამი?! ვაა! მეც მქვია!
ისე გადაკოცნეს ერთმანეთი თითქოს პირველად ენახოთ.
-შენ არ მითხარი სახელი მაჩუქეო და მეც მაჩუქე?!
- ვაა, შენ რა კაი ტიპი ყოფილხარ?! – გაუხარდა გურამს და ჭიქა ასწია, - თავისუფალ დროს რას აკეთებ?
-არ ვიცი!
-როგორ აბა მე ვიცი?! – გაბრაზდა გურამი.
-ფიქრობ რაღაცაზე?! ყოველთვის რაღაცაზე ვფიქრობ?!- ამოიოხრა მან.

-ძალიან გთხოვ, გურამ, აქნურავის დაეკონტაქტები! – რატომ?
-ხვადინდელ დღეზე იზრუნე! ოღონდ დღეს არა, დღეს დავლიოთ!
გურამი სამლიტრიანი ქილიდან ღვინის ჩამოსხმას შეუდგა.
- ცოტა დამისხი! ცოტა დამისხი, სულ ცოტა-მეტეტი და შენ კი როგორ გააპიპინე! – ვითომ გაბრაზდა გურამი და მარტოხელა გურამის მუხლზე ჩადებული კოკარდიანი ქუდი თავზე ჩამოიფხატა, - შენ კი როგორ გააპიპინე!.. ასე გაპიპინება არ შეიძლება! არ შეიძლება გაპიპინება, ასე!





მონოლოგი დაიწერა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიფტოს“ თხოვნით!

ახლა დევინყო უნდა და დუნიას მოვუყვე ჩემი ამბები, რა მჭირს, რა მტკივა, რა მიხარია (თუმცა ამ ბოლოს ცოტაა გასახარებელი).

მთელი ბალნობა იმაზე ვოცნებობდი რომე, დუნიაზე გამეთქვა სახელი და რავარც ცხონებული ბებიაჩემი, ბაბინე, იტყოდა, სახელიანი კაცი გამოვსულიყავი. იმიზა, რომე, სახელიანი კაცს ბევრი ფული და ყოლისფერი კაი ქონდა, სახლი, მანქანა, საჭმელი, ლამაზი ცოლი და რა ვიცი, ყოლისფერი.

მოკლედ, მთელი ბალნობა სახელიანი კაცობაზე ვოცნებობდი, ისე, ბალნობაც არ მქონდა ცუდი, მარა სხვისი ადამიანს ყოველთვის უკეთესი რომ გონია, მაი მაშინ კი არ ვიცოდი. მოკლედ, მთელი 11 წელი, სკოლის მოსწავლეობის პერიოდი, ვიმტრე თავი, რაზე უნდა ჩამებარებია, რომ ამეხდინა ჩემი ოცნება და ვერაფერი ვერ მევიფიქრე. დავამთავრე სკოლა და წვედი თბილისში საბუთების შესატანად სამედიცინო ინსტიტუტში, ოღლა ბებიას არ იყოს, დედაჩემმა დოხტური უნდა გამოხვიდეო. პირველ წელს არ ვიყავი თლათ მომზადებული და დავრჩი გარეთ, მეორე წელს ზუსტად გამოცდამდე 2 დღით ადრე მოგვივიდა ავტოვარია და ისევ დავრჩი ინსტიტუტს მიღმა.

მაგრამ ავარიასთან ერთად მომივიდა იდეაც, ეტყობა თავი მივარტყი კარგად და გადაბრუნდა რაცხა შარიკი.

ხომ მინდოდა დუნია გამეკვირვებია, გამეოცებინა, გაფართოებული, აღტაცებული თუ შეშინებული

თვალებით ეყურებია ყველას ჩემთვის, ჩემს დანახვაზე დამჯდარ კაცს გული ატოკებოდა და ფეხზე მდგომი სასწრაფოდ დამჯდარიყო, ხომ მინდოდა ასე?!

ხოდა გადავწყვიტე გამოვსულიყავი სტომატოლოგი.

ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე, დავამთავრე, ჩევიცვი თეთრი ხალათი და ოი საოცრება: მართლა პირდაღებული და შეშინებული არ მიყურებს ყველა უსიტყვოდ გასუსული?

აი ერთი ოცნება ქი ევიხდინე ახლა, ყველა პირდაბრენილი მიყურებს, გასუსული, მეორეც ქი ევიხდინე ნელ-ნელა -სახელიც მაქ კაი გვარიანი, მარა რაცხა ბევრი ფული მინდოდა კიდომ და ამის ახდენასაც ველოდები უკვე კაი ხანია არა მგონია, ასე სხვის პირში ძრომით ბევრი ფული ვიმოვნო მე, ეტყობა მაგას სხვის ჯიბეში ძრომიალი ჯობია და რაც უფრო დიდია ჯიბე, მით უკეთესი. მარა, მაი რომ შეიძლო, თავიდანვე სხვა ოცნება უნდა გქონდეს ეტყობა---დიდ ფულს პანე სახელი ურჩევნია, ასე მგონია მე, რომ ნაკლებად შეაწუხონ!!!



გურამის ხვადინდელი დღე

უობა ცხაუაია

- მაინც მაგარი ჩათლახი ხარ! - უთხრა გურამმა გურამს.

- კიდე მე ვარ ჩათლახი? - გაუკვირდა გურამს და კოკარდიანი ქუდი პატრონს დაუბრუნა.

- ამის მერე... - რაღაცის თქმა უნდოდა მარტოხელას, მაგრამ გურამმა გააწყვეტინა.

- ამის მერე, კიდე მე ვარ ჩათლახი?! შენ ხომ არ აჟუილებ?!

- ვაჟუილებ! - დაუდასტურა გურამმა და ბიროკი ჩააქრო, - მაგრამ შენ მაინც მაგარი ჩათლახი ხარ?!

- მეც?! - შეეცადა გურამი სალაპარაკო თემა გამოეცვალა, - მე საქართველოს გამთლიანებაზე და დაკარგული მიწების დაბრუნებაზე ვფიქრობ?!

- მეც?! - დაჰკრა ხელი მაგიდას გურამმა და მეოთხე ჭიქა ნააქცია, - უბრალოდ ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობ?!

- ამდენი თავისუფალი დრო მაქვს და არ ვიცი რა ვუყო?... არ ვიცი რა ვაკეთო ამდენ თავისუფალ დროს?!

- როცა არ იცი რა აკეთო თავისუფალ დროს, ესე იგი ეს დრო თავისუფელი კი არა არათავისუფალია?!

- როგორ არ იცი რა უნდა აკეთო თავისუფალ დროს?! - აყვირდა გურამი.

- არ ვიცი! - გაბრაზდა მარტოხელა.

- არ გეწყინოს, მაგრამ ჩათლახი ხარ?! - თქვა გურამმა და ონკანიდან მოჩუხჩუხე ცივ წყალს მეოთხე ჭიქა შეუყუდა, - არ გეწყინოს, მაგრამ შენაც მაგარი ჩათლახი ხარ?! სწორად გამიგერა! ამ სიტუაციაში ჩათლახი, ის ჩათლახი არ არის, რომელიც ჩათლახია, არამედ სხვანაირი ჩათლახია... აი, სუფთა ჩათლახი, რა?! კაი ჩათლახი! - მიხვდა, რომ რაღაც ვერ გამოუვიდა მთლად კარგი ნათქვამი, წყლით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა და სეხნიას მაინც ამაყად გადახედა, - გურამი ცუდი კაცი არ შეიძლება იყოს... ხომ გამიგეთ!

- ყველას ის სტკივა რაც ააქვს?! - თქვა გურამმა და

ღვინით გავსებულ პიურეს თეფშს ჩააშტერდა.

- მე ვაფრენ ძმაო, მაგრა ვაფრენ?! - ამოიოხრა გურამმა და დამტვრეული დოქები გაახსენდა, - გინდა დავლიოთ?

- წყალი? - იკითხა მარტოხელამ და სვირინგიანი ხელით მუხლზე ჩამოედებულ კოკარდიან ქუდს მოეფერა...

გურამი რამოდენიმე წლის წინ გადმოვიდა გურამის მეზობლად. ეს იმის მერე მოხდა. აი, აფხაზეთის დაკარგვის მერე. როცა ერთმანეთი გაიცნეს, ყველას მაგრა გაუკვირდა, გურამები რომ ერქვათ. მთელი უბანი გურამებით იყო სავსე.

- გუბეში ეცემა იმდენი წვეთი, რამდენიც საჭიროა! - მრავალმნიშვნელოვნად იტყოდა გურამი, გურამების სიმრავლის შესახებ და რატომღაც გაფუჭებული მაცივარი, დაკარგული აფხაზეთი, გზაში გაყინული შვილები, და ორად გახლეჩილი საქართველო ახსენებოდა.

- სამაჩაბლო უკვე დაგავინყდა? - თითქოს მის ფიქრებს აგრძელებსო, გულისტკივილით წამოიძახებდა გურამი.

- ხვალინდელი დღე?! - ამოიოხრებდა გურამი და რაღაცა გაახსენებოდა.

- მთელი ცხოვრება ელოდები რაღაცას და უცებ ხვდები, რომ ეს რაღაცა ხვალ იქნება?!. მერე თენდება ხვალინდელი დღე და გრძნობ, რომ ეს რაღაცა აღარასოდეს იქნება?! - დააყ-

ოლებდა გურამი და თითში ჩაქუჩნარტყმული ბავშვივით ატირდებოდა.

გურამი კი მხრებს აიჩეჩდა. არაფერი ჰქონდა სათქმელი, ან რა უნდა ეთქვა?... ახალი კაცი იყო ძველ უბანში. ახალი გადმოსული. თანაც იმის მერე, აი, აფხაზეთი რომ დაკარგეს იმის მერე... ავიდოდა ბოლო სართულზე, გაფუჭებულ მაცივარში შედგმულ, ღვინით სავსე ქილას გამოიღებდა და გურამებთან მიჰქონდა. გზაში კი სადღაც დამალული გულისტკივილით, სულ ერთი და იგივეს იმეორებდა:

- მთელი ცხოვრება თვითმკვლელობას გვასწავლიან?! მთელი ცხოვრება თვითმკვლელობას გვასწავლიან?! მთელი ცხოვრება თვითმკვლელობას გვასწავლიან?! ჩათ-ლა-ხე-ბი?!



ერთი შეხედვით ეს ტექსტი ესეისტური პროზაა, პათეტიურ-ამაღლებული ინტონაციით, ფილოსოფიურ-რელიგიური ნიაღვრებით. მხატვრული პროზაც შეიძლება ეწოდოს, ესეი ხომ თავისთავად აუცილებლად გულისხმობს მხატვრულ ელემენტს; მაგრამ რაღაც სხვა ელემენტიც არსებობს, რაც ამ ტექსტს ზემოთ დასახელებული დეფინიციების ფარგლებსაც აცილებს. რა ელემენტია ეს? რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, ეს არის რითმა, ანუ ისეთი მომენტი, რომელიც დღესდღეობით პოეტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერაც კი უარყოფილია. რითმა პროზაში, მითუმეტეს ესეიში მართლაც ორიგინალური და მოულოდნელი რამ არის და ტექსტს რაღაც გამორჩეულად სპეციფიკურ იერს ანიჭებს. აი ვნახოთ მაგალითი, თუ როგორაა ამ პროზაულ ტექსტში მიმოხვეული რითმები და როგორ მელოდურ ჟღერადობას ანიჭებს პასაჟს:

„ნუ დადუმდები! დავითის ძახილს უსასრულოდ ვაყურადებ. ვთქვი ადრე, არცერთ ეპოქას არ ვეკუთვნი, ჩემში უნაპირო დუმილი კიაფობს, როგორც სმარაგდი, ჰოდა გამაგრდი, სიტყვას უძღვები შვილივით ნუ განუდგე-

ბი, ნუ დადუმდები! კაცთა დუმის ნარმაველობაზე დაე სხვამ გვიამბოს...“


სიტყვას "ვაყურადებ" მოსდევს "ვთქვი ადრე": მართალია, აქ რითმა საკმაოდ "მკრთალია", ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ ტექსტის რიტმს მაინც აძლიერებს, თუ კარგად დავაკვირდებით; ასევე, "როგორც სმარაგდი, ჰოდა გამაგრდი", უფრო მკვეთრად გარითმული, პასაჟის რიტმს კიდევ უფრო აშკარად გამოკვეთს. "ნუ განუდგები, ნუ დადუმდები" კიდევ ერთი სარიტმული ნიშნავს რიტმულობას უკვე არაშემთხვევით, კანონზომიერ ხასიათს ანიჭებს. მაგრამ მთავარი ეფექტი მაინც ერთმანეთისგან დიდად დაშორებულ სარიტმულ ნიშნავს ეკუთვნის, რომელთაგან ერთი პასაჟის შუაშია, მეორე კი - ბოლოში: "დუმილი კიაფობს" - "დაე სხვამ გვიამბოს". მთლიან პასაჟს ამით არა მარტო რიტმულია, არამედ მელოდურობაც ენიჭება და შეიძლება ითქვას, რომ ეს პასაჟი ლექსის სტროფივით აღიქმება.

"დუმის დეკორაციების" არაერთ სხვა პასაჟშიც დაახლოებით მსგავსი მდგომარეობაა და მთლიანობაში ეს ტექსტი იმდენად ჟღერადი, ლექსთან მიახლოებულია,

რომ მისი დეკლამაცია ლექსზე არანაკლებად შეიძლება განხორციელდეს (პროზას რომ ამ მხრივ, ჩვეულებრივ, ლექსთან შედარებით ნაკლები შესაძლებლობას აქვს). რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოების მუსიკალობას მხოლოდ რითმები არ განაპირობებს: თვით მისი შინაარსი ფილოსოფიურ-რელიგიურთან ერთად წმინდად პოეტური აუხსნელი იდუმალეა, ძნელად მოსახელთებელი "აურა" თუ "შარმი", რაც სიტყვებს, სიტყვათა შეკავშირებით წარმოქმნილ საკმაოდ ბუნდოვან ნარატივს მხატვრულ, ლიტერატურულ ღირებულებას ანიჭებს.

იყა ქადაგიძის მრავალმხრივ შემოქმედებას (ლექსები, მოთხრობები, რომანები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები) კიდევ ერთ ნახნავს მატებს "დუმის დეკორაციებზე" წოდებული ჰეტეროგენული ტექსტები, რომლის ერთ-ერთ ნიმუშზედაც ამჯერად ვისაუბრეთ.

7. 10. 2022



გამოხმაურება მარსიანის „ტრიოლეტებზე“

დიანა მეტონიძე

მარსიანის „ტრიოლეტები“ იმ ლექსთა შორისაა, რომელიც ადამიანმა უთუოდ უნდა წაიკითხოს. ავტორი საკუთარ განცდებს ისეთი ოსტატობით გადმოგვცემს, რომ ძნელია მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოვექცეთ. იგი თავისეულ სამყაროს გვაზიარებს და დაუფარავად გვეუბნება: „ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს, ანდა ლომი ვარ გახვეული ტყავში კრავისა, განმბანს ოდესმე იორდანე-წმინდა მდინარე, ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს და საუკუნე მიავდრდება თვალთა წინარე...“ მან ძალიან კარგად იცის საკუთარი გამორჩეულობის ფასი, რაზეც მახსენდება გალაკტიონის ზეგენილური ფრაზა: „და მეფე და პოეტი და სიმღერით ვკვდები...“ რასაკვირველია მარსიანის შემოქმედება მართლაც ისეთ მწვერვალზეა, რომ ლომობა უცილობლად შეჰფერის.

როგორც ჩანს ავტორისათვის ადამიანური ხასიათის მანკიერი თვისებებიც მეტად ნაცნობია, რაც იხატება შემდეგ სიტყვებში: „მკვდრებიც ცოცხლებიც შეუპოვრად მიგატოვებენ...“

გასაოცარია მარსიანისეული ფიქრები და საბედისწერო კითხვები, რაც მას ანუხებს. იგი თითქოს შეეჭიდა ცხოვრებისეულ ლაბირინთს, რომლის ამოხსნაც მეტადრე ძნელია. „უფლის წინაშე გაირინდე მარტოეული, ღამეულ ცაზე კოსმიური ყვავილნარია...“ ამ ფრაზით ავტორი ხაზს უსვამს, რომ უფლის წინაშე ჩვენ მარტონი ვართ, ხოლო ღამეული ცა ჯადოსნურ ყვავილნარად წარმოგვიდგინა. აქაც უთუოდ შეიძგრძობა მისეული ღრმა სულიერი სამყარო.

„მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი მაგრამ სულეთში ჩაძირულხარ და ვერ გაშინებს...“ აქ კიდევ ერთხელ იკვეთება პოეტისეული შეუპოვრობა ყველანაირი ქარიშხლისადმი, რომელიც ავს უქადის, თუმცაღა მის დაფრთხობას მაინც ვერ ახერხებს. იგი როგორც ჩანს სულეთს ღვთიურ ფრაზას უკავშირებს: „მოვედინ კრავი და ყოველი განიწმინდება...“ ამ გამონათქვამით ნათელს ჰყვებს ყოველივე ბნელს და ჩვენც სინათლისკენ მიგვიძღვის.

„ტრიოლეტები“, საოცრად ცოცხალი, რითმული

და ერთიორად ჩამთრევია. ავტორი არც დემონებზე საუბარს ერიდება. საინტერესოა, რომ მათ სუნთქვას „საშინელსა“ და „ნეტარს“, ერთდროულად უწოდებს, რაც მეტად დამაფიქრებელია. ნუთუ შესაძლებელია ეს ორი მეტაფორა ერთად შევაჯეროთ? როგორც ჩანს მარსიანისეულ სამყაროში ყველაფერი რაც უმაღლეს სულიერებას მთელი სიმძაფრით აღწევს, საცხებით შესაძლებელია.

ლექსის დამაგვირგვინებელ სტროფში კვლავ ლომს ვაწყდებით: „გრძნულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების აჩნდა ჰორიზონტს გილგამეშის ნატერფალები...“

ვფიქრობ ცხოველთა მეფეს დიდი სიმბოლური დატვირთვაც აქვს და შეინიშნება, რომ ავტორს მისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. გილგამეში, როგორც შუმერული ეპოსის გმირი ტრიუმფალურად ასრულებს „ტრიოლეტებს...“

და ბოლოს, პოეტის ესოდენ ღრმა სულიერი სამყარო უამრავ დაფარულ ფიქრს სწვდება, რომელზეც ცალსახა პასუხები ჯერ არ მოიძებნება და ალბათ სწორედ ამის გამოც არის ასეთი დიდებული.



გამორჩეული პროექტები

ჩემი ხუთეული

„ჩემი ხუთეული“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ეპლიტფოზე“ განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის ბეჭდური ვერსიაა.

იდეის ავტორებმა სხვადასხვა თაობის მწერლებს მივმართეთ თხოვნით, გამოექვეყნებინათ საკუთარი ხუთი ნაწარმოები „ეპლიტფოზე“, გახსნილ სპეციალურ თემაში.

პროექტის განხორციელებისას ნაწარმოების შერჩევის კრიტერიუმები (გამოქვეყნების დრო, გამოქვეყნებისას არსებული განწყობა და სხვ.) ავტორებმა თავად განსაზღვრეს.

ჩვენთვის მეტად საინტერესო იყო თუ რამდენად დაემთხვოდა ფორუმელთა მოლოდინი ავტორთა არჩევანს.

საინტერესო იყო ავტორთა ასაკობრივი დიაპაზონი,

პროექტის მიმდინარეობისას ფორუმელთა რაოდენობის ზრდა;

ლექსებთან დაკავშირებული მკითხველთა კომენტარები. მნიშვნელოვანი იყო ლექსების თემატიკაც.

ლექსები გადმოტანილია ავტორისეული კომენტარებითა და „ლიმილაკებით“.

პროექტი ახალგაზრდა პროზაიკოს ნინო თარხნიშვილის (ამელის) მინიატურებით დავამთავრეთ. ამელის მინიატურები ერთგვარი ხიდი გახდება ლიტერატურულ პროექტებს „ჩემი ხუთეული – პოეზიასა“ და „ჩემ მოთხრობას“ შორის.

ვფიქრობთ, ანალოგიური პროექტის განხორციელებას 10 წლის შემდეგ საინტერესო იქნება, წინამდებარე კრებულიდან რამდენი ლექსი გახდება მომავალი „ჩემი ხუთეული“, კუთვნილება, რომელი ავტორები დარჩებიან „მოქმედ“ პოეტებად და სხვ.

დარწმუნებული ვართ, კრებული „ჩემი ხუთეული“ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. მზად ვართ კამათის ყველა მსურველს „ეპლიტფოზე“ მოვუსმინოთ.

და ბოლოს, უკვე ცნობილ ავტორებს უმორჩილესად ვთხოვთ, არ დაიზარონ და შეადგინონ თავიანთი ანთოლოგია კრებულში დაბეჭდილი ლექსებიდან (უდაოდ საინტერესო იქნება გივი ალხაზიშვილის, ვაჟა ხორნაულის, ემზარ კვიციანიშვილის, მარსიანის, ლელა კოდალაშვილის, შოთა იათაშვილის, ბელა ჩეკურიშვილის, დავით ჩიხლაძის, შალვა ბაკურაძის, დალილა ბედიანიძის, ლელა სამინაშვილის... მიერ შედგენილი ანთოლოგიები) და მოგვანოდონ „ეპლიტფოზე“ გამოსაქვეყნებლად.

ყველაზე მეტად განმეორებად ლექსებს ცალკე კრებულად გამოვცემთ.

თეიმურაზ ნაგარეიშვიდი

დიანა მეტონიძის მოთხრობამ „წვიმა“ ერთობ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მოთხრობაში გადმოცემულია მარტოსული ადამიანის ისტორია, მისი განცდები. ძალაუნებურად გამახსენდა ალბერ კამიუს გახმაურებული ნოველა „უცხო“ . მართლაც, „წვიმის“ გმირი კამიუს გმირისავით საოცრად გაუცხოვებულია სამყაროსადმი. აკი თავადვე აღნიშნავს კარის კაკუნზე: „დედამინის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ჩემთან მოვიდოდა“. მას ყველაფერი აღიზიანებს თავის გარშემო, ვერ იტანს საკუთარ ოთახს, რადგანაც „გრძელი ფარდები, გაცრეცილი დივანი, ქახჭახა სანათი... ისინი მხოლოდ ერთ გარემოებას ააშკარავენდნენ: მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი... ხედავთ რა სულიერ მდგომარეობაში იმყოფება იგი?! ეს ხომ ცხოვრებისეული ფსკერია! ამის „ქვემოთ“, ხომ არაფერია გარდა სიკვდილისა!!!

მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენს გმირს, ერთადერთი რამ შერჩენია ამ სამყაროში. კერძოდ, ის ღრმად მოაზროვნე ადამიანია და ამიტომ საკუთარ თავს უსვამს ყველაზე მთავარ და რთულ კითხვას (ზოგი ვერც კი ბედავს ამგვარი კითხვის დასმას!): „რატომ ვერაფერს მივალწი ამ საშინელ სამყაროში?!“ და თავადვე სცემს გულწრფელ პასუხს:

„სიმართლე ითქვას ამდენმა უსამართლობამ გამაბოროტა. როცა კიდე მძალუძდა რაიმეს დაგნეოდი ყველამ და ყველაფერმა ზურგი მაქცია“. ეს არ არის ადვილად მოსული პასუხი, არამედ მწარე ცხოვრებისეული გამოცდილებით ნაკარნახევი სულიერი ამოძახილია, სულის კივილია! თან გმირმა კარგად იცის, რომ მარტო ის არ არის ამ დღეში: „დიდი ამბავი, არც ბოლო ვიყავი და არც უკანასკნელი“.

განა რა უნდა მოხდეს გმირის ცხოვრებაში ისეთი, რომ მან თავი დააღწიოს ამ საშინელ, ზღვრამდე მისულ მდგომარეობას?! მაგრამ ნუ ვიჩქარებთ! გავყვეთ გარეთ გამოსულ ჩვენს გმირს წვიმიან ქუჩაში!

დასაწყისში გმირი კვლავ განიცდის საკუთარ

მდგომარეობას: „მე ნელი, ოდნავ არეული ნაბიჯებით მივდიოდი. უცხო თვალი მაშინვე შენიშნავდა, რომ არსად მივიჩქაროდი. ალბათ ყველაზე ტრაგიკულია, როდესაც არსად გელოდებიან“.

და აი განგება ჩვენს გმირს მხსნელად ძალს გამოუგზავნის, რომელსაც მანქანა ეჯახებოდა! „არ ვიცი რატომ მაგრამ გული ლამის საგულედან ამომივარდა. იმ წამს გავაცნობიერე, რომ ეს ძალი იყო ერთდერთი ღირებული რამ ჩემს ცხოვრებაში და არ შემეძლო ამ ჯალათური წამებისთვის გულგრილად მემზირა“. ბოლოს კი გარკვეული ირონიით დასძენს „სასაცილოები ვართ ადამიანები. რა სწრაფად შეგვიძლია რაიმეს შეყვარება, ან შეძულება“.

ჩვენმა გმირმა შეძლო საცოდავი ძალის გადარჩენა, მაგრამ კინალამ თავად შეეწირა მანქანას - მძღოლმა მოასწრო დამუხრუჭება, თუმცა მსუბუქი შეჯახება მაინც მოხდა. ამის შემდგომ კი „ბოდიშის მოლოდინში ლაზათიანი მუშტი მივიღე!“ ესეც კი ერთი აშკარა მორიგ უსამართლობასთან შეჯახებაა! ბოლოს და ბოლოს კი პოლიციის მანქანამ დააფთხო მოძალადე მძღოლი და მან იქაურობა დატოვა. ჩვენმა ცხირგატეხილმა გმირმა კი გზა განაგრძო და გადარჩენილი ძალი მადლიერების ნიშნად მას კვლავ გამოეცხადა: „მერე თათი მაღლა ასწია, თითქოს მადლობას მიხდიდა. საოცარი განცდა დამეუფლა და თავისუფალი ხელი თავზე გადავუსვი, შემდეგ უხმოდ, ზედმეტი თეატრალური წარმოდგენის გარეშე გზა უხმოდ განვაგრძე...“

შემდეგ მათხოვარი ქალის დახმარება და აქაც კარგი ავტორისეული ცხოვრებისეული დაკვირვება: „საზოგადოდ მძიმეცხოვრებაგამოვლილ ადამიანებს თავიანთი თვალეები გასცემენ ხოლმე...“

და აი ამ მოთხრობის კულმინაცია - ტრიუმფი: „სახლის კართან რომ მივედი სახტად დავრჩი. თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალი უკან მომეყვებოდა. მე ცხოველს შინ შევუძეხი.“

უეცრად უსაზღვრო სიხარულის განცდა დამეუფლა. მართალია ცხვირი გავიტეხე, ლამის მანქანამ დამარტყა და ვერც გაჭირვებულს დავეხმარე დიდად, თუმცა ჩემს არსებაში რაღაც შეიცვალა. ოთახი, რომელიც სახლიდან გასვლამდე ჭირვით მძულდა, ახლა ყველაზე ლამაზი მეჩვენებოდა. თოვლიანი ნახატს სიხარულით ვუმზერდი. ბინის ახალმა ბინადარმა კარ-მიდამო გააღამაზა. ის დინჯი იყო, თუმცა ზანდაზან აყეფდებოდა და ნიკაპს ხელთან მომიტანდა.

ვერძობდი, რომ უიმედობამ და მარტობამ მიმატოვა. ვიცოდი ოდესმე მათაც მოვაბეზრებდი თავს..

იმ დღეს ვინამე საკუთარი თავის და მას შემდეგ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა...“

დიას ეს მართლაც ტრიუმფია - ადამიანი, რომელსაც აღარაფერი არ აინტერესებდა ამ ქვეყნად, ყველასათვის უცხო იყო, ამ ერთმა შემთხვევამ კვლავ სიცოცხლისაკენ მოაბრუნა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ თავად სიცოცხლე ყველაზე დიდი „ბრძენია“ ამ სამყაროში (როგორც გოეთე მოსწრებულად შენიშნავდა „სიცოცხლის აზრი თავად სიცოცხლეა!“) და ამიტომ რაც არ უნდა გვიჭირდეს ყოველთვის უნდა გვქონდეს ღვთის წყალობის იმედი!

ვუსრვებ დიანას კვლავ ასეთი კარგი, შინაარსიანი ნაწარმოებებით გაანებივროს მკითხველი!

შ. როგორც გავიგე, თავად მოთხრობა რეკორდულად მცირე დროში, დაახლოებით ათ წუთშია დაწერილი, რაც ჯერ იმაზე მეტყველებს, რომ დიანას ყოველთვის აქვს სათქმელი, მაგრამ ბევრს შეიძლება ჰქონდეს სათქმელი, მაგრამ არ ან ვერ ბედავდეს მის თქმას. დიანა კი ბედავს და მერე როგორ შესანიშნავად გადმოსცემს თავის ნაფიქრს ასე მცირე დროში, რაც უდაოდ მის დიდ ნიჭიერებას ადასტურებს!

გამორჩეული პროექტები

ჩემი მოთხრობა

„ჩემი მოთხრობა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში განხორციელებული ერთ-ერთი ლიტერატურული პროექტის ბეჭდური ვერსიაა.

იდეის ავტორებმა სხვადასხვა თაობის მწერლებს მივმართეთ თხოვნით, გამოექვეყნებინათ საკუთარი ერთი ნაწარმოები სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

პროექტის განხორციელებისას ნაწარმოების შერჩევის კრიტერიუმები (გამოქვეყნების დრო, გამოქვეყნებისას არსებული განწყობა და სხვ.) ავტორებმა თავად განსაზღვრეს.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა თუ რამდენად დაემთხვევა მკითხველთა მოლოდინი ავტორის არჩევანს.

საინტერესო იყო ავტორთა ასაკობრივი დიაპაზონი, მნიშვნელოვანი იყო მოთხრობათა თემატიკაც.

ვფიქრობთ, ანალოგიური პროექტის განხორციელებას 10 წლის შემდეგ.

საინტერესო იქნება, წინამდებარე კრებულიდან რამდენი ნაწარმოები გახდება მომავალი „რჩეულის“ კუთვნილება, რომელი ავტორები დარჩებიან „მოქმედ“ მწერლებად და სხვ.

„ერთი ექსი ებლიტფოს“

კრებულში აერთიანებს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოსის“ - „ერთი ლექსი „ებლიტფოს“ - ნაწუქარი ლექსებს.

2 ეთხვა 172 ციტერატურის-მოყვარუც

რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ... ჯერჯერობით ვერ პასუხობთ...

კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით... კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით...

კრებულში შესულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელებული პროექტის — ორი კითხვა ლიტერატურისმოყვარულს — ბეჭდური ვერსიები.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

იხსნის თუ არა ციტერატურული ურიტიკა პოეზიას უნიქობის ხენისაგან?

არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბოზია და არც ერთ ჟანრს არ განეკუთვნება.” ეს, როგორც წესი, ძირითადად სწორედ იმ ავტორებს ეხებათ, ვინც ამ “კითხვის ნიშანს” აბუჩად იგდებს.

შექსე: გიორგი, შენგან განსხვავებით, კომენტარებში მენტორულ და ჭკუის დამრიგებლურ ტონს არ ვატარებ. ღმერთმა დამიფაროს, ჩემგან რამე გესწავლებოდეს. ეს აზრადაც არ მომსვლია. მგონი არც თუ ისე ძნელი გასაგებია, რა ვიგულისხმე.

ხოლო რაც შეეხება “კითხვის ნიშნის აბუჩად აგდებას”, ამაზე შემდგომში კონკრეტულ ტექსტებზე დაყრდნობით ვისაუბროთ. ცხადია, თუ შენ საჭიროდ ჩათვლი, თორემ ასე ცარიელი სიტყვების რახა-რუხი გამოგდის. კიდევ ერთხელ გამოვხატავ პოეტ გიორგი საჯაიას მიმართ ჩემს პატივისცემას.

გიორგი საჯაია: როგორც მამაკაცი, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, «ბოლო სიტყვის» უპირატესობა ჩამოგართვა. აღარაფერს გპასუხობ, გარდა იმისა, რომ მეგობრულად მოგიწოდებ სიმშვიდისკენ.

შექსე: მშვიდი გალიმება ნინოსაგან, ნიშანი იმისა, რომ კამათი კამათად და ადამიანობა პირველ რიგში.